

ლიტერატურული გაზეთი

№9 (217) 4 - 17 მაისი 2018

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

მანანა ჩიტიშვილი

წუთისოფლისა და ლექისათვის

როგორ მიყვარს, ცისკარზე
მზე რომ თვალებს გაახელს
და ველ-მინდვრებს ხატავს,
მომდგა წუთისოფელი
და ვით ქვაბი, საარყე,
ლექსად გამომხადა.

გამომხადა ლექსებად,
როგორც ხილი ნაქარი,
მზე რომ უცვლის ჯვარს,
მგონი ჩამოილია
ჩემი წინწანაქარი,
ვუცდი ნაბოლავარს.

ან რაღა დროს ლექსია,
თუ ცვდება და მტვერდება
სიყრმის ყველა ჟინი,
აპრილი რომ დგება და
თვალი არ გიშტერდება
უცხო მოლოდინით.

თვალს რომ არვინ გაყოლებს
სურვილით და იჭვებით
და არც მხერით გქურდავს,
როცა აღარ გესვიან
ონავარი ბიჭები
გზაზე თოვლის გუნდას.

როცა ფიქრი ეჩვევა
ფერგადასულ სამოვარს,
ომბალოს და საცერს,
ხელზე რომ გემთხვევიან,
როგორც ვინმე ბანოვანს,
ფრიად პატივსაცემს.

მე კი ისევ მალელებს,
მზე რომ თვალებს გაახელს
და ველ-მინდვრებს ხატავს,
რადგან წუთისოფელმა,
როგორც ქვაბი, საარყე,
ლექსად გამომხადა.

IV-V



ვახტანგ ჯავახაძე

ისევ გალაკტიონი

ერთი შედეგის კონკურსი



ამ წლებში, 1915-1926 წლებში, იგი ზემთაგონებ-
ული მკითხველია („არის მკითხველი მშვენიერ
ნიგნის და არის კიდევ გადამკითხველი“) და მისი
სიზმრები მხოლოდ და მხოლოდ მისი სიზმრებია:

მე მძინარე ვარ... ვწევარ და მძინავს,
დაე მძინავდეს.
ხედავ ჩემს შუბლზე ღიმილს დამცინავს,
როდესაც ნანა მესმის ძიძების —
ბევრს ეშინოდეს
ჩემი სასტიკი, უღმობელი გამოღვიძების,
ვით გათენებას,
მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს.

შევადართო:

— ჯერ არავის დასიზმრებიაო.
დიახ, ამ სიზმრების ქაოსიდანაა ამოზიდული:
— მოულოდნელი ხილვები და აუხსნელი
ჩვენებანი.

— არაორდინალური აღქმები და არაადეკვა-
ტური რეაქციები.

— დაშიფრული მეტაფორები და ურთიერთგა-
მომრიცხავი სინტაგმები.

— მიუწვდომელი ნიუანსები და ქვეტექსტები.
— „ოცნება, ნახაზი საგანთა უარით“.

აქ მე — ლირიკულებთან ერთად — ჩანანერე-
ბი, დღიურები და პირადი წერილებიც
ვიგულისხმებ და ორიოდ ტაეპი თვითონაც შემო-
მაშველა:

ამ ქაოსიდან მოევლინა ახალი მუზა
ყველაფერს, რაც კი ახალია და გასაგები.

„მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურსო“ — და
1923 წელს თავისი ჟურნალის მეხუთე ნომერში
გამოაქვეყნა ანონიმური:

— საქართველო სიზმრისა და მწუხარების ქვეყ-
ანაა!.. ედგარ პოე ამბობს: „პოეზია იმიტომ არის
შესაძლებელი, რომ სიზმარი არსებობს“. ალბათ
საქართველოში იმიტომ უყვართ პოეზია, რომ მისი
სიცოცხლე ხანგრძლივი სიზმარია... მისი წარსუ-
ლი უხსოვარ სიზმარშია დაკარგული და კიდევ
ახალი სიზმრები ელოდება მის თვალებს.

ამ ანონიმურს ხელს აწერს „სპონდე“ და, რაკი
ანონიმურობას გალაკტიონს აბრალებენ, შესაძლე-
ბელია ეს ციტატა ოქროს მონმედ გამოგვადგეს,
თანაც ყოველი სიზმარი ხომ ახსნას მოითხოვს?!

უკვე მერამდენედ დამჭირდა გერონტი ქიქოძის
დამონმება:

— თქვენი ლირიკა ჩემზე ისეთ შთაბეჭდილებას
ახდენს, თითქო თქვენ გქონდეთ რაღაც მეექვსე
გრძნობა, რაღაც ზეგრძნობა, რომლითაც თქვენ
სამყაროს ითვისებთ. თქვენი მიდგომა მოვლენებ-
ისადმი იმდენად თავისებური, იმდენად მოულოდ-
ნელია, რომ შეუძლებელია მისი ახსნა ჩვეუ-
ლებრივი მეტყველებით... თქვენი ლირიკის
საუკეთესო ინტერპრეტაცია მუსიკალური პიესე-
ბით შეიძლება.

გურამ ასათიანსაც მიაჩნია: „როდესაც გალაკ-
ტიონს კითხულობთ, შეუძლებელია იმ სრულქმნი-
ლი ჰარმონიის, იმ უჩვეულო ზემოქმედების ახს-
ნა“ (საგულისხმოა, მაგრამ არამოულოდნელი
ქიქოძე-ასათიანის ანუ სიმამრისა და სიძის ასეთი
უნებლიე შეხვედრა დაახლოებით ნახევარი
საუკუნის შემდეგ).

დავით წერეთლიანი უფრო მიუახლოვდა — მი-
უხედავად ალბათობისა:

— ამ საიდუმლოს ამოხსნა ალბათ შეუძლებე-
ლია... სიტყვიერ დონეზე ალბათ არც თვითონ
ფლობდა თავის საიდუმლოს.

VI-VII

1955 წლის 17 იანვარს პოეტების სექციის თავმჯ-
დომარედ აირჩიეს.

28 თებერვალს ჩაატარა ერთი ლექსის სადამო
და წაიკითხა ოთხმოცდათექვსმეტსტრიქონიანი
„ერთი ლექსი“ („სიტყვა ლექსად“).

მოგვიწოდდა:

— დავდგათ ერთი ლექსის ძეგლი!

მაგრამ — რომლის?

ამ შეკითხვას ოცდაათი წლის შემდეგ უპასუხა
დიდმა ქართველმა მოქანდაკემ და თითქმის პო-
ეტმა: 1985 წელს ელგუჯა ამაშუკელმა თბილისში
დადგა „მოყმე და ვეფხვის“ ძეგლი.

საინტერესოა, თვითონ გალაკტიონისა —
რომელი დაიმსახურებდა პლასტიკას?

გალაკტიონ ტაბიძის ერთი შედეგის კონკურს-
ში საკმაოდ ბევრი ერთადერთი გაიმარჯვებდა:
ჭირს ასეულების ტვერიდან ერთადერთის
გამორჩევა ანუ გამომყლავნება: ყველას თავისი
გალაკტიონი ჰყავს.

მალე ოთხმოცდაექვსისა გავხდები. ოცდათხუთ-
მეტი წელიწადია, გალაკტიონის სამყაროში ვტრი-
ალებ. ახლა ასაკმა გამათამამა და გამომინვია.

თუმცა, სჯობია შორიდან დავინყო...

1916 წლის 14 სექტემბერს გალაკტიონი და
ოლია მოსკოვში ჩავიდნენ და პოეტი ისე დაენაფა
ნიგნებს, როგორც დაჭრილი ირემი ანკარა
წყაროს („რიმანელი კი არ კითხულობდა, ღრღნი-
და ნიგნებს“):

— ვკითხულობ ძალიან ბევრს. აქ არის ერთი
მუზეუმი — რუმინანცევის, რომელშიდაც ყვე-
ლანაირი წიგნია, რაც კი გამოსულა დედამიწაზე.
— შეატყობინა ძმას 17 ნოემბერს.

ორი თვის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა,
მომავალი წლის აპრილში კი ისევ მოსკოვს გაემგზა-
ვრა და 28 ივლისს ისევ ძმას გამოუგზავნა წერილი:

— მე ჩაფლული ვარ ბევრ საინტერესო წიგნებ-
ში, ისეთ წიგნებში, რომლებიც ჯერ არავის და-
სიზმრებია რამედ გამოეყენებია.

დაიმახსოვრეთ:

— ჯერ არავის დასიზმრებია რამედ გამოეყ-
ენებიაო.

თვითონვე სჯერა, რომ ამ წიგნების ერთადერ-
თი ამომკითხველია და ამას საიდუმლოსავით ან-
ღობს ძმას:

— ყველაფერი ეს ჯერ არავის გადასცეთ. მე არ
მინდა იცოდეს ვინმემ ჩემი მიზნები.



I
ჯოისი და დიუნევი

მოდერნიზმის ლიტერატურის საუკეთესო თხზულებების, „ულისესა“ და „ხმაური და მძვინვარების“, ავტორები ჯეიმზ ჯოისი და უილიამ ფოლკნერი კატეგორიულად უარყოფდნენ ფსიქოანალიტიკური მოძღვრების გავლენას. ამერიკელი მწერალი თვლიდა, რომ მისი თხზულებების პერსონაჟები რაღაცით ბიბლიურ გმირებს ჰგავდნენ, ხოლო რაც შეეხება ფროიდს, ის საერთოდ არც ნამიკითხავსო, ამბობდა. ჯოისს კი, თავის წინამორბედად, შინაგანი მონოლოგის გამოყენების თვალსაზრისით, ნაკლებად ცნობილი ფრანგი მწერალი ედუარდ დიუჟარდენი მიაჩნდა. ერთხელ მეგობარმა, მერი კოლამმა, უსაყვედურა კიდევ, რას გადაეკიდე დიუჟარდენს, არ სჯობს, ისეთი დიდი მეცნიერების ვალში იყო, როგორებიც ფროიდი და იუნგია, ვიდრე ამ „—“ დიუჟარდენისო? ჯეიმზის სხვა მეგობარი ლიტერატორებიც დასცინოდნენ ფრანგ მწერალს, ნაფტალინიდან ამოღებულს უწოდებდნენ, მაგრამ ჯოისი ჯიუტი იყო, მეტიც, თვით ტერმინ „არაცნობიერსა“ კი ეჭვის თვალით უყურებდა. „ნეტა რატომაა ატეხილი ასეთი აურზაური რაღაც იდუმალი არაცნობიერის გამო? — ჰკითხა 1918 წლის ერთ საღამოს მეგობარ ფრენკ ბაჯენს, — ცნობიერის საიდუმლოებებზე რაღას გვეტყვიან? იცინა კი რაიმე მათ შესახებ?“

დიახ, ჯოისი და ფოლკნერი არ ადასტურებდნენ რაიმე კავშირს ფსიქოანალიზთან, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ რჩეულ რომანებს დღესაც რატომღაც ფროიდისა და იუნგის მოძღვრების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენით შექმნილ შედეგებად მიიჩნევენ.

II
კურიოზი

1930-იან წლებში „ფინეგანის ქელეხზე“ მუშაობამ კურიოზული ხასიათი მიიღო. ჯეიმზ ჯოისი თავის ამერიკელ მფარველ მის ჰარიეტ ვივერს სთხოვდა, დამიკვეთე რომელიმე ეპიზოდი და ჩავენერო. მის ვივერს გარკვეულ „ბრძანებებს“ იძლეოდა... მომდევნო წლებში მდგომარეობა გართულდა. მხედველობის დაქვეითებას თან დაერთო ქალიშვილის, ლუჩიას ფსიქიკური აშლილობა. მეგობრები ცდილობდნენ, ჯეიმზს გვერდში დადგომოდნენ. ისინი მხედველობადაქვეითებულს რომანის ტექსტის ჩანერაში ეხმარებოდნენ. ერთხელ ჩამწერის როლში სტუმრად მისული სამუელ ბეკეტი აღმოჩნდა. მუშაობის პროცესში კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. „მოზრძანდით!“ — შეეხმიანა ჯოისი. ეს სიტყვა სამუელმა, რომელსაც კაკუნის ხმა არ გაუგია, ავტომატურად ჩანერა. მოგვიანებით, ჩანანერის თავიდან გადაკითხვისას, ჯეიმზი გაოცდა, სიტყვა „მოზრძანდით“ როდის გიკარნახეო. სტუმარი უმტკიცებდა, ნამდვილად თქვითო. ჯოისი ჩაფიქრდა, მერე კი დაეთანხმა, კარგი, დარწმუნე, ნუ ნაშლიო...


რა უნდა მივიჩნიოთ ამ უცნაური საქციელის მიზეზად? ნუთუ, რიჩარდ ელმანის სარკასტული გამოხატულებებისა არ იყოს, ჯოისის უკანასკნელ რომანს „ნებისმიერი ისტორია მოერგებოდა?“ არა, რეალობა სხვაგვარი გახლდათ. მწერალს, როგორც ჩანს, თავისი თხზულების არსობრივი (მისტიკური) მხარე უფრო აინტერესებდა, ვიდრე გარეგნული. მას „ფინეგანის ქელეხი“ ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც ღამის მისტიკა, ძილგვიდის მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა უწყვეტი მეტამორფოზები, რომლებიც, ოვიდიუს ნაზონის გმირებისა არ იყოს, ზოგი — მდინარედ და ნიშნად იყო ქცეული, ზოგი კი — მთად. მწერალს მხატვრულად უკვე გადაეწყვიტა უმთავრესი, ამიტომ come in-ს ჩანერდა ტექსტში, ფი away-ს, თუ მის ვივერის ნაკარნახებ ისტორიებს, ამას უკვე გადაამწყვეტი მნიშვნელობა აღარც ჰქონდა.

აი, რა გახლდათ მთავარი! მკვლევრები კი ჯოისისა და ფოლკნერის თხზულებების ანალიზისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რატომღაც კვლავ ფსიქოანალიტიკურ მოძღვრებებს ანიჭებდნენ პრიორიტეტს...

ნარსულიდან გამოსვლილი

ჰარი ლევის ნიგნში „ჯეიმზ ჯოისი“ ეხვდება ერთ უცნაურ გამოხატულებას — თანამედროვე რომანებში პერსონაჟები კი არ იქმნება, არამედ ნარსულიდან გამოიხმობაო. აღნიშნულმა ფრაზამ დიდი ემოციური გავლენა მოახდინა თომას მანზე, მეტიც, გარკვეული მსგავსებაც კი აღმოაჩინა ჯოისის მოდერნიზმულ და საკუთარ ტრადიციულ თხზულებებს შორის...

მაინც რამ შეძრა გერმანელი მწერალი? ან რას უნდა ნიშნავდეს ლევის ეს უცნაური გამოხატულება?



III
თომას მანის აღმოჩენა

„რომანში გავლებულ უწყვეტ პარალელს ანმეოსა და ანტიკურობას შორის მეცნიერული აღმოჩენის მნიშვნელობაც კი შეიძლება მივანიჭოთ“, — ასეთი მოსაზრება გამოთქვა ტომას სტერნზ ელიოტმა 1922 წელს Dial-ში „ულისეს“ შესახებ. ჯოისი ამ შეფასებამ ძალიან გაახარა. რიჩარდ ელმანის აზრით, მას შექებაც ახალისებდა და კრიტიკაც, რადგან ურთიერთსაინანაღმდეგო მოსაზრებები ახალგამოქვეყნებულ რომანს ერთგვარ რეკლამასაც კი უკეთებდა. ლიტერატორთა ნაწილს „ულისეს“ მთავარი გმირი, ლეოპოლდ ბლუმის, არარაობად მიაჩნდა, ხოლო მისი მეუღლე მოლი — ამორალურ კახად. სხვები რომანის პერსონაჟებს ლამის რაბულესკული გაქანების გმირებად თვლიდნენ, ბლუმს კი — პატარა „მესიად“.

„ულისეს“ შესახებ ბევრი ცნობილი ადამიანი გამოთქვამდა მოსაზრებას, მოგვიანებით მათ რიცხვს თომას მანიც შეუერთდა. „ადრე მეგონა, რომ ჯოისის ექსცენტრიკულ ნოვატორობასთან შედარებით ჩემი თხზულება ფერმკრთალი და ტრადიციული ჩანდა. ჩემი რომანები მართლაც ტრადიციული სქემითაა აგებული, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ გარეგნული მხარეა“, აღნიშნა მანმა ჰარი ლევის ნიგნის „ჯეიმზ ჯოისის“ ნაკითხვის შემდეგ. მწერლის აზრით, ლევის მისი ნაწარმოებების შესახებაც შეიძლება ეთქვა ზუსტად ის, რაც ჯოისთან დაკავშირებით განაცხადა, კერძოდ: „მწერლის თხრობის სტილი გამოდის ჩვეულებრივი ბელეტრისტიკის ჩარჩოებიდან. არც „ხელოვანის პორტრეტს“ და არც „ფინეგანის ქელეხს“ მკაცრი განსაზღვრებით რომანებს ვერც ვუნოდებთ. ხოლო „ულისეს“ ის ნაწარმოებია, რომლის შემდეგაც რომანების დაწერა საერთოდ შეუძლებელიც კი ხდება.“ თომას მანს მიაჩნდა, რომ „ჯადოსნური მთის“, „იოსებისა“ და „დოქტორ ფაუსტუსის“ შესახებაც შესაძლოა თქმულიყო მსგავსი რამ: „ისე ხომ არ მოხდა, რომ ამჯერად რომანებს შორის გამორჩეულებად მხოლოდ იმ თხზულებების მიჩნევა თუ შეიძლება, თავიანთი არსით უკვე რომანებაც რომ აღარ არიან. ლევის ნიგნში არის ფრაზები, რომლებმაც სულით ხორცამდე შემძრა: „ჩვენი თანამედროვეობის საუკეთესო თხ-

ზულებებში სახეები და წარმოდგენები კი არ იქმნება, არამედ ნარსულიდან გამოიხმობა, რის გამოც ისინი რემინისცენციებითაა გაჟღერებული...“

ამრიგად, მანი საკუთარ და ჯოისის თხზულებებს მხოლოდ პირობითად მიიჩნევდა რომანებად, თანაც მიგვიანიშნებდა, რომ მათში უმთავრესი სტილი, არქიტექტონიკა ან ცნობიერების ნაკადის გამოყენება-არ-გამოყენება კი არ იყო, არამედ ის, თუ რა გამოიხმებს ამ რომანების ავტორებმა ნარსულიდან. ამ თვალსაზრისით კი ვენერა ურანიასა ან პანდემოსზე შექმნილი თხზულებები უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე რაღაც ხელოვნური პრინციპით გაერთიანებულნი. „ულისეს“ კი, როგორც ცნობილია, (მისტიკური თვალსაზრისით) სწორედ რომ სიყვარულის ქალღმერთის (პანდემოსის) შესახებ შექმნილი ნაწარმოებია. ასე რომ, არც უნდა გავივიკვირდეს, თუკი ის არსობრივად ნაკლებად ჰგავს მასავით მოდერნიზმულ თხზულებად მიჩნეულ „ხმაურსა და მძვინვარებას“, სამაგიეროდ გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს „დოქტორ ფაუსტუსს“, ან ვთქვათ — „ღვთაებრივი კომედიას“ და თვით „ვეფხისტყაოსანთანაც“ კი, პოემებთან, რომლებიც ეპოქალურადაც ძალიან დაშორებული არიან მოდერნიზმისგან.

ბუნებრივია, ხელოვნების ნიმუშების მხოლოდ სტილისტურ და ფსიქოანალიტიკურ დონეზე ინტერპრეტაციას შეჩვეულ მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს ასეთი კითხვა, მაინც რით ჰგავს ზემოთ ჩამოთვლილი თხზულებები ერთმანეთს?

IV
წინასახეები და მისტიკური ფონი

წმინდა სიყვარულის შესახებ დაწერილ თხზულებად პეტრარკას „ლაურასა“ და დანტე ალეგიერის „ღვთაებრივი კომედია-სთან“ ერთად „ვეფხისტყაოსანიც“ უნდა მივიჩნიოთ, მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ რუსთაველის პოემაში ჩაისახა მთელი რიგი თემები, რომლებიც მომდევნო ეპოქების მწერალთა თხზულებებში განვირცო და გაღრმავდა. „ვეფხისტყაოსანში“ ყველა და ყველაფერი ნესტანის ირგვლივ ტრიალებს. მისი და ტარიელის ტრფობას ეწირება იერარქიის თითქმის ყველა საფეხურზე მდგომი ადამიანი: მეფე, მონა, ვაჭარი, რაინ-

დი, გრძნეული, ქაჯი, მეკობრე, თვით ცხოველებიც კი (ლომ-ვეფხვი, რომლებიც ტარიელმა საკუთარ თავსა და ნესტანთან გააიგივა და დახოცა, როცა ერთმანეთს წაეკიდნენ). პოემის დასაწყისისთანავე განუწყვეტელი ლოცვასავით (მანტრამით) მეორდება სიტყვები: მზე, მთვარე, ალვა ედემს რგული, ცეცხლი. მოგვიანებით ალველინება ვედრება შეიდი ვარსკვლავისადმიც, პოემის გმირები კი მნათობებად არიან სახელდებული, თანაც მათ ერთგვარი ნათება (ემანაცია) გააჩნიათ, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება. თავდაპირველად მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ პოემის გმირების მნათობებად მოხსენიება უბრალოდ შედარებაა, ხოლო მათი ემანაცია — ჰიპერბოლა. პოეტი თითქოს გვაჩვენებს იმ აზრს, რომ ტარიელის, ავთანდილის, ნესტანისა და თინათინის გამოჩენას მუდამ თან უნდა ახლდეს მზისა და მთვარის ცალ-ცალკე ან ერთად სხენება: „ვთქვით თუ, მზეაო ქვეყანად...“; „უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებას...“; „მზიანო და მთვარიანო, ეტლად რაო და რიანო“; „აგერა მოვა ნახეო, იგი მზეებო და მთვარებლად.“ პოეტი არაერთხელ აღნიშნავს, რომ პოემის პერსონაჟები მნათობებზე უკეთესნიც კი არიან. თინათინი რომ გაიზარდა და გაივსო, „მზე მისგან სანუნარი“ გახდა, „ჰქონდა მზისა ცილობაო“, დასძენს პოეტი. ტოტემური და სიმბოლური დატვირთვა აქვს პოემაში ვეფხვსა და ლომს. ნესტანი ვეფხვს, თინათინი კი ძუ ლომსაა შედარებული. საგულისხმოა, რომ ეგვიპტეში რას თვალად მიჩნეულ ქალღმერთ მუტის სიმბოლო ძუ ლომი გახლდათ. ვეფხვის ტყავი ემოსათ მზის თაყვანისმცემელ ქურუმებს ძველ ინდოეთში, პელაზგურ სამყაროში კი — მეფე-ქურუმებს. ვეფხვი მზის სიმბოლოა, ლომი კი მეფური სიდიადის, ზეკაცობის... თუმცა ტარიელის შემთხვევაში ზოდიაქოს — ეტლის — ნიშანიცაა:

„მზე უმუნოდ ვერ იქმნების, რათგან მენ ხარ მისი წილი განალამცა მას ხახელ“

მისი ეტლი არ თუ ნბილი.“

მსგავსი სიტყვებით მიმართავს თინათინი ავთანდილსაც: „მერე მოდი, ლომო, მზესა, შეგეყრები, შემეყარე.“ საგულისხმოა, რომ ლომისა და მზის სხენებით სრულდება ნიცშეს „ზარატუსტრაც“, რომელშიც ისინი მასწავლებლისა და მოწაფეების სულიერი ერთობის სიმბოლოებად გვევლინებიან.

„ჰე! ლომი მოვიდა, ჩემი შვილები მოახლოვდნენ...“

ესე იტყვია ზარატუსტრამ და მიატოვა თავისი გამოქვაბული, მზურგალემ და ძლიერმა, ვით დილის მზემ, შავი მთებით რომ ამოდის“.

„ვეფხისტყაოსნის“ დასასრულს ნესტანი შუალამის მისტიკურ მზედ უნდა იქცეს, „შუქ-მექ“ მნათობად, უცნაური ფერცვალეხა უნდა განიცადოს და ის, რაც აქამდე შედარებად და ჰიპერბოლად გვეჩვენებოდა, რეალობად უნდა წარმოგვიდგეს. გავიხსენოთ, როგორ დაატყვევეს გულანშარიდან გამოქცეული ნესტანი ქაჯებმა. შუალამისას ველზე რაღაც შუქი იხილეს. იმ მომენტში ისინი ადამიანს საერთოდ ვერც ხედავდნენ, ვერც ტანს, ვერც სახეს, მხოლოდ ნათებას და ვერ მიმხვდარიყვნენ, რა მოვლენასთან ჰქონდათ საქმე. გაოცებულიებს ისლა დარჩენოდათ, ემარჩილათ:

„ზოგთა ვთქვით: არის ცისკარი; ზოგთა თქვეს: არის მთვარეო, მას დარაზმულთა მივმართეთ, ახლომცა ვნახოთ ბარეო.“

მახლოებულებს სინათლის სვეტიდან რაღაც ხმა მოესმათ და მხოლოდ მაშინდა მიხვდნენ, რომ ადამიანთან ჰქონდათ საქმე. პოეტი აქ გვიხატავს, რაღაც უჩვეულო მოვლენას, დაახლოებით ისეთს, თავის დროზე მაცხოვარსა და ბუდას რომ შეემთხვათ. ეს გახლავთ ქალღმერთად მიჩნეული ნესტანის ერთგვარი „ფერისცვალება“.

პოემაში ვითარდება მნათობთა თემა (მისტიკურ კონტექსტში). „ვეფხისტყაოსანში“ ვარსკვლავები ნახსენებია უმნიშვნელოვანეს საკვანძო მომენტებში. ტარიელის ინდოეთის ტაბტის დაბრუნებისას სამი გმირის სანახავად თვითონ იუპიტერი (მუშთარი) ჩამოდის ციდან, რათა მათი დიდება ახლოდან იხილოს. საგულისხმოა, რომ პლანეტა იუპიტერი ძველ საბერძნეთში ზევსის ზეციურ სახედ იყო მიჩნეული. შეფიცული მოყმენი შვიდი ვარსკვლავის მსგავსნი არიან. „ჰგვანდნენ შვიდთავე მნათობთა, სხვადმცა რისად

ვთქვა მე და რად! — დასძინს პოეტი. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს ნესტანის მოსაძებნად წასული ავთანდილის ვედრებას შვიდი მნათობისადმი ამოდ არც ჩაუვლია. შვიდეულმა შეისმინა მოყმის თხოვნა და სამ შუქ-მეტ მზეს (ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს) ყველაზე რთულ დროს, ქაჯეთის ციხის ალბის წინ, შემწეობა გაუწია:

„იგი ჭაბუკნი შუქითა
ვნახე მზისაცა მეტითა:
მათ სამთა შვიდნი მნათობნი

ჰფარვენ ნათლისა სვეტითა“.

ვარსკვლავები კიდევ ერთხელ ჩნდებიან გამარჯვებული გმირების არაბეთში მისვლისას, „ჰქონდეს შვიდნივე მნათობნი მის მზისა დასადარებლად“.

ამრიგად, პოემაში ვარსკვლავური თემა რამდენჯერმე გაივლევს, თანაც ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში: ტარიელისა და ავთანდილის დაძმობილებისას (ინიციაციის პირველ საფეხურზე); ავთანდილის ვედრებისას ციურ მნათობთადმი; ნესტანის გამოხსნის (ანუ შუალამის მზის ხილვის წინ) და საქმის მშვიდობიანად დასრულებისას. საგულისხმოა, რომ „ღვთაებრივი კომედიის“ სამივე ნაწილი („ჯოჯოხეთი“, „სალხინე-ბელი“ და „სამოთხე“) ვარსკვლავების ხსენებით სრულდება. ციურ სხეულებად არიან ქცეულნი „ულისეს“ პერსონაჟებიც რომანის ბოლოს.

მზე და მთვარე (აპოლონი და დიანა) მითოლოგიური გადმოცემით ლატონას მიერ შობილი ტყუპებია. დაბრძანებულ დანტეს, სულიერი თვალის სწორედ მაშინ უნდა აეხილოს, როდესაც მზე თხის რქის ზოდიაქოში შევა, მთვარე კი — სასწორის. და აი, როდესაც ეს ორი პლანეტა თანაბრად დაშორდება ზენიტს, უნდა გამოჩნდეს მანათობელი ნერტილიც, რომელსაც ეგვიპტეში რას თვალს უწოდებდნენ. „ღვთაებრივი კომედიის“ კომენტარებში ვკითხულობთ, რომ მანათობელი ნერტილის გაელვება ქალღმერთის ხილვად უნდა მოვიზნოთ, ერთგვარ „ფერისცვალებად“, როდესაც სიყვარულის ქალღმერთი სიბრძნისად გარდაიხსახება. საგულისხმოა, რომ რუსთაველი მხოლოდ ერთ „ფერისცვალებაზე“ საუბრობს, დანტე კი — სამზე. მის „ახალ ცხოვრებასა“ და „ღვთაებრივ კომედიას“ ჩვეულებრივი ქალი ბეატრიჩე ჯერ სიყვარულის ქალღმერთად უნდა იქცეს, შემდეგ — სიბრძნის, ბოლოს კი — დიად დედადაც.

მსგავს ტრანსფორმაციას განიცდის ოვიდიუს ნაზონისა და ბერძულ-ეგვიპტური მითების გმირი ქალი იოც. ის ჯერ იზიდავს (სიყვარულის ქალღმერთად) უნდა იქცეს, შემდეგ რას თვალად (სიბრძნის ქალღმერთად), ბოლოს კი გეა-მუტად (დიად დედად). ძველ ეგვიპტეში შუალამის მზის ხილვის მისტერიას ქურუმები 22 დეკემბრის ღამეს ასრულებდნენ, ზამთრის ბუნიობისას, სწორედ მაშინ უნდა გამოჩენილიყო რას თვალად მიჩნეული არაფიზიკური მზეც. ნესტანის „ფერისცვალება“, ანუ მისი შუქ-მეტ მზედ ქცევა, ამ მისტერიის გამოძახილია.

**V
შპანასკნელი რომანი**

თომას მანი, როგორც ესეც დასაწყისში საგანგებოდ აღვნიშნეთ, „სულით ხორცამდე“ შეძრა ჰარი ლევიანის გამოხატულებამ ნარსულიდან გამოხმობილ პერსონაჟთა შესახებ. შუუძლებელია ლევიანის წიგნის კითხვისას მწერალს არ გახსენებოდა საკუთარი თხზულებები, „იოსები და მისი ძმები“, „დოქტორი ფაუსტუსი“, „ჯადოსნური მთა“, რომელთა ისტორიებიც თითქოს ნარსულის რომელიღაც უძირო ჭიდან ამოედინება. ეს განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა ფრიდრიხ ნიცშეს შესახებ დანერგულ რომან „დოქტორ ფაუსტუსში“, რაც არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან გერმანელი ფილოსოფოსი საკუთარი თხზულებების, „ასე იტყოდა ზარატუსტრას“, ძირითად კონცეფციად სწორედ იმ ნარსულის მარადიულ დაბრუნებას მიიჩნევდა. ნიცშესთვის დრო წრე იყო. რაც იმას ნიშნავდა, რომ ნარსული და მომავალი არ იყვნენ ერთმანეთთან დაპირისპირებულნი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან (კონტრაპუნქტულ) იგავში მწყემსის შესახებ, რომელიც პირში შემძვრალ გველს თავს კვნიტს, რათა მოციანარ კაცად იქცეს, საუბარია მარადიულ წერებრუნება სამყაროს მიღებაზე მოციანარ ზეკაცის მიერ. სიცილს

განსაკუთრებული, მაგიური მნიშვნელობა ენიჭება რენესანსის ეპოქის თხზულებებში. იცინიან ბოკაჩოს „დეკამერონს“ პერსონაჟები, თანაც ყველაზე უადგილო ადგილას, როცა ისმენენ ისტორიებს ლეთისმსახურთა ამაზრუნე დაცემის შესახებ. ჯოისის „ულისეც“ ერთი გაბმული პაროდიაა. მწერლის სარკაზმი ეხება ყველას და ყველაფერს: ღმერთს, რელიგიას, მითოლოგიას, სამშობლოს, თანამემამულეებს, სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ სტილს, წმინდანებს, პარტიული კრების



ოქმებს, დღესასწაულების აღნიშვნის თავისებურებებს... ერთადერთი, რის შესახებაც ვერ ოხუნჯობს, მეხის დაცემაა. ცნობილი ფაქტია, რომ ჯოისის გაელვების ეშინოდა და არასდროს დიდხანს არ ჩერდებოდა ისეთ სახლში, რომელსაც მებაშირდი არ ჰქონდა. ერთხელ ჰკითხეს კიდევ, მეხის დაცემაზე რატომ არ ხუმრობო. როგორ ვიხუმრო ისეთ რამეზე, რომლისაც მეშინიაო, გაოცდა ჯეიმზი. არადა ზიარების საიდუმლოს გაშარყების არ ეშინოდა, არც მაცხოვრის მდებრობითი სქესის ფორმით მოხსენიებისა. ის ღმერთთან მებრძოლობით მამას უნდა დასმავსებოდა, ჯონ ჯოისის, რომლის უსაყვარლესი გამოხატულებაში გახლდათ: „ღმერთმა გვიშველოს და კიდევ პოლიციაში...“

მოციანარი კაცის თემა „დოქტორ ფაუსტუსშიც“ გვხვდება. რომანის დასაწყისშივე მთავარი გმირი ადრიან ლევერკიუნი, ნიცშეს ლიტერატურული ორეული, თავის მეგობარ ზერენუს ცაიტბლომს ერთ ისტორიას უყვება ქამის შესახებ, რომელიც ნეტარი ავგუსტინეს გადმოცემით ერთადერთი ადამიანი ყოფილა, „სიცილით რომ მოვედინა ამ ქვეყანას, რაც მხოლოდ სატანის დახმარებით შეიძლებოდა მომხდარიყო“. ქამს ჯადოქარ ზოროასტრის მამად მოიხსენიებს ნეტარი მამა თავის ცნობილ თხზულებაში „უფლის ქალაქის შესახებ“. საგულისხმოა ისიც, რომ ერთ-ერთი აპოკრიფის თანახმად, ერთხელ გაუღიმი მხოლოდ, როცა დაუნახავს, როგორ იპარავდა თიხის ჭურჭელს ადამიანი, რომლის ბიბლიური მამა ადამიც უფალს ოდესღაც თიხისგან გამოუქმნავს...

მოგვიანებით ზერენუსი ხვდება, რომ რაღაც მსგავსებაა ბიბლიურ ქამისა და ლევერკიუნის სიცილს შორის, რომელშიც იგრძნობოდა სატანური სიცივე. ამ შემთხვევაში თომას მანს ქამი ჰყავს გამოხმობილი ნარსულიდან, როგორც ადრიან ლევერკიუნის ერთ-ერთი წინასახე.

ნარსულის აჩრდილების გამოხმობის დიდოსტატია ჯოისიც. „ულისეში“ „მხოლოდ ჰომეროსისეული და პოსტჰომეროსისეული ლეგენდები როდია გამოყენებული, გავლენულია სხვა პარალელებიც. სტივენი მხოლოდ დედალოსი არაა, ის გახლავთ იკაროსიც, ჰამლეტიც, შექსპირიც, ლუციფერიც. თუმცა თხზულებების

უმთავრესი მიზანი იმ წარმართი გმირის პოვნაა, რომელსაც კათოლიკურ ქალაქში შეუშვებდა და გააღებლინებდა. სტივენ დედალოსი ამ როლისთვის არ გამოდგებოდა, რადგან ის ჯოისის სიყმანვილის-დროინდელი ორეული გახლდათ, საჭირო იყო სხვა, მეტ-ნაკლებად მსგავსი, მონიფულობის ხანის ორეულის პოვნაც. და აი, ჯოისმა ეს როლი ლეოპოლდ ბლუმს მოარგო“ (Richard Ellmann, James Joyce, p.369).

როგორც ვხედავთ, რიჩარდ ელმანი აკეთებს მცირე ჩამონათვალს იმ ბიბლი-



ური, მითოლოგიური, ლიტერატურული და ისტორიული პირებისა, რომლებიც ჯოისმა ნარსულიდან გამოიხმო და „ულისეს“ პერსონაჟების პროტოტიპებად აქცია. თუმცა ელმანის მოსაზრების განვრცობაც შეიძლება. რომანში არა მხოლოდ მრავალპროტოტიპიანი პერსონაჟების სიუხვეა, არამედ თემებისაც. თხრობა მხოლოდ რეალურ-ისტორიულ პლანში არ ვითარდება, არც მხოლოდ ანტიკურ ჰომეროსისეულში, უწყვეტი პარალელია გავლებული სხვადასხვა ეპოქის მითოსურ გმირებსა და მისტერიებთანაც, რომელთაგანაც ძირითადად სამის გამოყოფა შეიძლება: ოზირისის, ჰიბერნიულის (ძველ ირლანდიულის) და როზენკროიცულის. მაინც რა მსგავსებას ამჟღავნებს ეს რომანი მათთან? ოზირისის მისტერიის შესახებ ესეში „ჯოისის ოთახი“ უკვე ვისაუბრეთ, თუმცა ჰიბერნიულზე არაფერი გვითქვამს. არადა, რომანის დასაწყისში უკვე ნახავთ „ვენელოპში“ სწორედ იმ ჰიბერნიული მისტერიისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ორ (კაცისა და ქალის) ფიგურაზე საუბარი. მწერალი მკითხველს მარტო ტოვებს გეა-ტულუსის პოზაში წამოწოლილ მთლიან ბლუმსა და მის მეუღლესთან — ლეოპოლდთან. „ულისეში“ „ღვთაებრივი კომედიის“ მსგავსად ჩნდება და ვითარდება მითური ტყუპების, ლატონას შვილების, მზისა და მთვარის თემა. რომანში მთლიან მთვარის ქალ-ღვთაებადაა მოხსენიებული, ბლუმი კი (პარადიული თვალის მზისთვის) რაღაცით ჰგავს „მზის რაინდ“ დანტეს, რომლის მოგზაურობაც ჯოჯოხეთში მზის თხის რქის ზოდიაქოში შესვლისას იწყება და მნათობის იმავ მდგომარეობაში ყოფნისას სრულდება (ამჯერად უკვე სამოთხეში). დუბლინელ დანტედ მონათლული ჯოისი თავისი პერსონაჟის ლეოპოლდის (თანამედროვე ულისეს) ხეტიალის დასაწყისსა და დასასრულს ახსენებს ტომპსონის წიგნს „მზის ნაკვალევზე“, რომელიც ბლუმის წიგნების თაროზე დევს, რაც მკითხველში დანტეს მოგზაურობის პარადიულ ასოციაციას იწვევს. სახელი ლეოპოლდის სიმბოლური უნდა იყოს, ლეო ლათინურად ლომია, „ლომი“ კი როგორც ზოდიაქოს ნიშანი, მზის სახლად ითვლება. „ზარატუსტრას“ ეპიზოდში ლომები (ზეკაცის მონაფეები) მასწავლებელს (მზეს) უნდა შეერწყან. ნესტანის წერილში კი ქაჯების მიერ დატყვევებული მზე თავის სატრფოს არნ-

მუნებს, რომ იგი მზის ნათელია, მზის ბრწყინვალე ეტლია და ტარიელიც, სიკვდილის შემდეგ მზესთან იქნება. ვენერა პანდემონის მსახური ბლუმიც ოცდაოთხი საყვარლის (პარადიული თვალსაზრისით 24 დიადი არსის) მიერ „განდიდებულ“ მოლის უნდა შეერწყას. მოლაღატე ცოლს, რომელმაც იმავ დღეს უღალატა (დღის 4 საათზე ბოილანთან), მან დუნდულოები უნდა დაუკოცნოს. ეს ერთგვარი აფროდიისიული ორგის დასასრულია. რომანის ბოლოს მთლიანი დედაცაა და მთვარის ქალ-ღვთაებაც. რომ არა ეს მინიშნებები, გაუგებარი იქნებოდა ლეოპოლდის „მიმტეველობა“. ის ჩვეულებრივ ქალს კი არ ემსახურება, არამედ ანტიკურ ღვთაებას. ის მთვარეა, თავად კი — მზე. საგულისხმოა, რომ სწორედ მზისა და მთვარის მისტიკურ ასპექტზე საუბარი ჰიბერნიულ მისტერიაშიც. მაინც რა გახლავთ მისი არსი?

ძველ ირლანდიულ ქურუმებს ცოდნის შექმნით დალილი ადამიანი კოსმიური შემეცნების გასაღვივებლად ორ ქანდაკებასთან მიჰყავდათ (მამაკაცისა და ქალის). მამაკაცის ფიგურა ტყავით იყო შეკერილი. ადებტს მისთვის ხელი უნდა დაეჭირა. ელასტიკური ფიგურა, რომლის შიგნითაც სიცარიელე იყო, იზნიქებოდა და სწორდებოდა. მამაკაცის ფიგურის თავზე მზის სიმბოლო გამოესახათ. ის სულის თვალად აღიქმებოდა, ერთგვარ კარიბჭედ, რომლის გავლის შემდეგაც ადამიანი შეიმეცნებდა მიკროკოსმოსსაც და მაკროკოსმოსსაც.

მეორე (ქალის) ფიგურა ელასტიკური არ იყო, თუმცა დრეკადი ნივთიერებისგან შექმნათ. ის მთვარის სიმბოლო გახლდათ. ადებტები ხშირად მიჰყავდათ ამ ქანდაკებებთან, აიძულებდნენ ხელით შეხებოდნენ, მერე კი კარს უკეტავდნენ და მარტო ტოვებდნენ სიჩუმეში. საგულისხმოა, რომ „ულისეს“ ბოლო ეპიზოდის „პენელოპეს“ ნაკითხვის დროსაც მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მარტო დატოვებს ორ ფიგურასთან (ქალისა და მამაკაცის), რომლებიც თხზულების დასაწყისიდანვე იწყობოდა ყოველი ეპიზოდისთვის დომინანტად მიჩნეული სხეულის ნაწილებით. რომანის ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, სამი მისტერიის სუნთქვა იგრძნობა — ოზირისის, როზენკროიცერისა და ჰიბერნიულის, რაც გამოიხატება შემდეგში:

- 1) თორმეტ ნაწილად აჩეხილი ოზირისი მთლიანდება;
- 2) როზენკროიცული მისტერიის მეცამეტე მონაწილის მსგავსად მოლის სხეული სიტყვად ქცეული, და არა სიტყვა (ლოგოსი) — სხეულად, როგორც ეს იონანეს სახარებაშია;
- 3) გამოხატულია სრული მორჩილება მთვარის ქალ-ღვთაებისადმი, რაც ჰიბერნიული მისტერიის უმთავრესი ნიშანია.

აღნიშნული მისტერიის დასასრულს ქურუმი მამაკაცის უზარმაზარი ფიგურის თავზე გამოსახულ მზეს ეფარება და ამბობს: „მე ვარ სამყაროს ხატი, შემომხედე, მე არ მაქვს მყოფადობა. მე ცოდნაში ვცოცხლობ, ახლა კი შენ მაკურთხებლად უნდა ვიქცე.“ შემდეგ მეორე ქურუმი ქალის ფიგურას ექცევა თავზე და ადებტს ასე მიმართავს: „მე ვარ სამყაროს ხატი, შემომხედე, ჩემთან არ არის სრული ჭეშმარიტება, მაგრამ თუ გაბედავ იცხოვრო ჩემთან, მე შენ სიმშვიდეს მოგანიჭებ.“

ამ მანტრამების მოსმენის შემდეგ ადებტს უჩნდება სურვილი დამორჩილდეს, მეტიც, საკუთარი თავი სრულად მიუძღვნას მთვარის ქალ-ღვთაებას. გადალახოს ზღურბლი, რომლის აქეთაც არც ჭეშმარიტებაა და არც მყოფადობა, შევიდეს კარიბჭედ ქცეულ რას თვალში (შვიდი მბრუნავი ვარსკვლავის სფეროში), რათა კოსმიურ სამყაროს შეერწყას. საკუთარი შინაგანი ცეცხლი ზეციურ ეთერულ ნათებას შეუერთოს და მასთან ერთად ერთ დიდ ემანაციად იქცეს.

აი, ასეთი გახლავთ ჰიბერნიული მისტერია (რეალოდ შტაინერის გადმოცემით). ძნელი სათქმელია, იცნობდნენ თუ არა მას სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები მწერლები, თუმცა ფაქტი ერთია, მზისა და მთვარის ღვთაებებისა და მათ შორის არსებული მისტიკური ნერტილისა თუ კოსმიურ კარიბჭედ მიჩნეული „რას თვალის“ ანარეკლი განსხვავებული ეპოქის ბევრ თხზულებაში ჩნდება.



ღვას შემოდგომა

ხანდახან რაღაც უცნაური
ამიტანს სევდა,
სიო ათრთოლებს
შეყვითლებულ, გამხმარ ბალახებს,
მე ბრმა ვარ,
რადგან სხვას შენს გარდა
ვერავის ვხედავ,
შენც ბრმა ხარ,
რადგან ჩემი თავი ვერ დაგანახე.

ქარი არაგვის ვრცელ ჭალაზე
მიიმტვრევს მუხლებს,
ღვას შემოდგომა
და ფოთოლთა ცვენა მალონებს,
მე ყრუ ვარ,
რადგან სხვას შენს გარდა
ვერავის ვუსმენ,
შენც ყრუ ხარ,
რადგან ერთი სიტყვაც ვერ გაგაგონე.

მე ჯავრგაუხდელ ციხეში ვცხოვრობ

*„სულ ქარგაუხდელ ციხეში ცხოვრობ.“
ტრისტან მახაური*

ამ ცივ ამინდზე აღარც კი ვდაობ,
არც ქარიშხლების მამოფოტებს ქორო,
ქარგაუხდელის რა გითხრა, ძმაო,
მე ჯავრგაუხდელ ციხეში ვცხოვრობ.

და თუმცა ელავს ყინულის მინა,
ცრუ ოცნებებით ველარ ვირთვები,
მე ჯავრგაუხდელ ციხეში მძინავს,
ღანზე მთრთოლავი ცრემლის ჩიტებით.

ჩამოქაფდება ზეცა ფიფქებად,
თითქოს დარდა და საფიქრალს მიყოფს,
ხვალ უკვე ისე აღარ იქნება,
როგორც გუშინ ან გუშინდინ იყო,

რა უნდა მითხრან, ნეტავ, ლელებმა,
ამგვარად მხმობდნენ, მასსოვს, წინათაც...
ღმერთო, ნეტავი, რა ეშველებათ
ჯავრგაუხდელი ციხის ბინადართ.

ხსოვნის ლაშქარი

ახლა, ქართლზე რომ ნისლები წვანან,
ძველ იარებსაც ეცლება მტვერი...
რა იქნა ჩემი ოშკი და ბანა,
რა იქნა ჩემი ტაო და სპერი.

რა უსაშველო წარღვნა მოვარდა,
მთებზე გადადის ნისლი კანკალით,
ვინ ამოშანთა ბაგრატოვანთა
ძველთუძველესი ემბაზ-აკვანი.

ჩვენი სულია ამ კედლებს შიგნით,
ზოგჯერ რომ გმინვა ისმის უცებად,
კლარჯეთი — ჩემი მამულის წიგნი,
უცხოთა ხელით რად იფურცლება.

დრო ვერ ანელებს ტკივილის განცდას,
ღმერთო, აქამდე როგორ გავძელით...
ავაჰმე, ჩემი ანჩი და ხანძთა,
ავაჰმე, ჩემი გრიგოლ ხანძთელი.

ფოთლებში ქარის ტირილი ისმის,
ჩუქურთმას ქართულს იხდენს პალატი,
საკურთხევილიდან მონვეთავს სისხლი
წამებულ ამოტ კუროპალატის.

ყელში სიჩუმის ლახვარს მაჩრინან,
დავქანცე გული ბედთან მდურებით,
მესხეთის მინას ისევ აჩნია
რუსთველის თბილი ნაფეხურები.

აქ ამოდულდა სიბრძნით, აქ არი
ქართული სიტყვის საღმრთო მირონი
და სისხლმდინარი ხსოვნის ლაშქარი
კვლავაც გულიდან გულზე მიმოღის.

და დღეს, ქართლზე რომ ნისლები წვანან,
ძველ იარებსაც ეცვლება ფერი...
რა იქნა ჩემი ოშკი და ბანა,
რა იქნა ჩემი ტაო და სპერი.

სიზმრად მაინც...

ვისხენებდი ქალღვას და კიმერიას,
ცხენთა თქერას ოქროსთმიან ამორძალთა,
სიზმრად მაინც თუ იხილა იბერია
მაცხოვარმა, მინაზე რომ ჩამობრძანდა.



მანანა ჩიტიშვილი

დილა ლალით და აღმასით შენაზავი,
ღამით მთებზე დაშვებული მთვარის ფარდა,
ვერ გავიგე, ველ-მიდვრები ქართლის ყვავის,
თუ ღვთისმშობლის ომოფორი აფრიალდა.

ვეფხის წიგნით დრო და ჟამი გვიტორია,
დაღლილ ხელში ჩაგვტყდომია ხანჯლის ვადა,
სხვა რა არის საქართველოს ისტორია
რწმენისა და მამულისთვის ჯვარცმის გარდა.

კვლავ ვისხენებ ქალღვას და კიმერიას,
ცხენთა თქერას ოქროსთმიან ამორძალთა,
სიზმრად მაინც თუ იხილა იბერია
მაცხოვარმა, მინაზე რომ ჩამობრძანდა.

შეშინდები

ან ამ ზამბახებს ვინ მისცა ფერი,
ვინ იყო ცის და მინის მქარგავი,
უკვე დავკარგე სუყველაფერი,
თუ რამე მქონდა დასაკარგავი.

ვინ აამწვანებს სერებს თოვლიანს,
მისთიბს ზაფხული ყვავილს ნაფერებს...
თურმე რა ბნელი ღამე მქონია,
რომ შენი მზერით ვერ გაათენე.

რას მეტყვი ახალს, მზეო, ნათელო,
შორს დამრჩა ყრმობის ყველა ნაპირი...
რა დიდი იყო შენი სამსხვერპლო,
რა მცირე — ჩემი შემოსანირი.

შენ თუ იცოდი

ჩამოტყდეს ციდან მთვარის ბეჭედი,
ბინდი დააკვდეს მთებს და ვენახებს,
შენ თუ იცოდი, მე რომ გეძებდი,
თუ იცოდი და არ დამენახე.

დეკემბრის ქარში ფიქრი კანკალებს
და მე ვისხენებ, წლობით, თვეობით,
როგორ გულდაგულ შლიდი ნაკვალევს,
რომ ვერასოდეს წამოგწეოდი.

დღესაც ვემდური ჩემს იღბალს, რადგან
უგზოდ მივყავდი ყინვის მარხილებს,
გრძნობა, თვალბეჭედი სევდად რომ ჩადგა
და ბაგეებმა ვერ გაამხილეს.

ჩამოტყდეს თუნდა მთვარის ბეჭედი,
ბინდი დაედოს მთებს და ვენახებს,
შენ თუ იცოდი, მე რომ გეძებდი,
თუ იცოდი და...
არ დამენახე.

გასთანგავს ქალაქს
ავგისტოს სიცხე,
თითქოს მზის ალხმა
ლავად იდინა,
ლექების წერას
როდესაც ვინყებ,
ასე მგონია,

ომში მივდივარ.
ჟამი მავსებდა
და ჟამი დამცლის,
ვერც რა წამალი
ვპოვე კურნებად,
რაღა პოეტის
სიტყვასთან მარცხი,
რაღა ომიდან
ვერ დაბრუნება.

ცა —
სარკმელი ანგელოზთა,
ღრუბლის ვარდისფერი პუფით,
ხან მჭვირვალ პერგამენტი,
ხანაც პირქუში და ქუფური
და ზედ გაკვრით წარწერილი
ელვა —
ავტოგრაფი უფლის.

არაფრის გამო

თუ წარსულს ახლაც ფერი აქვს ნათლის,
თუ კვლავ იმ წლებზე ოცნებას ვლამობ,
იქნება შენი თვალბეჭედი ხათრით,
იქნება შენი ღიმილის გამო.

ტრიალებს, ბრუნავს სანუთროს კალო,
ნისლი და ქარი ერთუროს მიება,
რომ ვერას გვარგებს, მაშინდა ვსწავლობთ
თმენას, სინანულს და პატიებას.

გული, არც როდის ბედის მორჩილი,
რამდენ იმედებს მდურვით იმარხავს,
რა ტკივილებზეც თქვენ შემომჩვიეთ,
მე ერთი ღამის სიზმრად მინახავს.

თუ არც წარსულის იარებს არ ვთვლი,
არც იმდროინდელ შეცდომებს ვნანობ,
იქნება სულაც არაფრის ხათრით,
იქნება სულაც არაფრის გამო.

ავტოპორტრეტი სარკეში

თუ ხვდები მაინც,
რომ იღბალს შენსას სძინავს,
მონამლულია
სისხლი შხამით და ლექსით,
როდისღა-მეთქი,
როდისღა იტყვი იმას,
რაც აქამომდეც
უნდა გეთქვა და ვერ თქვი.

ისე მთავრდება,
არც გიცხოვრია თითქოს,
უცხო თვალისგან
ცრემლიან სახეს მალავ,
დრომ რაც გიბოძა,
ახლა უკანვე ითხოვს,
ოქრო მიაქვს და
გრჩება ჩენწო და ჩალა.

ხარ მარტოსული,
გვერდით არავინ გახლავს,
ასეთი თუ ხარ,
ალბათ განგების ნებით,
ყოველ სტრიქონში
რომ იბადები ახლად,
იბადები და
იქვე ხელახლა კედები.

კარს გაიხურავ ჩუმად,
ვით თოვლი დნება,
შეყვინება
ბაგეს ღიმილი მკრთალი,
გულდასაწყვეტი
აქ არაფერი გრჩება,
არც არაფერზე
არ გომტერდება თვალის.

არა გყოლია
მწე და პატრონი მეგზედ,
იცის კი ვინმემ,
როგორ გინვიმს და ვითოვს?
ვერ მოუარე,
ვერ უპატრონე ლექსებს,
მოვა ჟამი და
გიპატრონებენ თვითონ.

კარგა ხანია,
რომ იღბალს შენსას სძინავს,
მონამლულია
სისხლი შხამით და ლექსით,
როდისღა-მეთქი,
როდისღა იტყვი იმას,



რაც აქამომდეც უნდა გეთქვა და ვერ თქვი.

თავი შენით მიჩნდა მდიდრად, შენგნით დამეხვედა დარდი, როგორც მსურდა, — მიყვარდი და როგორც გსურდა, — არ გიყვარდი.

თითქოს უხილავი ღობე ტოტით მოეჩრდილათ მუხებს, ათას ხმაზე გიგალობე, შენ არც ერთზე მიპასუხე.

ქარი ხეებს სამოსს ხდიდა, ცად მოთქვამდა წეროს გუნდი, როგორც მსურდა, — გიხმობდი და როგორც გსურდა, — არ დაბრუნდი.

ცოტამ თუ იცის

როგორც არ უნდა კალამი გიქონ, სათქმელი უნდა ითქვას ბოლომდე, ცოტამ თუ იცის, რომ ლექსის სტრიქონს ცაში წერენ და აქ კითხულობენ.

შენს გზას ბედი ხან ვარდებს მიაშლის, ხანაც შეგაკრთობს ქარის ხარხარი, არის კი ვინმე შენი სიმალის შემფასებელი და დამნახავი.

წუხს შენი სული უცხო, ციერი, იშვიათობას მზის და დარების, შენ სიზმარივით ხარ მშვენიერი და სიზმარივით მიუკარები.

მავანთ კალამი რაც უნდა გიქონ, უნდა სიმართლე ითქვას ბოლომდე, ცოტამ თუ იცის, რომ ლექსის სტრიქონს ცაში წერენ და აქ კითხულობენ.

იმ წუთს ვუცდი

იმ წუთს ვუცდი, იმ წუთს ვლოცავ, იმნაირად დაბინდებას, ზედაზნიდან მთვარე როცა ხოხობივით აფრინდება.

მეც ავფრინდი იმავ ბუდით, იგივე მზე და მთვარე მზრდიდა, გარნისთან რომ მესხთა გუნდი უკვდავებას შეეჭიდა.

მალე ვნახავ, დილა მოცლით მთებში თვალებს როგორ ახელს, მუხლისთავს რომ დამიკოცნის ქსნის ტალღები მოკალმახე.

კვლავ უძინარ ღამეს ვათევ, ფიქრს გავანდობ დილის ნიავს, შენს კოცნას რა მომანატრებს, რომ არასდროს გიკოცნია.

ნოემბერი

ნოემბრის ამინდს სუსხი მოაქვს და დროის ამდენი როგორ გემართა... გრძნობ, თვალებს ერთი სხივი მოაკლდა, თმას ერთი თეთრი შემოემატა.

სად იყავ, სად რა ტკივილს უცადე, სად შეეყარე ტყვიას ულოდნელს, შენ ის წიგნი ხარ, სულ რომ ფურცლავენ, ფურცლავენ, მაგრამ არ კითხულობენ.

იმსხვრევა შენი ძვლების აკიდო, შენს ჭერქვეშ ახლა ქარი ფარეშობს, სისხლდანრეტილი შენი სამკვიდრო გადაქცეულა მტრის სათარეშოდ.

რა ხარ და ვინ ხარ, შენს კარს და ერდოს ვინ ისაკუთრებს დარჩენილს ღიად, ლექსს შენსას ფასი ამ მიწით ედო, დღეს ვინ ხარ, ან რა სახელი გქვია.

ვინ იმკობს მძივებს, შენს მკერდზე ნაბამს, ვინ მიუძღვება შენს ხარ-მარხილებს, ახლა სულს, როგორც დაძინებულ კაბას, მიხვალ და ტანჯვით მაიჯახირობ.

ბედმა უდაბურ ნაპირს მიგრეცა, რაც გნავს, ის ცეცხლი ადრეც გინახავს? გახსოვსლა მაინც, უნინ ვინ იყავ, ვინ იყავი და ახლა ვინა ხარ.

ნოემბრის ქარებს სუსხი მოაქვს და დროის ამდენი როგორ გემართა... გრძნობ, თვალებს ერთი სხივი მოაკლდა, თმას ერთი თეთრი შემოემატა.

მანდ მითხრას შენი ამბავი

ამოველ დარდის გუბედან, ვალიც დარდებით მიხადეს, ან რატომ უნდა მძულდე და ან რისთვის უნდა გიყვარდე.

ველოდო, მოვა ანდა ვინ, ვუფრთხი სამადლოდ ნაბოძებს, მანდ მითხრეს შენი ამბავი, მანდ მომკლეს, საარაგვოზე.

ღრუბელს ქარები პენტავენ, ცა არის ცივი, უნდო და ან მე რა მკლავდა, ნეტავი, ან იმათ რაღა უნდოდათ.

მზეს ვემუდარე, მომხედე, ქარი მძრავს თავით ფეხამდი, იმდენად ახლოს მოხვედი, უკვე ველარა მხედავდი.

გზა, მთვარით დაულამბავი, მწუხრის ფერებით დაგოზეს, რად მითხრეს შენი ამბავი, რად მომკლეს საარაგვოზე.

გვიარჯუნ ისე ნუ ჩამივლი

თივის სუნი მოსდევს ურემს, თრიმლი ჩამოსისხლავს კბოდეს, იმნაირად ნუ მიყურებ, ვითომ ჩემთვის არ კვდებოდე.

ბნელს მისტოპავს თეთრი კვიცი, მთები ჭირხლით იფერება, ჩემი ლექსი, შენც ხომ იცი, მხოლოდ შენთვის ინერება.

აოქროვებს მთვარის ლებნის ფეროვნება ტყეს და ახოს, დღეს ხომ იმად მემალეები, ხვალ რომ უკეთ დამენახო.

არც ყმა მყავდა ოქროს ღილით, არც ვყოფილვარ მონა მარტო, გვერდზე ისე ნუ ჩამივლი, რომ სიკვდილი მომანატრო.

არასდროს ბითქვამს

მიდის ჟამი და ყველაფერს მართმევს, წლებმა დაისის შუქი მომფინეს, რაც დასათმობი გამაჩნდა, დავთმე, რაც — არა, ძალით დამათმობინეს.

მზე გადაღებავს მუხნარს იოდით, მალე წვიმებმაც უნდა იტირონ... რაც თავი მახსოვს, სულ მივდიოდი ჩემივე ნების საპირისპიროდ.

ქარი, დღეს ჩემთან ალერსს რომ ღამობს, ფეხქვეშ გამიგებს ფოთლების ფიქალს, იმ სიტყვებით თბილსა და ამოს, რომლებიც ჩემთვის არასდროს გითქვამს.

ცამეტი ნოემბერი

დღეს ჩემს სარკმელთან წვიმა ატირდა, ვერც კი გავიგე, ასე რად არი, როგორ გავიდა ჩემი მარტი და როგორ მომადგა კარზე ზამთარი.

ციმციმებს თოვლი მთის თხემთა ზედა, ხეები ფოთლებს ქარში მარხავენ, ზამთრის დასაწყისს მე თვითონ ვხედავ, ზამთრის დასასრულს სხვები ნახავენ.

ისევ ევას მოწოდება

იმ დღეს მიწაზე დილიდან ცრიდა და სველდებოდა გზა თუ ყანობი, მე შენ მიყვარდი და სამოთხიდან

გამოძევებას ვერც კი ვნანობდი. ჩემს ბედს ტიროდა ზეცა ვნებული, კუპრივით შავი წვებოდა ღამე, მე კი შენს მკერდზე თავმიდებული ვუსმენდი წვიმის ღვთაებრივ გამებს.

თუმც გამოუცნობ ელდით ვკრთებოდი, ირგვლივ ყოველი ჩემებრ კრთებოდა, ვიცოდი, სადაც შენ იქნებოდი ჩემი ედემიც იქ იქნებოდა.

დაქანცულს ამდენ ურვით და ფიქრით, ჟრჟოლად შემყროდა სისხლში ვნება და მე ქალი ვიყავ, სიყვარულს იქით არც რა მსურდა და არც რა მეზადა.

მახსოვს, ცრემლებმა სახე დალორთხეს, იმ დღეს კომმარულ სიზმრად ვიგონებ... მე შენ მიყვარდი და ის სამოთხეც იოლად მისთვის გამოვიგლოვე.

ნუ მგობოთ და მკრულავთ წყევლიან პირით, ტკივილს ირეკლავს გული სარკისებრ, ყველა ქალივით მეც მაშინ ვტირი, როცა სიყვარულს მოვისაკლისებ.

ყველამ თავის გზით უნდა იაროს, არ გკითხავთ, რად წვიმს ან რად ათოვებს, ახლაც, სიყვარულს რომ ეზიაროს, ედემს რამდენი ქალი დატოვებს.

შემინდე, ღმერთო, თუკი ვერ ვნანობ, მსაჯე ნებისად ქარით თუ სეტყვით, და მაინც ქალი სასჯელის გამო სიყვარულს უარს ვერასდროს ეტყვის.

გამაულჯე ფიქრით

ჩემი ხარ, თუმცა სულ სიცოცხლის სანაცვლოდ გჩემობ, ყოფნა-არყოფნის ვიდექ მუდამ გამყოფ ბოგირთან, იქაც, ზეცაში, სხვას ვერაფერს, უფალო ჩემო, მამულზე ფიქრით ამომრეტილ თვალებს მოგიტან.

თუ შენირვაა, ვინატრებდი შენირვას შენთვის, ან მზის ნათელი თუ იცვალა მწუხრის ბინდებად, ვიცი, რომ სისხლის, სისხლის ჩემის სუყველა წვეთი გულიდან ქართულ დროშის ფერად გამობრწყინდება.

ყოჩივარდებით მიდის ზამთარი

სუსხი და თოვლი, ყინულის ლოლოც დაჰკიდა სარკმელს ნათოვ-ნაქარი, ხომ იბობოქრა და მაინც ბოლოს ყოჩივარდებით მიდის ზამთარი.

აფერადდება მწირი თიხნარი ყვავილთა ნაზი, სუსტი ღეროთი, ხომ მოასწარი და ხომ მითხარი, მთელი სიცოცხლე რასაც ველოდი.

იმ დღეს სამყაროს სხვა ფერი ჰქონდა, თითქოს ვარსკვლავი კრთოდა ურიცხვი, მე გაპატიე სუყველა ცოდვა იმ ერთადერთი სიტყვის გულისთვის.

ხომ იბობოქრა, ყინულის ლოლოც დაჰკიდა სარკმელს ნათოვ-ნაქარი, და მაინც ბოლოს, და მაინც ბოლოს ყოჩივარდებით მიდის ზამთარი.

სხვას არას ვითხრო

თითქოსდა ამ გულს ტკივილს ვაჩვენევი, რომ არ ვთქვა, წამლევს ცრემლებს თქორი, როგორ მეგონა, რომ შემამჩნევდი ამდენ კარგ ლექსს და პოეტებს შორის?

რალა დროს, როცა ხელს მწუხრი მიწვდის, კარს დეკემბერი მადგას შიშველი, წინ იმნაირი ზამთარი მიცდის, ათი აპრილიც ვერას მიშველის.

თან — უცხო და თან მრავალსაც ვგავარ, ზოგჯერ — მშინარა, ზოგჯერ — მამაცი, სხვას არას ვითხოვ, მე როცა ნავალ, ტანზე ლექსების კაბა ჩამაცვით.



ქართულ-რუსული შაირ-ციტატაც გამომეცხადა — ესეც ოდნავ გადახრილი:

ისევ მოველ, ისევ მოველ,
ამღერება არის ყოველ.
ერთად კიდევ: **Рано-рано...**
მეცცო-ფორტე და სოპრანო.

1920 წელს „ცხრაას თვრამეტი“ ასე დაიწყო:

იგი მწუხარე მახსოვს არია,
რომელმაც სულში, როგორც ჭიანურს,
სანამლაგები გადაარია
წვალეებს არაადამიანურს.

ჭიანური გამოარჩია და ჭიანურებიც მომართა და აან-ყო:

- ნუ ქვითინებს ჭიანური, დააჩუმეთ თარი.
- ყური დაუგდე შუალამის ჭკვიან ჭიანურს.
- ის დანდობილი იღებს ჭიანურს.
- არ ეძინება ისევ ჭიანურს.
- ჭიანური მომართულა დროების.
- თითქო დემონი უკრავს ჭიანურს.
- ჩუმად ჩამძახებს ჭიანურები.

მაგრამ რომელი მელომანი ამოიკითხავს, რატომ დაარქვა ამ ტაეებებს „ჭიანურები“:

— მიდის ოპერა „ლაკმე“... / მესმის სიცილი მთვრალი,
/ სადმე მეხუთე სართულს / მთვარე უღიმის მკრთალი... /
მჯერა მე შენი ძმობა, / შენი შეშლილი ფერი... / „მცივა!
მომეცი ჭერი!“... / განა მეხუთე სართულს, / განა მეთავე
მთვარეს... / ხშირად ვიგონებ ვერლენს... / ხშირად ვიგონებ
პარიზს... / ლაკმე, სადა ხარ, ლაკმე!

მისი პასუხი ასეთია:

— ყურებში ხმაურება მესმოდა: შოპენი, ბეთხოვენი,
ჭიანური, როიალი — სულ ერთად იყვენ არეულნი!

მე კი ასე ვივარაუდე: ოპერის ორკესტრში ჭიანურის
სიმი ამოიცნო:

სიჩუმეა და შორით შორს
ისმის, როგორც წვიმა,
მხოლოდ ერთი სიმი.

„კოსმიური ორკესტრის“ ეს ერთადერთი სიმიც შორი-დან მოესმა, შორიდან კარნახობდა ქვეცნობიერი ანუ მეორე მე ანუ მეორე გალაკტიონი.

გალაკტიონ ტაბიძე ადრინდელ „ლურჯა ცხენებისა“ და „ეფემერას“ ავტორად აღიარეს და კონკურსშიც კვლავაც ყველაზე მეტ ხმას ეგ ორი მოიპოვეს, ანდა — „ეფემერა“ აღემატება რამდენიმე ხმით. მე კი რატომღაც ინტუიციამ მკარნახობს — გაუხმაურებელთა კულისებიდან უნდა გამოგვეცხადოს რეალური — ყველაზე მეტად მოუხელთებელი და დაშიფრული, რათა აღმოჩენის ეფექტი მოიპოვოს — დიახ, აღმოჩენისა — თითქმის საუკუნის შემდეგ: არა „ლურჯა ცხენები“, არა „ეფემერა“, არამედ...

მე ყველაზე ხანგრძლივმა ჩამიკრა თვალი, იპსონური პოეზიის მოყვარულმა შეიძლება თითქმის უცნობი — თვით ავტორისაგან შეუმჩნეველი და მივიწყებული შეიყვაროს:

როგორ შემეძლო
არ დამეთვალა,
რამდენჯერ სცემდა ტყეში ნაჯახი.

სხვათაშორის: შეიძლება ჩანანერებიდან და ვარიანტებიდან შეირჩეს და ამოიკრიბოს არარეალიზებული ფრაგმენტები და — პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელ რჩეულებთან ერთად — ნავიკითხით გალაკტიონის კიდევ ერთი მიმზიდველი ლირიკული კრებული.

ზარემ ამ წიგნის ფავორიტს აქვე მოვუსმინოთ: ეს უსათაურო და უთარილო, გადაძალული და გადაარქივებული, ამკარად აკლია „არტისტული ყვავილების“ პოლიფონიას და შეიძლება ესეც რომაულად დაგვეცნობრა — როგორც ოთხმოცდამეხუთე — LXXXVII:

ქარი დასცხრა სიბობოქრის,
შავი ზღვიდან სიო მოქრის,
მე გიცქერი, როგორც ოქროს,
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...

მე გიცქერი, როგორც ქარვას,
შორით შორად ფიქრი წარვალს,
თან გაატანს ქართა ქარვას
ჩამავალ მზეს, ჩამავალს!

ო, ფიქრებო, მსვენო ტაძრად,
ო, ქვეულნო მტვრად და ნაცრად,
რად მიყვებით ასე მკაცრად
ჩამავალ მზეს, ჩამავალს.

„ჩამავალ მზეთა მელანქოლია“ მემკვიდრეობით ებოძა და უჯრებიანი რვეულის ფარატიხა ფურცელზე გადაარქივებულმა ამ თორმეტმა ტაეებმა ციკლი „დახურა“.

დიახაც გადაარქივებულმა და დიახაც საიმედოდ გადაარქივებულმა, ვინაიდან ჯიბეში ორი გასაღები ედო და თვითონა ვარ ცოცხალი მოწმე, როგორ გაალო ჯერ ერთი გასაღებით საკუთარი ბინის კარი და მერე — მეორე გასაღებით — საკუთარი კაბინეტის ანუ ოთახის ანუ

არქივის კარი მაშინ, როდესაც მესამე მეუღლე სახლში ბრძანდებოდა.

ცამეტი წლის შემდეგ კი, 1972 წელს, როდესაც აკადემიური თორმეტმეულის მეშვიდე ტომში სწორედ საიმედოდ გადაარქივებულები უნდა დაბეჭდილიყო და სარედაქციო კოლეგიის რწმუნებით გამოუქვეყნებელთა შერჩევა და განლაგება დამევალა, ტომის პირველსავე გვერდზე ეს უსათაურო-უთარილო დავაბინავე და მოგვიანებით შემდგენელთა მიერ შეცდომით ამოკითხული მეექვსე ტაეიც გავასწორე: „შორით შორად ფიქრით წარვალს“ და „შორით შორად ფიქრი წარვალს“.

ხოლო, როდესაც „ქარი დასცხრა სიბობოქრის“ და „ჩამავალ მზეთა უკანასკნელი და სისხლიანი გზა ჩაიშალა“, აკაკი განერელიამ ბრძანა (თითქოს მაესტროს მოეკლას თავი!):

— გალაკტიონის დასაფლავება მუსიკის გამოტირება იყო.

„კოსმიური ორკესტრის“ ავტორაფების ვარიანტებს შორის ერთს ჰქვია კიდევ — „მუზიკა“.

— განა აზრი მუსიკა არ არის? — გულწრფელად გაიკვირვა ერთხელ ქუთაისში და ასე ფიქრობდა, როცა „კოსმიური ორკესტრის“ აკორდებს ახმოვანებდა.

გალაკტიონის სიტყვის მუსიკა უფრო აინტერესებდა: ცნობილ ლოტბარს ძუკუ ლოლუსას სთხოვდა — მეგრულად მადღერძელო.

ახლახან დიანა ანფიმიადიმ ხმოვნებისა და თანხმოვნების გამოხშირვით გალაკტიონის ორი სტრიქონი დაშიფრა და ორიგინალური ფონეტიკური მელოდია მოგვასმენინა:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...

ქრ ჰქრს ქრ ჰქრს ქრ ჰქრს
ფოთლ მჰქრნ ქრდქრ

აი ი აი ი აი ი
ოეი იია ააა

გალაკტიონი ამბობდა: — სიტყვა არც რომანსია, არც სუიტი, არც ოპერა, — ამით ყავთ თავიანთი კომპოზიტორები. სიტყვა გამოძახილია მხოლოდ სხვა დიდი მუსიკის, რომლის სახელიც უნდა მოინახოს.

„სხვა მუსიკაზე“ მეოცნებეს არ მოსწონდა „კოსმიური ორკესტრის“ სათაური: 1947 წელს, ოთხი ტომის გამოცემის შემდეგ, ოთხტომეულის უცნაური ბიბლიოგრაფია შეადგინა და საკუთარი ლირიკულები ჩვეულებისამებრ გადანათლა:

— ილაპარაკეთ, გვედრებით, ქართულად („სალამო“).
— არც ვალეებს ვიღებ
და არც ვუდებები ვინმეს თავებდად („ძველისძველ ღვინოს“).

— გამოჩნდა რხევა მაღალი ტანის („ყანწები“).
— მითხარ, რას გამოგადგება მონადირისა ცოლობა („მე ვინც მიყვარდა“).

— შენ სრულიად ყურს არ მიგდებდი („მოგონება“).
ამ ჩამონათვალშია:

— კოსმიური ორკესტრი (სათაური შესაცვლელია).
ეს სათაური თითქოს შედეგების ნაკრძალის კონტექსტში ვერ ჯდება და შეიძლება ოლიას რუსულით იყოს დავალებული, ვინაიდან ოლია აძალებდა და აჩქარებდა, ნაღვერშიც კი არ ასვენებდა, თითქოს გრძნობდა კრიზისის მოახლოებას:

— **Нужно начать поэму.**
— **Да, нужен „Мировой оркестр“.**

თუმცა ასეთი სტრიქონი დაწერა და გადახაზა ოციანი წლების დასაწყისში:

მადლობა უფალს: არა ვარ რუსი!

— ახსნა შეუძლებელიაო! — გვახსოვს ავტორიტეტების შეთანხმებული რეპლიკები. ისე, ერთხელ, თვითონაც დაეჭვებულა:

აჰა: ნაღველით გზა ენისლება,
სჩქეფს, მინანაობს და არ იცლება —
არ შეიძლება ლირიკის ახსნა:
მე კი მგონია, რომ შეიძლება.

მაგრამ ეს კატრენი გართმულია 1940 წლის მარტში, როცა მაესტრო კარგახნის გამოსული თუ გამოძევებული გახლდათ შედეგების ნაკრძალიდან ანუ „კოსმიური ორკესტრის“ საკონცერტო დარბაზიდან და ჩვენებურ სიზმრებს ხედავდა: აღარც აუხსნელების უმრავლესობა ახსოვდა და აღარც ბრაკონიერობის ბრალდება.

და, რაკი ავტორიტეტულმა რეპლიკებმა გაგვაფრთხილეს და დაგვარწმუნეს — ახსნა შეუძლებელიაო, ჩემი არჩევანისათვის ირიბი მახასიათებლები უნდა მოვიშველიო.

ადრე დავუანგარიშე: ასორმოცდაოთხ ტაეპში თვრამეტჯერ იცვლება რიტმი — მინორი და მაჟორი. თორმეტი მეტრი ენაცვლება ერთმანეთს და ისე ენაცვლებიან ერთიმეორეს ლირიკული და მელოდირი სანყისები ანუ ინტონაციები, გაგჭირდებათ ზღვარის გავლება.

შედევრების აღმავალ თანამიმდევრობას უნდა ვადავევნო მზერა, შთაგონების გახანგრძლივების მომენ-

ტიც უნდა გავითვალისწინოთ: მიუხედავად იმისა, რომ ერთბაშად არ დაწერილა, მაინც მოსწრებაზე, ისეთიონება — როგორც ერთი და უკანასკნელი ამოსუნთქვით დაწერილი.

სივრცე და გარემოც უნდა დავაფასოთ: არამინიერი! და, რაც მთავარია, აქ პოლ ვალერის ორი მაქსიმა თავისთავად ციტირებს:

— ყველაზე უკეთესი ქმნილება არის ის, რომელიც ყველაზე დიდხანს ინახავს თავის საიდუმლოს.

— ძალიან დიდხანს აზრადაც არ მოუფა ვინმეს, რომ ის, საერთოდ, იმარხავს რაიმე საიდუმლოს.

დაიხ, ჩემი არჩევანის საიდუმლო თითქმის საუკუნისაა. ჩემი არჩევანი უკვე ოთხმოცდათორმეტი წელიწადია ინახავს და „იმარხავს“ საკუთარ საიდუმლოს. მაგრამ, თუკი ჩემი ერთი ხმა ერთადერთი აღმოჩნდება? ნუ გაიკვირვებთ: აკი გაგაფრთხილეთ — ასაკმა გამათამაშა-მეთქი: ჩემი არჩევანის ასაკი მხოლოდ ექვსი წლით აღემატება ჩემს ასაკს.

ანდა — იქნებ ვჩქარობ: იქნებ სხვამ სხვა მოულოდნელი აღმოაჩინოს და გადაგვარწმუნოს. იქნებ ერთხელ კიდევ გამობრწყინდეს „სხვა საუკუნე გალაკტიონის“ და კიდევ უფრო მეტად გავიშინაურთ „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“, რათა მეტი საიდუმლო დაგვტყუოთ?! გვახსოვს — არათუ საუკუნის — საუკუნეების შემდეგაც აღიარებულები. თავად ანშტაინმა ბრძანა — ღმერთი კამათელს აგორებსო და ბედისწერას უყვარს ბედნიერი გამონაკლისები. გალაკტიონი ხომ ხან უცხოპლანეტელს ჰგავდა, ხანაც — დანარჩენი საუკუნეების მოქალაქეს?! და კიდევ გვახსოვს: „ქართლის ცხოვრებაში“ აღექსანდრე მაკედონელი გამოგვეცხადა და აქილეუსის ხარჯზე ჰომეროსი განადიდა:

— არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე
მაქებელსა უმიროსს.

დაიხ, არსებობენ გენიალური შემფასებლები და დამფასებლები, და მკითხველებიც არსებობენ — გენიალურები: მაგალითად — ილია ჭავჭავაძე, მაგალითად — გერონტი ქიქოძე.

გალაკტიონმა შეიცნო და შეეშინდა: — გერონტი ქიქოძე არაა საჭირო, თუ წინასწარ წერილი არ წარმოადგინა!

თურმე ამაოდ შეეშინდა: გერონტი ქიქოძემ წარმოადგინა, მაგრამ რა წერილი წარმოადგინა!

რა წერილი და: აგერ, ოცდაშვიდი წელიწადია — მემამაყება: ეს პირადი წერილი მე გამოვიტანე მზის სინათლეზე გალაკტიონის არქივიდან 1991 წელს და ახლა მენათმეობამ ამ უსტარს პირადი წერილი რომ ვუნოდე.

ეს უსტარი თუ ეპისტოლე თუ ბარათი თუ წერილი გალაკტიონს მოენონა და აღრიცხა და შეინახა (მე შემინახა!), ხოლო ოლგა დარიუსს ოცდათერთმეტი წლის შემდეგაც ახსოვდა და ნოდარ ტაბიძე გააფრთხილა, ძალიან დასანანი იქნება, თუკი დაიკარგებო.

უკვე სამოცი წელი სრულდება, რაც გალაკტიონის თვითმკვლელობამ განსაკუთრებით დაგვაინტერესა. ამ ათეულების განმავლობაში მრავალი მიუახლოვდა და უახლოვდება გალაკტიონის საიდუმლოს — ლეგიონია მათი სახელი. და, მიუხედავად ამისა, მაინც: გერონტი ქიქოძემ აღმოაჩინა, უნებლიეთ აღმოაჩინა, სიცოცხლეშივე აღმოაჩინა.

სხვათაშორის: ბრწყინვალე დიბიუტის შემდეგ ანა კალანდაძეს აღარაფერი სჭირდა აღმოსაჩენი. მაგრამ წარმატებულმა დებიუტმა ხომ ცხელ კვალზე უნდა დატოვოს ანაბეჭდი?! და აი, მეორე დღესვე, 1946 წლის 26 მაისს დაიწერა ერთადერთი აბზაცი — დებიუტანტის პიროვნული და პოეტური პორტრეტი, რომელიც ორმოცდაექვსი წლის შემდეგ ნავიკითხეთ და ამ აბზაციის ავტორი აღმოჩნდა იგივე გერონტი ქიქოძე. ბედისწერის წყალობით ეს აბზაცი მე ანაზე ადრე ნავიკითხე 1992 წელს, მერე ანას ნავიკითხე და შემდეგ ანოტაციასავით წარვუმძღვარე ანას ორტომეულს 1996 წელს:

— 1946 წლის 25 მაისი დიდი თარიღია ქართული ლიტერატურის ცხოვრებაში. მწერალთა სასახლეში ოცდაორი წლის ქალიშვილმა ანა კალანდაძემ თავისი ლექსების რვეული ნავიკითხა მსმენელებით სავსე დარბაზში. ამ დღიდან იწყება ქართული ლირიკის აღორძინება. ვაჟა-ფშაველას შემდეგ პირველი დიდი პოეტი მოგვევლინა. მას აქვს მეტად ორიგინალური რელიგიური მსოფლშეგრძნება, სრულიად ახალი პოეტური მეტყველება. მისი შთაგონების წყაროებს ქართული ცხოვრება, ბიბლია, დ. გურამიშვილი, გურიის ფოლკლორი წარმოადგენს. გასაოცარია ეროტიკული მოტივების უქონლობა. მისი ლექსები უფრო რელიგიურ ჰიმნებს ჰგავს, ვიდრე პირად ლირიკულ აღსარებას. მომცრო ტანისაა, მშვენიერი თვალები და მიმზიდველი სახე აქვს. თავი უბრალოდ უჭირავს, მაგრამ ღირსეულად. რა მშვენიერია მისი კითხვის მანერა, უკეთ ვთქვათ — უმანკობა! მისი მისი მუსიკა ახლაც მესმის.

აქ ავტორს ბედნიერების წუთების განცდამ თავისი 1942 წლის 6 მაისის წერილი და გალაკტიონი დაავინყა, მაგრამ გალაკტიონი ხომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო?!

როგორც ნავიკითხეთ, გერონტი ქიქოძე მოწოდებულ იყო გახლდათ ყოფილიყო მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის „მაჯაშისა შემტყვებარი“. ორჯერ უნებლიეთ ჩაერთო პროცესში, ოთხი წლის ინტერვალთ — 1942 წელს და 1946 წელს, ორივე შემთხვევაში მაისის თვეში — 6 მაისსა და 26 მაისს, — თუმცა ერთი ეპიზოდით უნდა გავიხსენო:



ნათია გიორგაძე

გარდა ამისა, შეუძლებელი
საქმეებიდან მას შეუძლია
დააღრწოს ყველა წყალნალეხული
და არა მარტო...
მას შეუძლია იყოს ლამაზი
და არა მარტო...
მას შეუძლია ჩვენში დაშრეს
და არა მარტო...
მას შეუძლია ღმერთის ხელში
იქცეს ღვინოდ და აზიარონ
ხალხი ამ ღვინით,
მას შეუძლია ააშენოს ის, რაც დაამხო,
მას შეუძლია ღია ცის ქვეშ
გასკდეს ნალმივით,
ჩვენ შეგვიძლია წყალი ვნაყოთ, დასასრულისკენ
უკუსვლით და თავშესაქცევად...

თუ ლექსს არ დანერ,
აბა ნახე, თუ ლექსს არ დანერ,
ეგებ... არ მინდა ჯერ სიკვდილი,
როგორც ქირურგის დანის სიზუსტე
და გატაცება ქირომანტიით,
უკანასკნელი ბგერის მომტანი
ქარი ჩადგა და მოვალე ხარ
უნდა გადარჩე.
ჯვარედინია ყველა ქალის
მაკედონელი, აბრაამ ლინკოლნი
და სტალინი, ყველა კაცია,
მოსაყოლი კი არც თუ ისე მარტივი გახდა,
რადგან ნიშანი ყველა კაცშია.
კვირაში ერთხელ ცეცხლს დაანთებენ,
კვირაში ერთხელ შიშით დაგვსჯიან,
გარეთ ჩხიკვები ვილაცას ჩხრეკენ,
ვილაცის შიგნით თეთნულდია,
მყინვარწვერია...
რომელიც ამბობს: არ გადაშენდე!

ის გოგო ნითელთმიანი,
მე რომ სკოლაში მეგონა,
მე რომ სოფელში მეგონა,
ის გოგო ვნახე, მომკვდარა
და თითქოს მეხი დამეცა,
მისი თმისფერი ცეცხლის.
ძალიან ადრე მომკვდარა
(ჩემზე ათი წლით უმცროსი)
ვერცხლისწყალივით, ცელქი.
ის გოგო, მე რომ ვიცნობდი,
რისგან მომკვდარა, ვერ ვთქვი.
მასაც ხომ შეიძლება
გათეთრებოდა თმები
მისი სიცილი დღესაც
ალბათ კუბოს ჭერს ახდის,
ჟღალს არა, რიჟას ეძახდნენ,
მე, მზეთუნახავს ვეძახდი.

სამი წლის უკან შეგამცირეს,
გაქეხ, გადიდეს, დიად მომავალს
აგადევნეს და გამოგიშვეს.
ეს იყო ისე ცხადი და კარგი,
რომ ვერც კი მიხვდი ცუდი რა იყო.
როცა სახლში ხარ, როცა გაქვს სახლი,
როცა გყავს შვილი, ახალშობილი,
როცა გყავს ქმარი ახალშერთული,
ხომ უნდა გასცე რამე სანაცვლოდ?
ჰოდა, ეს იყოს სამსახური,
ჯანდაბას, იყოს სამსახური,
ძალიან დიდხანს რომ გიყვარდა,
ის სამსახური...
მშვენიერია, ვერაფერს იტყვი,
ორმოცი წლისას გაგიმართლა
და შენს შვილს შია...

დაღმასვლით ვიაროთ,
ხმა შევიბრუნოთ
და ფეხისხმაზე ადევნებულ
ღმერთის კაცს
სახე მიუშვიროთ,
განზოგადებული,
გულისთქმას აყოლილი
მხატვრული სახე.
მერე ვქნათ ისე, რაც იქნება,
როგორც იქნება,
დღისით და ღამით
დავივიწყოთ, რაც ვერ წავშალეთ,
რაც ვერ მოვთოკეთ, რაც ვერ დავკარგეთ,
რაც დავიბრუნეთ და განვიცადეთ.
ჩვენ, როგორც ცნობილ ადამიანს
უცნობები, ვაშინებთ. ჩვენ, როგორც
წერას ატანილებს, გვაშინებენ.
ჩვენ, არაფერი გვინატრია,

ვიღვიძებ,
სად არის მშვიდობა?
რომელსაც ასე ველი,
ვიძინებ, გამყავს ცხოვრება —
სამოქალაქო სივრცე,
შიგნიდან ხდება, რაც ხდება,
ცდას არ დაგაკლებს გული,
გარეთ ტრამვაის ხმა ისმის,
საერთოდ ხმა თუ ისმის?
— შენ დაიტოვე ღმერთი
მინაში გაბნეული,
შენ, შეცვალე და მკვდარმა
იარე მარტოდმარტო,
როცა ის გაინირა
შენი ხელით და შენში...
არსად არ იყო ომი,
არსად არ იყო მტერი.

ვინ უნდა მწყემსოს სურვილები?
არ მოდის წვიმა,
ქალაქს კი მაინც ეშინია მეხის დაცემის,
ხომ დაადგინეს კანონები უცხო კაცებმა,
ღრმა უდაბნოში... არ მოდის წვიმა,
თითქოს ყველა სიკვდილს აპირებს
და განწყვეტილი სარეცხის თოკი
მთელი კორპუსის სიმაღლეზე
მიიკლაკნება,
ეს იმედით კანონმორჩილი,
მთელი კორპუსის სიმაღლეზე
არ მოდის წვიმა.
მოსე, დავითი, აბრაამი,
თავისუფლებას:
ფრენის დრო და
ფრენის სიხშირე.

მზე შეიძულა,
სქელი ფარდები
დაუშვა,
წუთით ისიც დაუშვა,
რომ აღარაა ქვეყნად
საშველი. მერე ის წუთი დაივიწყა,
როგორც ის კაცი,
რომლისგანაც სურდა გაქცევა
და ჩაიქნია ხელი,
ჩაის სმას — მიჰყო
და ჩაიარა ვით ზღაპარში
მზეთუნახავმა.
იდგნენ ქალაქში
ჰამლეტები
და მეფეები
არ იყვნენ არსად,
არც მკვდრებში,

ალარც მოსაკლავებში,
აკვიატებულ აზრებს
იკრებდა,
მზე შეიძულა,
მზე ამოძირკვა,
მზისგულზე
იშვა, როგორც გეიშა.
მას ჰქონდა ფესვი
მზის სამშობლოში
და მოიკვეთა...

რძესავით წამოქაფებული
მომდევს წარსული,
საერთოდ მინდა, დრო იყოს ცოტა
და არ გყოფნიდეს არაფრისთვის,
და არ გახსოვდეს არაფერი.
და არ მოგყავდეს ციტატები,
რადგან არ იყო მჭერმეტყველი,
ენამზე თუ ენაწყლიანი,
რადგან არ იყო სიტყვამდინარე,
არამედ დამშრალ მოძღვრებაში
ეძებდე ქრისტეს, ყველა თევზიდან
დარჩენილი ჩონჩხის კვალივით
იკვლიო მკვდრები და ცას უყურო,
როგორც მოძრავ ქვას,
ქვას საფლავისას და არ მოტყუდე.

კაცი რომ გატყდა,
წამებისგან, მაშინ ამბობდნენ,
დასახვერეთა ღმერთი,
როგორც გამოგონილი.
კაცი რომ გახდა
გმირი, მაშინ
ამას ამბობდნენ,
მუხლებდამტვრეულ,
ჭკუაზე შემცდარ ქალს
უყურებდა,
ეს ქალი იყო
სამყაროში მთავარი ქალი.
კაცი რომ გაქრა
ზუსტად ისე,
რომ არ გვინახავს,
ქალი კი —
თუნდაც მზიარული...
ჩვენ ახლა გვესმის
რას არ ამბობენ,
და რას მარხავენ
ცაში...

წყალს შეუძლია: ცეკვა, სიმღერა,
ამბის მიტანა და მინად ქცევა,


ნერომ მოიტანა წერილი,
წერილში ბავშვები არ იყვნენ
და ვერც ჩვენ ვახსენეთ ბავშვები.
თემა გავშალეთ და ლოგინად ჩაფარდნილს
შეშლილი უვლიდა და შეშლილს მღვრიეს
ხელში ცა ეჭირა.

როცა ჩვენ თოვლი გადავყარეთ,
ვთქვით: თოვლქვეშ იყო.
მზე არ გამოვა. არ გამოვა დღეს
დიდი საქმე, ყვავილებივით
მოციმციმე წევს და
მდინარეს თავქვე მიაქვს,
რაც იცის კაცმა.
ალარ უსმენენ შენს ქალაქში
მოსამართლეებს,
ალარ უსმენენ ბრალდებულებს,
არც ცოცხლებს-მეთქი, რომ გითხარი,
შორს დარჩენილი, გამახსენდა
ჩემი სახლ-კარი, ალარ მინახავს
სახურავზე იმდენი თოვლი
ბავშვობის მერე, და არც ისე
გამხარებია მე გადარჩენა
ადამიანის...
მოდი და ჩემზე ნუ იტყვი
მართალს.

თბილისს

რაც ახლა ხდება, არ მიკვირს,
ალარაფერი მიკვირს!
ჩემი პატარა ქალაქი, სადაც ლექსები დავრგე
და ნარგავები დავტოვე, ჩემი პატარა ქალაქი,
სადაც არავინ ცხოვრობს
და ახალმოსვრილეთა ფოთლებს არავინ ხატავს.
ჩემი პატარა ქალაქი, ნაშენი ყრუდ და მჭიდროდ,
სადაც წრეს ცეცხლზე შეკრავდნენ
და წრიდან გააღწევდნენ.
ახლა მე შეგძლებ, ამ ქალაქში შენ დაგამკვიდრო,
ხმამალა დაგვიძახო და როცა გამაგონებ,
ხმამალა გავიცინო,
ისე გულიანად, როგორც ბავშვობაში.
ახლა შემოდის შენ ჩემი პირველი სიმღერა მოგიძღვნა,
ისე, როგორც პირველ შეყვარებულს პირველი ლექსი
და შევიშალო შენი სიმახინჯით
და შევიშალო ყველა მთავარ შეშლილზე მეტად და
ასე გავხდე ბედნიერი ამ ცისქვეშეთში,
შენ შეგიძლია ...ვერ დამინახო.

თუ კაცი ომში მიდის,
თუ კაცი ჯარში მიდის,
თუ კაცი მასების კაცია
იგი ვერ იქნება შენი ქმარი.
მაგრამ ხომ იყო შენი ქმარი
ჯარში და ომში, ბოლოს ციხეშიც,
დიდი ხანია არ ყოფილა ჩვენში სხვა გმირი,
მწერლებმა თქვეს და ვერ აღწერეს მისი გმირობა.
შვილი თუ დარჩა, ან შვილები?
იკითხავს ვიღაც, ცოლი ჰყოლია დედოფალი,
ცოლს არ ჰქონია უბრალო სისხლი,
მაგრამ შვილები? ან დიდები, ან პატარები
ტირიან,
რადგან მდინარესთან მათი ხმა ისმის...



ლექსი
წიგნაკლი

გაზაფხული

ვერ მივუსწარი გაზაფხულის დაბრუნებას
მშობლიურ ბაღში.
ვერ ვნახე, როგორ გაშალა მისმა ვარდი.
ვერც მამის საფლავს გადავაცალე გულზე ბალახი.
ვერ მოვილოცე
ჩიტებით მოგალობე სამების საყდარი.
ნეტა როგორ ეალერსებოდა
ახლადმობილ ბოჩოლას ფური,
გამოჰყავდა მზისფერი ნინილები
მზის გულზე დედას.
როგორ ერტყა ცას ღრუბლის ყელსაბამი...
ჩემი ოთახიდან ერთი ციდა მინა მოჩანს,
გაკვირტული ხეებით დაფარული,
მზის ამოსვლა, ღამის სანმისზე დაყრილი ვარსკვლავები.
სულს ისე ენატრება წმინდა, მშვენიერი,
როგორც დამშრალ წყაროს გაზაფხულის წვიმები.

სიმშვიდე

თენებისას ფეხაკრეფით მოდის ნათელი.
ფრთხილად შლის კვირტებს ატმის ვარდისფერი ბალი,
მზის და ღრუბლის მადლიერი.
წყნარია ღამე, ვარსკვლავების სხივით ნახატი,
სათნოა მზერა ღვთისმშობლის ხატის,
ჩუმად მიდის დრო,
თოვლივით ადნობს გულს სიხარული და ტკივილი,
შეეგებე ლოცვით,
შენს გულშიც გაშლის სიმშვიდე
მიტევების მშვენიერ ყვავილს.

ბაღის ჩიტი

სარკმელთან ნავარდობენ ცის ფრინველები.
რიჟრაჟის მეხოტბენი.
მალე გაჰყვებიან მზეს და ყვავილებს სამხრეთისაკენ.
გადაივლიან ზღვებს, მდინარეებს...
ისე მიფრინავენ,
თითქოს უფალმა
გადაწერა სივრცეს პირჯვარი.
გაზაფხულობით მესიზმრება
ცისფერი ვარდებით მოლიცლიცე ველი.
ცის ცვრით, ვარდის სურნელით გაჟღენთილი ფრთები,
მძლავრი, მოლივლივე ტყვეობაში დალენილი.

განწყობა

მთელი ზაფხული
მიტოვებულ შვილებს უხმობდა გუგული.
გათენებისას ვუსმენდი მის ხმას,
მერე ბილიკზე მოხტუნავე ბელურები
დაფრთხნენ ფეხის ხმაზე.
მესტუმრა მეგობარი,
შეეხიდა ჩემს სიმარტოვეს.
ვსხედვართ აივანზე,
ლამბაქზე ქარვად ციალებს თაფლი.

ცნობისმოყვარედ გვიჭვრეტს
გირჩებით დახალული ნაძვი.

სიზმარი

ჩამომსვამს ფრთიდან შენს საუფლოში
ლურჯი ფასკუნჯი.
შემეგებება სამი ნაზი და, სამი სიზმარი.
უფროსი დამიფენს თმის ტევრს,
მეორე შროშანებს,
უმცროსი მომართმევს ყურთბალიშს,
ხილვებით ნაქარგს.
მოჰყვება მთავრის ჯაჭვს ვარდების უფლისწული,
ჩემი გულის ყურისმგდებელი.
სანთლებივით ციმციმებენ
ციცინათელებად ქცეული ვარსკვლავები.
გათენებისას სიზმრების კარავს
ნათლით გადაფერავს ცისკარი.

წეროს ქვა

„ძველად მთაში წეროს მოტანილ ქვას სიყვარულის
ქვას ეძახდნენ. სჯეროდათ, თეთრ ქვას სიყვარულის
მაგიური ძალა ჰქონდა“.

ნეტა შეგეძლოს თვალშეუდგამ ჭიუხში ასვლა
მომიტანდი სიყვარულის ქვას.
მოყვავილე ქვეყნიდან დაბრუნებულ წეროებს
ნისკარტით მოაქვთ,
ცასთან ახლოს, კლდეზე ტოვებენ.
თეთრია ის ქვა წეროს ყელივით,
თილისმად უსახსოვრებდი მონატრების ჩურჩულს
წეროს ნაღვლიანი ძახილის დარს,
გაზაფხულობით თეთრი ქვებით მოვკენჭავდი
სიყვარულის ნისლიან ბილიკს.

საათი

ნიკნიკებს, მიითვლის წამებს,
ბავშვობის დროინდელი საათი,
ვერცხლის იაღონს დანდობილი...
გარეთ კი ვაშლის ყვავილობაა.
წვიმა გაზაფხულის სიმღერას მღერის.
ნაცნობ ხმებსა და ჩუმ შარიშურში
სევდის მკურნალი,
მშობლიური სახლის წყნარი გულისცემა მესმის...

ნისლი

მიმოაფრქვია ღვინობისთვემ ფერთა გვირგვინი.
დაცურავს ნისლი, სიფრიფანა ბაგეებით
ეფერება ჩიტის ბუდეს,
გაკრეფილ ვენახს, მიტოვებულ კარ-მიდამოსთან
ცრემლად იღვრება.
აუჩინარებს გზას და თემშარას.
ვზივარ სარკმელთან,
ძველ წერილს ვფურცლავ,
გაცრეცილი სტრიქონებიდან
ნისლად ქცეული სიყვარული მეჩურჩულდება...

ხმები

პისტივის აღარ დამიგდია ყური:
 შიმშილისგან ლანდდატყეული მოხუცი
 პოლკოვნიკისთვის, მასზე არანაკლებ გამბ-
 დარი, ასთმით გათანგული ცოლი რომ
 ეტყვის — ძვლებად ქცეულხარო, და ის
 კიდევ მძიმე, მოუნელებელი დარდებით
 დაღრღნილი, მხიარულ პასუხს რომ გას-
 ცემს — გასაყიდად ვამზადებ თავს, უკვე
 მივიღე შეკვეთა კლარნეტების ქარხ-
 ნიდანო...

ევროპიდან შინ, ნიუ-იორკში დაბრუნებ-
 ულ ახალგაზრდა, აბობოქრებული ვულკა-
 ნის ენერგიით აღსავსე მწერლისთვის,
 ტვირთების გადამზიდავი კანტორის ღამ-
 ღამობით მქროლავ მანქანებს ლამის ცოცხ-
 ალ არსებებად რომ მიიჩნევდა, მათ
 საჭეებთან მსხდარ მძღოლებთან —
 პირქუშ, ჯანიან კაცებთან რომ აიგივებდა
 და იმ საძმოს მიაკუთვნებდა, რომელსაც
 ღამე უყვარს, ვისთვისაც ის შემოქმედები-
 თი აღმაფრენის დროა...

ოციოდე წლის ცეტთა შორის უცეტეს
 გოგოსთვის, ბარმენს რომ უხსნიდა — ტყის
 სულიერის, ნადირის შეყვარება და შინ მიყ-
 ვანა არ შერბა, რადგან შენი სიყვარუ-
 ლი აძლიერებს მას და როცა საბოლოოდ
 მოძლიერდება, გაგეტყვება, ტყის დაუბრუნ-
 დებაო. ჰოლის ეძახდნენ ამ გოგოს, საიუ-
 ველირო ყალბის ვიტრინის წინ სვამდა
 ხოლმე ყავას და სინამდვილეში ლულამეი
 ერქვა...

ჩასუქებულ, ჭკუის დარიგების მოყ-
 ვარულ ქალისთვის, პირველ მსოფლიო
 ომში ნამყოფ ახალგაზრდა ავტომექანიკო-
 სს, რომელმაც ძველისძველი „ფორდის“
 შეკეთებაზე თუ ურიგოდ მომსახურებაზე
 უარი უთხრა, უფროსთან უჩივლა და იმ
 უფროსის მიერ შექანიკოსისთვის ნათქვამი
 სასაყვედურო სიტყვები: „თქვენ ყველანი
 (ნაომრები) — დაკარგული თაობა ხართ“,
 ერთ დამწყებ მწერალთან გაიმეორა და
 აფორიზმად აქცია...

ჭკვიანი, გამჭრიახი, მამაცი ფრან-
 ცისკელი ბერისთვის, თავის უწვერულ შეგ-
 ირდს ბენედიქტელთა მონასტრის სკრიპ-
 ტორიუმის გადამბურგველ ფანატიკოსზე
 საუბრისას რომ აფრთხილებდა —
 წინასწარმეტყველების გემინოდეს და იმ
 ხალხის, ვინც მზად არის ჭეშმარიტები-
 სთვის მოკვდეს, რადგან მრავალთ გაიყ-
 ოლებენ თან, შეიძლება წინაც წაიმძღ-
 ვრონ, ანდა სულაც სხვები განირონ...

მობერებული ჩხუბისთვისთვის ბუე-
 ნოს-აირესიდან, საყვარელი ქალის მიერ
 უარყოფილ მეგობარს შურისძიებაზე ხელი
 რომ ვერ აადებინა, ის მეგობარი, ქალის
 ნამგვრელ კაცს რომ შეაკვდა დანებით დუ-
 ელში და ყოველივე ამან — დამნაშავედ
 რომ აგრძნობინა თავი... აგრძნობინა ისე
 მწარედ, რომ მან, თავზეხელაღებულითა
 შორის ყველაზე სახიფათომ, უშიზეზოდ
 ახირებულ შურაცხმყოფელს, რომელმაც
 ლაჩარი უწოდა, უპასუხა, მხდალის სახე-
 ლი არ მაშინებსო და გაეცალა.

პარიზელი ონავარი ბიჭისთვის, ორ
 ატირებულ ბავშვს რომ მოჰყარა თვალი ცივი
 ქართი და ლიპინულებით გათოშილ ქუ-
 ჩებში წაწაღისას, წვრილად რომ გამოჰ-
 კითხა ტირილის მიზეზი და რომ დაადგინა
 ის, ჯიბიდან ერთი სუ დაადრო, პურის საცხ-
 ობში შეუძღვა პატარავს, სამი ნაჭერი
 მოთხოვა, თეთრის მაგივრად შავი პური
 რომ დაუდეს წინ, მრისხანედ რომ ჰკითხა,
 მეპურეს — ექსკუსა? ეს სიტყვა, qu' est que c'
 est ოდნავ გრძლად წარმოითქმის ფრანგუ-
 ლად და ნიშნავს — რა არის ეს?... თეთრი
 პური დანაყრების შემდეგ, ღამეც რომ
 გაათეინა უდედამოდ დარჩენილ ბავშვებს
 დანგრევის პირას მისულ, ე.წ. „ბასტილის
 სპილოს“ უზარმაზარ ქანდაკებაში...

მეურმის და მისი მგზავრისთვის, კამე-
 ჩებშემბული ურმით რომ მიჩაქჩაქებენ
 „სასახლეების ქალაქისკენ“ გამლღვალ ოქ-
 როსავით მოლაპლაპე ტბის გასწვრივ,
 მეურმე რომ ბრაზობს, ვინ ხარ ბოლოს და
 ბოლოს, აქეთ-იქით რომ დამარბენინებ,
 დიდგვაროვანს არ ჰგავხარო. უცხოელი
 მგზავრი, სხვადასხვა ფერის რომბებიანი
 ჭურულა-ჭურულა ლაბადა რომ აცვია და ხარ-
 ბად ენაფება გაბრაზებული კაცის მიერ
 მორბენინებულ, ტბიდან გამორტყნული
 გოგრით ამოხაპულ წყალს, თითქოს საკუ-
 თარ თავს მიმართავდესო, ისე რომ წარ-
 მოთქვამს, მე ის ვარ, ვისაც საიდუმლო აქვ-
 სო. მეურმის აზრით, საიდუმლოები მხ-
 ოლოდ ბავშვებს და ჯაშუშებს აქვთ. უცხ-



ზაალ
სამადაშვილი

ოელი კი ამატებს, ჯადოქრებს, შეყვარე-
 ბულებს და მეფეებსო...
 საფრანგეთის სამეფოს დედაქალაქში
 ჯაგლაგი ცხენით შემოჯირითებულ, გრ-
 ძელდაშნიან ყმანვილ გასკონელისთვის,
 რომელიც გამობრძმედილ მეომართა
 შორის ყველაზე სევდიან და ღვინის მოყ-
 ვარულ კაცთან დუღის წინ, კარმელიტე-
 ის მონასტრის ეზოში მდგარი, მონინალმ-
 დეგეს ჭრილობების მოშუშების უებარმალა-
 მოს სთავაზობს, დამზადებულს დედამისის
 მიერ და პასუხად შემდეგ სიტყვებს ისმენს,
 ასე იქცეოდნენ და მსჯელობდნენ კარლოს
 დიდის დროის რაინდები და თქვენში პა-
 ტისიან დიდებულს ვხედავო...

კლონდაიკში ოქროს საძიებლად მიმავ-
 ლი ორმოცდაათი წლის კაცისთვის, ძმისშ-
 ვილს, პიესების, სონეტების და მუსიკალური
 კომპოზიციების წერით დაკავებულ ოც-
 დაშვიდი წლის ბიჭს ცხოვრების წესს რომ
 უწუნებს და ეუბნება — შენხელა, ცხვრის
 ფარას ვმწყემსავდი, კერკეტი კაკალივით
 ვიყავი, შემძლო დოღზე მიმეღო თავი და
 დამძინა, საქონლს დამართილებული და
 ახლად მონადირეებული დათვის ხორცით
 ვიკვებებოდი და ახლაც ისეთ ჯანზე ვარ,
 რამე რომ იყოს, შენი ბექებზე დადება არ
 გამიჭირდებაო...

საკუთარი სურვილებისა და შესაძლე-
 ბლობების მდევრად ქცეულ მუსიკო-
 სისთვის, მდინარე სენის სანაპიროს პარა-
 პეტზე რომ ზის მის შესახებ დანერვილი წიგ-
 ნის ავტორთან ერთად და საყვედუროს მას
 — როცა ვინმეზე რამეს კითხულობ, ისე
 უნდა იყოს, თითქოს მას უყურებ და არა ისე,
 თითქოს სარკვემ ხედავო, შენ ვინც აღწერე,
 მე ის არ ვარ, ანარეკლია ჩემი და ცოტა
 ხნის შემდეგ განაგრძობს, ჩემი ბიოგრაფია
 ჩემ ფირფიტებში არ არის, როგორც შენ
 ამტკიცებ, თუმცა, რას გერჩი, თავად ვერ
 შევძელი ისე დაკვრა, როგორც საჭიროა,
 ვერ გადმოვეცი საკუთარი თავიო...

ჟან-ლუკ გოდარის, ანჟეი ვაიდას, მი-
 ლომ ფორმანის სცენისარისტისთვის, ე.წ.
 „შავ ხელნაწერებზე“, „ხელნაწერების შავ
 პირებზე“, აცაბაცა, უსწორმასწორო
 სტრიქონებითა და გადახაზული სიტყვე-
 ბით სავსე ფურცლებზე ლაპარაკისას, 1976
 თუ 1977 წლის ამბავს რომ იხსენებს —
 პარიზში სტუმრად მყოფი ბორხესი რომ
 წაიყვანა თავისთან, ახლადმეძენილ ბინაში
 და სადარბაზოში, კიბეზე ასვლისას,
 დაუფიქრებლად ბოდიერი რომ მოუხადა
 უსინათლო კაცს იმ არეულობისთვის,
 რომელიც ადგილზე დახვდებოდათ რემონ-
 ტის გამო. ბორხესმა, ყველაფრის ლიტერ-
 ატურასთან დამაკავშირებელმა რომ
 დაამშვიდა — „გასაგებია, ესე იგი, შავი ხე-
 ლნაწერი გაქვთ ჯერჯერობით“—ო...

იტალიაში ქმართან ერთად ჩამოსულ
 ამერიკელი ქალისთვის, წვიმიან ამინდში
 ფანჯარასთან მდგარი, მაგიდის ქვეშ შე-
 ფარებულ ჭრელ კატას რომ ამჩნევს სას-
 ტუმროს ეზოში და მის ამოსაყვანად ჩადის.
 PADRONE — სასტუმროს მეპატრონე მა-
 ლალი ბერიკაცი, რომელსაც თავისი
 ქცევით უკვე მოპოვებული აქვს ქალის
 კეთილგანწყობა, მოსამსახურეს რომ გააყ-
 ოლებს ქოლგით, სტუმარი რომ არ და-
 ველებს. ფისო რომ აღარ დახვდება მაგი-
 დის ქვეშ და უკან ამობრუნებული, ლოგინ-
 ზე წიგნით ხელში მიწოლილ ქმარს რომ
 ეტყვის — გრძელი თმა მინდა მქონდეს, კე-
 ფასთან გორგალივით ვიკრავდე და მინდა
 ფისო მეჯდეს მუხლებზე, ვეფერებოდე და
 მისი კრუტუნი მესმოედესო. მოგვიანებით,
 შებინდებულზე, კვლავ რომ გაიმეორებს

თავის სანუკვარ სურვილს ფისოს შესახებ
 და მოსამსახურე ქალი კარს რომ შე-
 მოულებს დაკაკუნების შემდეგ იმ ჭრელი
 კატით ხელში — PADRONE-მ გამოგიგზა-
 ვნათო...

პარიზელ ბიჭზე არანაკლებ ონავარ
 მეიკომელ გოგონასთვის, ნახევრადმთვ-
 ლემარე, მამას იმ წიგნზე რომ ელაპარაკე-
 ბა, რომელიც ლოგინში ჩანოლის წინ წაუ-
 კითხეს და ამბობს, მეძინებოდა, მაგრამ
 ყურადღებით გისმენდი — თურმე ის, ვისაც
 ათას ცუდ რამეს აბრალეხდნენ და კუდში
 დასდევდნენ, მოიხელთეს თუ არა, მიხვდ-
 ნენ, რომ კარგი ვინმე ყოფილაო. მამა, პრო-
 ვინციელი ვეჩილი, საბნის კიდევს უეცრავს
 და ეუბნება, ადამიანების უმრავლესობა
 ისეთივე კარგია, როცა ახლოს გაიცნობო...

იმ კაცივით ვარ, მძიმე ნალველი
 როგორც კი დაემუქრებოდა ხოლმე
 შთანთქმით, ეგრევე ნავსადგურებში მოტივ-
 ტივე გემებისკენ რომ გარბობდა რომელიმე
 მათგანის ეკიპაჟთან ერთად შორეულ ნაოს-
 ნობაში გასამგზავრებლად...

იმ კაცივით, ისმაილი დამიძახეთო, რომ
 თქვა...

ჩემი დარდების და აფორიქებების გამ-
 ქარვებელი წიგნების ოკეანეა, ატლანტის
 ოკეანეზე არანაკლებ უკიდევანო და იდუ-
 მალი...

მისი ტალღების ხმაური წიგნების პერ-
 სონაჟების ხმებია, სხვადასხვა ენაზე და სხ-
 ვადასხვა ტემპით წარმოთქმული სიტყვე-
 ბი, რომელთა უმცირესზე უმცირესი ნან-
 ილი ზემოთ ჩამოვთვალე...

უცნაური გამოცხადება

ჭაღარა, მხრებში ოდნავ მოხრილი
 კაცი ყოველ დილას თითქმის ერთსა და
 იმავე დროს ამოდის მეტროდან. სანამ ქუ-
 ჩას გადაჭრიდეს, სიგარეტს ყიდულობს
 ჯიხურში, რომლის უკან ყვითელი მიკროავ-
 ტობუსები დგანან. კოლოფს იქვე ხსნის,
 ერთ ლერს იღებს, უკიდებს და სპორტის
 სასახლის გასწვრივ აღმართულ უზარმაზ-
 არ კორპუსებს გაჰყურებს. ზოგიერთი კო-
 რპუსი დასრულებულია და აივნებზე აბრე-
 ბია გამოკიდებული წარწერით — „იყიდე-
 ბა“; ზოგი ახლა შენდება. ერთ-ერთი ასეთი
 გაბოლების დროს ხვდება თვალში რომე-
 ლილაც მშენებარე კორპუსის წინ, ქვიშის
 მოზრდილ გროვასთან მდგარი კაცი. მას
 მოკლესახელოებიან მაისურზე წყალგაუმ-
 ტარი ნაჭრის ჟილეტი აცვია და თავზე
 პლასტმასის ნარინჯისფერი ჩაფხუტი ახ-
 ურავს. აწონილია, მკლავებდაძარღვეული,
 ნიჩბის ტარს ეყრდნობა ცალი ხელით. მომ-
 დევნო დღეებშიც ხედავს ამ კაცს, ისევე იმ
 ადგილას, ისევე მდგარს. დილით მუშა
 უნდა იყოს, ხარაჩოებისკენ წასაღებად, სა-
 დაც ბეტონს ზელენ, ქვიშით ურიკას უცხებს
 ვილაცას და სანამ უკან მოახრიგინებენ და-
 ცლილს, დგას ასე ქანდაკებასავით. უქმე
 დღეების შემდეგ კაცი უჩინარდება. ქვიშის
 გროვასთან ვილაც სხვა იქნევის ნიჩაბს.

ერთი კვირის თავზე, ჯიხურებთან მორი-
 გი შეყვანებისა და ლამის რიტუალად
 ქცეული გაბოლების დროს, მეტროდან
 ამოსულ ჭაღარა კაცს, მშენებარე კორპუ-
 სის ხარაჩოებისკენ ყურებისას, მოგონებე-


ბი აეშლება და გაახსენდება სტუდენტობის
 დროს ნანახი ფოტო — მაღალი კაცი მოგრ-
 ძო სახით და შუბლზე ჩამოყრილი თმით
 ლოდებზე რომ დგას და მარჯვენა ხელით
 წერაყინს ეყრდნობა; ედმუნდ ჰილარი,
 ევერესტის პირველი დამლაშქრავი; წიგნი,
 სადაც ეს ფოტო ნახა — ჯეიმზ ულმანის
 „თენცივ ნორგის ბიოგრაფია“; მე-
 გობარი, რომელმაც ეს წიგნი ათხოვა, და-
 ლევისა და ხეტიალის მოყვარული ბიჭი,
 რომელსაც სულისშემძვრელი მოთხრობე-
 ბის შეთხზვა ეწერა მომავალში, წლების შემ-
 დგე...

ქვიშის გორაკთან მდგარი აწონილი
 მუშა თვალში რომ მოხვედროდა და ვერ
 გაეხსენებინა, ვის ამსგავსებს, ან საიდან
 ეცნობა, ამ კაცის მეგობარი, რომელიც
 არასოდეს არ უფრთხოდა უცხოებთან
 გამოლაპარაკებას, ლუდს სხვანაირად მოიქ-
 ცეოდა. მოგონებების აშლას არ დაელოდე-
 ბოდა, მივიდოდა, ხელს ჩამოართმევდა,
 გაეცნობოდა და შესვენების დროს, ან სამ-
 უშაოს დამთავრების შემდეგ ლუდზე დაპ-
 ატიყებდა.

დრო რომ მოანევდა, იქვე ახლოს ერთ
 ღარიბულ დუქანში შეიყვანდა. ლუდს და-
 ლევდნენ, ცოტა არაყს „ჩაუფენდნენ“ და
 ძეხვიან ბუტერბროდებს გაკებნდნენ. მე-
 გობარი თავისას ეტყოდა — ვინ არის, რას
 საქმიანობს, ის — თავისას. თუ გაირკვეო-
 და, რომ ეს კაცი შემთხვევითი შემოსავ-
 ლებით ირჩენს თავს და ახლა მშენებლობა-
 ზე იმიტომ მუშაობს, რომ ცოტაოდენი
 ფული დააგროვოს და მერე კლდე-ღრეებ-
 ში სახეტილოდ წავიდეს, მეგობარი ხელს
 ხელზე დაართმევინებდა და ეტყოდა —
 ჯიგარი ხარო... გაეხსენებდნენ, რას აღარ
 მოუყვებოდნენ და ვის აღარ აღუწერდნენ
 ერთმანეთს, უმეტესად მარტოხელა „მო-
 სიარულეებს“ — რაინჰოლდ მესნერს,
 ღრუბლებამდე ასაღწევად რომ არ იყ-
 ენებდა ჟანგბადის ბალონს, უსახელო ბალ-
 ტიელს, პამირის ოთხივე შვიდათასიანზე
 ასვლა რომ ჰქონდა ჩათქმული... იცინებდ-
 ნენ კარგი ქალის ალპინისტურ დახასიათე-
 ბაზე — „კუნთი, კუნთი, კუნთი, ცხიმის თხ-
 ელი ფენა“...

ბოლოსკენ, მეგობარი ჰკითხავდა,
 შენაო, მუშაობის დაწყებამდე გრძელწვერ-
 იანი ბერიკაციები ხომ არ გამოგცხადებინ
 სიზმრად, ან ცხადში და იმათ ხომ არ უთქ-
 ვამთ, ამა და ამ ადგილას დასაქმდი და ჩვენ
 ნიშანს დაელოდო. იმას რომ გაეცნებოდა
 და იფიქრებდა, დათვრაო, ეს ეტყოდა,
 სიმთვრალე არაფერ შუაშია, ძმობილო, გა-
 მოგზავნილს ჰგავხარ, ვისაც შენი ცხოვრე-
 ბა მოსაყოლად დაინტერესებს, იმასთანო...

დიდი უცნაური ვინმე გახლდათ ჭაღარა
 კაცის ძველი მეგობარი. მას მართლა
 სჯეროდა წიგნების სამეფოს არსებობისა,
 რომელსაც იდუმალი ბრძენკაცები გა-
 ნავებდნენ და რომლებიც დროდადრო სხ-
 ვადასხვა გზავნილებით ამყარებდნენ კავ-
 შირს მწერლებთან... რომ ისინი ხან ყოვ-
 ლისმცოდნე შიკრიკების მეშვეობით ამხნ-
 ევებდნენ მათ და აიძულებდნენ წერა არ
 შეეწყვიტათ და ხან პერსონაჟებს უვლენდ-
 ნენ მომავალი წიგნებისთვის. როგორც
 ჩანს, ბრძენკაცებმა არ იცოდნენ, მათ
 ყურამდე ჯერ არ მიეღწია შეტყობინებას
 მისი გარდაცვალების შესახებ, თორემ იმ
 აწონილ კაცს სხვაგან გაგზავნიდნენ და
 ჭაღარა კაციც ვერასოდეს ნახავდა მას
 მეტროს სადგურიდან ამოსვლის შემდეგ,
 სიგარეტის მოსანევად შეყოვნებული...



როდესაც ზუსტად იცი, რომ მთელი სამყარო შენ ბეკუთვნის...

მართალია, ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ბექა ქურხულის „სკანდარია და სხვა მოთხრობები“ გამოცემისთანავე წაიკითხა, მაგრამ აქამდე დასაწერად ვერ მოვიცალე. არადა, სანამ მე ვფიქრობდი, მოამზადეს რეპორტაჟები, ჩანერეს ინტერვიუები, თარგმნეს რუსულად, გაგზავნეს წიგნი აფხაზეთში და ასე შემდეგ. მოკლედ, ლამის ყველა სათქმელი იტყვა და დავფიქრდი, აქვს კი აზრი რამის დაწერას? მაინც მგონია, რომ აქვს.

უპირველესად, ის მინდა ვთქვა, რომ არ ვცდები ამ მოთხრობებში ფარული ლიტერატურული დინებებისა და მხატვრული ჩანაფიქრების აღმოჩენას — აი, ისეთის, კრიტიკოსები რომ პოულობენ და მერე იმაზე მსჯელობენ, რაზეც ავტორს ხშირად არც უფიქრია. თან ვერც ვერკვევი, როგორ უნდა ამოვიცნო თუ გამოვიცნო, რა და რატომ გაიფიქრა და ჩაიფიქრა. ასეთი წილისგლები არ სჭირდება ბექას შემოქმედებას, ის გულწრფელობით წერს ან რასაც ფიქრობს, იმას წერს, ანუ ისე წერს, როგორც მოეწონება. მისი თავნებობა კი, რამდენადაც მას ვიცნობ, პოზასა და ქვეტექსტებს არ ცნობს. ამიტომაც, მისი ნაწარმოებების კითხვისას, თუ გვიცინება — მართლა გეცინება, თუ ბრაზდება — ნაღდად ბრაზდება. მოკლედ, ნამდვილი ემოცია მოაქვს.

„სკანდარია და სხვა მოთხრობები“ მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუშია. ნიმუში იმიტომ, რომ ვერ მონახავ ადგილს, სადაც გამოგონილსა და ნამდვილს შორის ზღვარს გაავლებ — ისინი, უბრალოდ, თანაარსებობენ და ავსებენ ერთმანეთს. ამიტომაც არიან გმირები დამაჯერებლად ნამდვილები, რეალურები... ცოცხლები არიან, ზედმეტად ცოცხლები კი, თუ საერთოდ შეძლება, სიცოცხლე რამენაირად იყოს ზედმეტი.

კრებულში ნამდვილი ამბები მოთხრობილი ნამდვილი გმირებით, ავტორიც ერთ-ერთი მათგანია თავისი თავგადასავლებით. ისინი სცენაზე უმეტესად უგრძობად გამოდიან და თამაშობენ ალაღად, გულწრფელად, ხშირად უხეშად, უსამართლოდ და სასტიკადაც კი. მათი განმსჯელი კი არავინაა — უპირველესად, კი ავტორი არ აკადრებს ზედმეტ ეპითეტს, მინიშნებასა თუ შენიშვნას. ისინი ასეთები არიან და მორჩა: სახეები შეულამაზებელი, ხასიათები თავისთავადი, პორტრეტები საკამათო, გმირები ერთდროულად მიუღებელი და თანაგრძობის გამომწვევენი. ერთი სიტყვით, ზედმეტად ცოცხლები და ამიტომაც ვპატიობ მწერალს ყველა გმირის ნამოქმედარს.

ინგლისელებს აქვთ ნათქვამი, ნანარმოები ავტორს ჰგავსო. ამის გათვალ-

ისწინებით, მათთვის, ვინც ბექას იცნობს, ძნელი მისახვედრი არ იქნება იმის გაგება, რატომ ვახსენე სიტყვა „ზედმეტი“ სიცოცხლესთან მიმართებაში. ასეა, ავტორივით მისი გმირებიც სულ მოძრაობაში არიან, თან „გადაჭარბებით სიჩქარით“ მოძრაობაში, როგორც პირდაპირი, ისე გადატანილი მნიშვნელობით. სად ეჩქარებათ, რა აჩხუბებთ, რისთვის სწირავენ საკუთარ თუ სხვათა სიცოცხლეს, რატომ წერენ საკუთარი ხელით სხვათა მომავალს? რას განიცდიან ასეთი თავნებობის შემდეგ დამდგარი შედეგის გამო ან საერთოდ განიცდიან ნამოქმედარს? მოკლედ, კითხვების კორიანტელი გატყდება თავს.

ამ კითხვების ადრესატი „სკანდარია“ და რაც აქამდე ვთქვი, მის გამო და მისი გავლენით იყო. ეს ერთი სოფლის ამბავია — ერთი მიკროსამყარო თავისი მკვიდრებითა და შემომავლებით, ქართველებითა და არაქართველებით, თავმჯდომარეობითა და ბედის მაძიებლობით. თითქოს სამყაროს მინიმოდელია, თითქოს ამოსავალი წერტილია და კითხვისას გრჩება კიდევ შთაბეჭდილება, რომ ამქვეყნად უმნიშვნელოვანესი ამბები იქ დატრიალებულა, იქ — გამბოროში — გაჩენილა ყველა დიდი ენებათაღვლის წინაპარი. განსხვავებული კულტურისა თუ მსოფლმხედველობის თანაარსებობა და შეუთავსებლობა, კონფლიქტები მიზეზით თუ უმიზეზოდ და ხშირად არაფრის გამო შეცვლილი ადამიანის ბედი და მომავალი... ცოდვის თავისებურებები და მერე ცოდვილისთვის ღვთისგან გამოგზავნილი სასჯელი თუ... საჩუქარი. მოკლედ, ეს ყველაფერია, მთელი ცხოვრებაა და ახლა მკითხველის ნებაა, გაამართლებს თუ არა ამა თუ იმ გმირის ნამოქმედარს, მისი გარემოცვის პოზიციას, კონკრეტულ სიტუაციაში ამ გარემოცვის დუმილისა თუ მოქმედების მიზანშეწონილობასა და მართებულობას. მაგრამ ასე მე ვფიქრობ და არა ავტორი, ამ უკანასკნელისთვის თუ მისი ლიტერატურული გმირებისთვის არ არსებობს წინაწარგანსაზღვრული შედეგი, წინასწარ ნაფიქრი და განსჯილი. მისი გმირები მოქმედებენ, გმირობენ, ტიპობენ და ხასიათს ამჟღავნებენ! სიცოცხლე კი, აბა, სხვა რა არის, თუ არა მოძრაობა და წინააღმდეგობების ძიება, მერე მათი დაძლევის მცდელობები, ახირებები... მაგრამ ესეც არ არის ჩემი პასუხი კითხვებზე და, მით უმეტეს, პოზიციას, ასე ალბათ ბექა მიპასუხებდა, რომ მეკითხა. პირადად სიცოცხლისუნარიანობის ასეთი გამოვლინება „ზედმეტება“. ამით უნდა დამეწყოს, ცოტა გამეკრიტიკებინა და გამეკიცხა ავტორი, რადგან ზოგჯერ ვკითხულობ და ვერ ვხვდები, რა

აჩხუბებთ, საიდან მოდის გმირების აგრესია, რაზე მიაჩნებთ მათი ხასიათის ესა თუ ის თვისება და საერთოდ, პრობლემისა თუ რამის დასამტკიცებლად, რატომ ირჩევს მისი გმირი ამ და არა იმ გზას? მაგრამ მახსენდება, რომ თვითონაც პერსონაჟია, მთავარი მოქმედი პირი, თვითონაც ერთ-ერთი მათგანი! ისინი კი ასეთები არიან და მორჩა — ადამიანურები, ანუ არც კარგები და არც ცუდები! უბრალოდ, ადამიანები არიან ამ სიტყვის მთელი არსითა და გაგებით. ძალიან მაგარია, როდესაც მწერალი ამას ახერხებს: ადამიანის პორტრეტს ასე დახატავს — თან სრულყოფილსა და თან საკამათოდ წინააღმდეგობრივს. ადამიანები უეპითეტონი და შეულამაზებელი-შეუფასებლები განსაკუთრებით საინტერესოდ მოჩანან ლიტერატურაში და „სკანდარია“ ბიჭებიც ასეთები არიან. და საერთოდაც, ადვილი არ არის ასე დანერო.

არც სიკვდილზე წერა ადვილი, თუმცა ამაზეც დაწერა და სულ სხვანაირად დაწერა. „ჩემი ძმაცაცების სახელები“ იმ ქვეყნად ნაადრევად წასულ მეგობრებს მიუძღვნა... ისე დაწერა, რომ პატარა ჩანახატებში ჩაატია მათი მთელი ცხოვრება, მთელი სიცოცხლე, ვერმეტი იქნებ ორ-სამ ათეულ წელიწადს ვერ გასცდა, მაგრამ „ხანგრძლივი“ და ბევრი აღმოჩნდა თავისი მნიშვნელობითა და ხასიათით საზოგადოდ მკითხველისთვის და კონკრეტულად თავად ავტორისთვის. ეს მეტად მნიშვნელოვანია ლიტერატურაში, მწერალი საკუთარ მეგობარს ლიტერატურულ პერსონაჟად, გმირად აქცევს — მისგან მხატვრულ სახეს ქმნის. ამიტომ პერსონაჟი უფრო მეტი ხდება, ვიდრე მწერლის მეგობარი, მისი ხსოვნის ნაწილი თუ ცხოვრების თანამგზავრი. თუმცა, თუ ავტორი ცოცხლებზე გიტოვებს უფლებას, ისეთად დაინახოს, როგორც გინდა, რომ იყოს ან ისეთი თვისებები მიანერო, როგორსაც ისურვებ, რომ ჰქონდეს, მათი განსჯისა და გაკიცხვის უფლებასაც გიტოვებს, სიკვდილზე წერისას მთლიანად თავად არის ყველა შეფასებისა თუ განსაზღვრების შემოქმედი და თითქოს არაფრის დიდებით არ გაძღვეს უფლებას, არ დაეთანხმოს, არ გაიზაროს მისეული დამოკიდებულებები. ეს სიკვდილის უპირატესობაა — „ამ კოსმოსური უფსკრულივით უძირო, უფსკერო, თვალუწვედნელი, იდუმალი ურჩხულის — სიკვდილის“ უპირატესობა, რადგან იმ შეუცნობელი, მიღმიერ სამყაროში გადასვლის გარდა, სიკვდილში კიდევ შეიძლება იყოს საინტერესო... სიკვდილზე ასე დაწერ, სიცოცხლეზე?..

სიკვდილის მეტი რა უნახავს ჩემს თაობასო, ამბობს მწერალი და მართლაც რამდენი და რამდენიარის, დაგეგმილი თუ გამეტებული, უეცარი თუ უცაბედი, გმირული თუ თავხეხილადებული, სამარცხვინოც... მაგრამ მისი გმირები (თუ სამი მეგობარი) მაინც სხვანაირად — სიცოცხლის ბოლო ნუთამდე თუ სიკვდილის პირას, იქნებოდა ეს უცაბედი თუ დაგეგმილი სიკვდილი — რალაცნაირად სხვანაირად კვდებოდნენ. თუნდაც აი, ასე: „კი არ დალოდებოდა სიკვდილს, თუნდაც ვაჟკაცურად, არამედ იქით შევარდნოდა სიკვდილს, თვითონ შევარდნილიყო სიკვდილში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ისეთად დარჩენილიყო, როგორიც საერთოდ იყო, როგორიც გაჩნდა ამქვეყნად“.

...და ამ ბიჭების გამო სიკვდილის შიშზე გაცილებით მძაფრი, სიკვდილის შიშის გამო სირცხვილის გრძობა გახდაო.


შიში და სირცხვილი — ორი უმძაფრესი განცდა, რომელიც მხოლოდ ცოცხლობის ტვირთი თუ პრეროგატივაა და იქნებ ამ ფრაზით გასცა კიდევ ავტორმა ყველა იმ კითხვას პასუხი, რომელიც მისი გმირების ქცევისა თუ ხასიათის გამო გაჩნდა? ვინ იცის? ვინ იცის!

„წარსული ძალიან სახიფათო და საშიში რამეა. წარსული ჰქვია და არსად მიდის. პირიქით. იქნება, აწყობზე წინაც დაგვიხვდეს, უფრო სწრაფადაც მოგიჭრას გზა და გიყვლოს“. ამ ფრაზას კონკრეტული ადგილი აქვს წიგნში, თუმცა ისეთი მოცემულობაა, რომ განაზოგადებ. აფხაზეთი და სამაჩაბლო, მათთან თუ მათთვის ომები ეს მოცემულობა, წარსული რომ ჰქვია და არსად მიდის. „ვოვა“ და „მარადონას მარში“ ამ არსადნასული წარსულის გამოძახილი თუ იქით — მავთულხლართებშიღმა დარჩენილ საქართველოსთან გადაძახილია, იქ დარჩენილ ადამიანებისთვის მისაწვდენი ხმაა!

...და ქალები. ერთხელ ვუსაყვედურე, ქალის სახე არ შეგიქმნია და საერთოდაც, ქალებზე არ წერ-მეთქი. როგორ არაო და თავისი როლისა თუ მოთხრობების პერსონაჟები დამისახლება, ამ კრებულის გმირიც — ბეთი შერვუდი. დიახ, მხოლოდ პერსონაჟები, საინტერესო პერსონაჟები, მაგრამ არა როგორც საკვანძო ფიგურები, რომანში ქალი — როგორც სამყაროს გული თუ ღერძი! ბექას ლიტერატურულ ფორმებზე ამინდს ჯერჯერობით მამაკაცები ქმნიან, ეს უკანასკნელი არიან გმირებიცა და ანტიგმირებიც, მთავრებიცა და უმთავრესებიც. ქალი? ქალი მხოლოდ დამატებაა — მართალია, უმეტესად პირდაპირი დამატება, მაგრამ მაინც დამატება და არა არსებითი!

ახლა ჩემი მხრიდან იმის თქმა, რა როგორ უნდა გააკეთოს და როდის, სრულიად ზედმეტი იქნება, მან უკეთ იცის. უბრალოდ, დარწმუნებული ვარ, მისი ხელიდან გამოსული ეს ტრაფარეტული და გაცვეთილი, მრავალჯერ დაწერილ-გადალეჭილი თემა სრულიად განსხვავებული იქნება, რადგან ბექას ორგინალურობისა მჯერა.

და ბოლოს, რადგან ბექას მოთხრობების მთავარი გმირი ადამიანია, გვერდს ვერ ავუვლით მისი ქცევისა თუ თვისებების განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორს — გარემოს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საჭიროზე ხანგრძლივად აღმოჩნდა „საინტერესო“. ოთხმოციანი წლების ბოლო, განთქმული, დიდებული და სისხლიანი 1989 წელი, საიდანაც ყველაფერი დაიწყო და წელი, რომელმაც ცეცხლის მისცა მთელი ჩვენი ცხოვრება. „შუალამის ჩიტების“ ფრთებსაც ამ ცეცხლის ალი სწვავს და მოთხრობის მთავარი გმირის (თუ ავტორის) ნაფიქრ-ნააზრების თავისებურებანიც ამ ცეცხლშია გამონრთობილი. ამ წრთობის შედეგი კი ვერასოდეს იქნება ჩვეულებრივი, ბოლოგვიურ საათზე აწყობილი გათენება-დაღამების დარი. ეს სხვანაირი კანონზომიერებაა — თავს გადახდენილი-დამტყდარით, შუალამის ჩიტების სტუმრობისგან ვერგათავისუფლებული... და, რადგან წარსული მუდამ წინ გიხვდება, გზას გიჭრის, გიყვლებს და არსად მიდის და შენს ღამესაც შუალამის ჩიტები აკონტროლებენ, იქნებ ამიტომაც არის, რომ ამ ბიჭმა კარგად იცის ამოსული მზის, გათენებული დღის ფასი და... კიდევ ის იცის ზუსტად(!), რომ ეს სამყარო მას ეკუთვნის!





ნოდარ წვერიკმაზაშვილი

არსანდოა ჟამი რახან,
როგორც უნინ ხოლმე, ახლაც
შეგახსენებ, რომ მიყვარხარ,
არც იფიქრო — დაგავინყო!

გული მთხოვს! ხოდა, ამზამთარ
თიანეთს ასვლას ვაპირებ;
მოვინახულებ, დავზაფრავ
ზარ-ბუკით ივრის ნაპირებს! —
თუკი დამაცლის ამდენსა
ის მგმირი, მოპირდაპირე,
სულ რო დააქნევს სიკვდილსა,
თავგზას რო აგირ-დაგირევს.

ლომის აგონია

დაბერდა შარავანდოსანი! უნინდებურად
კლანჭი მსხვილ ნადირ-ცხოველებზე აღარ უწვდება...
და აგე, ნახეთ, შამბნარებში რა უდრტვინველად,
თავანუელი, ეგებება შიმშილით სიკვდილს!..
მაშ არა და, იმ ძირძველი მოგვარესავით,
თავგების დევნით თავს გაიბანძებს.

მომიტინგა

შინ ყველა საქმე დავედე —
მომიტინგებს დავედე
ვარგვივარ ვისმე რადმე? —
სად ერეკლე და სად მე!

სწორად მიმიხვდი,
ხასიათზე ვერა ვარ მართლაც —
კარგი მკითხველი გარდამეცვალა!

რა ხნისაც ვარ, ერთი იმდენს
ანი რალას ვიცოცხლებ!
— შეჩემა, *Еще не вечер* —
მეფხრინება ვისოცკი.

სხვისა ქალის ტრფიალი

რა ყოფილა ტრფიალი
სხვისა ტურფა ქალისა —
მოუხშირა წრიალმა
ჯოჯოხეთის კარისამ.
ვტილდები ჯავრითა,
გული ჯღავის, კივისა,
ველარ ვმიჯნავ ტკივილსა
სულისას და ჯანისას.
რომ მიჩანდეს ხალისი
თუნდაც ერთი ხვალისა,
ხო დაფყრიდი ხორაგსა,
მიმოვფენდი ხალიჩებს;
და ნალარა-დაფებით
და ჩირალდნით მთვარისა
ავაფორიაქებდი
ბალებს ორთაქალისას...
ხსნა კი ვიცი რაცაა:
ხიდი მღვრიე მტკვარისა...
რა ყოფილა, გენაცვათ,
ტრფობა სხვისა ქალისა!

ღეგონი

ვრუბელის წამხედურობით

ჩემი ვნებაა უჩვეულობა,
ვარ მყინვარით მკვრივი და მკვეთრი,
მივკვერავ დროთა უსასრულობას,
უსასრულოა ეს ჩემი ხვედრი!..
ღმერთიც კი ჩემთვის არაა ღმერთი,
ცივია ჩემთვის ქალწულის მკერდიც
და ვცხოვრობ ასე, როგორც ის — ერთი!
სიცოცხლისა და სიკვდილის გვერდით.

მონატრება ღრიალით

„მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი“.
გიორგი ლეონიძე

ნახველ... მაგრამ ამ ნატვრებს
არც იფიქრო დაუძვრე —
კრიჟანგით ვიზოგავ
შენს სურნელს და აურას;
თუმცა მეტ უკმარობას
განა კი რა გაუძლებს,
თან თუ აუტანელი
გულს გაუდის ხმაური?!

ფოთი — შოთი

ცა სავსეა წვიმებით,
ზღვა — შავ-თეთრი გემებით...
აღარ მთობენ — ვწვალდები
ოდინდელი თემებით!
ტალღა აქეთ მანყდება,
მე კი იქით — სხვა ნაპირს...
მაგრამ სად რას გაგწვდები,
ველარ მიხსნის დანა პირს...
და ვგრძნობ, როგორ მეცემა
მზის აჩრდილი — „დალანდი“;
სულმა ლანდი არ იცის —
ახლა ესეც მადარდებს!

გუდაურისკან

გამოვცდი მლეთას — არაგვიანს;
ინყება ჯვარი;
გზა ბაგირით იგრიხება,
ამაფრებს სავალს.
გაბედე აბა
და მთვრალ ნისლებს
ჩახედე ავად!..
„ფორდს“ მიაგეღვებს
უკვე გული და არა ძრავა.
ცოტალა დარჩა —
წუთ-წამები საცაა გავა,
საცაა მამულს მოვექცევი
ზედ კენწეროში!

*„აჩონჩხილო შენობავ,
მშვენიერო შენობავ“.*
გალაკტიონ ტაბიძე

უნდა რამე მელონა,
სხვისას რომ არ გამეშვი —
აღარაფრად ვარგივარ
შენით თრობის გარეშე.
ურვა გულის არეში
ღვინოსავით ძველდება,
თანაც, ისევე გრძელდება
იმ ყივჩაღის თარეში... „
მაცოდინა მაინცა
საით უნდა გეძიო,
ჩინარიც კი დამცინის —
ზენა ქარის მეძავი!
არ მერჩივნა კარდაკარ
ძუნძულს გაბმულ ღამეში,
აქვე, ჩემში ჩამეკალ —
სხვისას აღარ გამეშვი?!.
ჩამოშლილი შენობა,
აჩონჩხილი ფიქრები!..
ხსნა ამ უშენობისგან
რავი, როგორ იქნება?!

სიყვარულის თავდაბი

ნ. ფ-ს

ელოდი... მაგრამ სულ სხვას ელოდი
და სხვა მოვარდა — ქარიშხალივით!
რალა გზა გქონდა, ანდა ალიბი —
ქალი იყავ და დახვდი ქალივით!..
დამზრალმა სულმა რაკი ივარდა,
უმალ ჩამოლხვა ყველა ბრალდება...
გიყვარდეს, ამით არც რა შევდება,
ბედისწერაა თავად თავდები!

გული გატარილდა

„სახლი გატარილდა, გულსაც იგივე ელისა“.
ჩემი აღრინდელი ლექსიდან

გული ტრფიალით ველარ ნეტარებს,
ველარც ოცნების ზოდებს ატარებს,

ველარ დავლაშქრავ ივრის სათავეს,
ველარ გაგითლი შაირს სათარეს!
ტკივილებსლა ვთვლი და ვერ დავთვალე...
თავქვეა ბოლო ყველა აღმართის!
მოკლედ, ისე ვარ, ნაღდად ვათავებ —
თოკი ან თოფი უნდა გავემართო.

იხარა ნეტავ?

ოციოდ წლის წინ ხატის გორაზე
კაკლის ხე დარგო წიკლაურთ გოხამ
და კარგად ვერ კი შემორავა!..
მას აქეთ, ხშირად ვფიქრობ ხოლმე:
იხარა ნეტავ, წიფლის კორომმა თუ იგუა,
ან პირუტყვმა ხომ არ გადაკორტნა?..
ბოლოს და ბოლოს, გაბმულ ინტერესს
ამზაფხულ ბოლო უნდა მოვულო.

წრიალებს წნორი

ამინდი წვალობს —
იცვლება მგონი, —
წამისწამ კრთება
ბორბალო შორით.
ინვიმებს ნაღდად —
წრიალებს წნორი;
მის ქვეშა ვწვევარ,
ღრუბელსა ვწონი.

პითოზ

ცოლს გაეღვიძა შუალამისას.
ძილბურანიდან როგორც შევატყვე —
არც თუ საამო სიზმარი ნახა.
თვალეების ფშვინებით უჩუმრად ადგა
და სანთლით ხელში, იქვე, ხატებთან,
კარგა ხნობამდე ეფერ-ეაჯა
მაცხოვარსა და წმინდა მფარველებს...
ბოლოს და ბოლოს, როს მომიწვა და
მჯილის კვრით სიზმრის ამბავი ვკითხე,
შიშნარევი ხმით დაინყო: ვითომ...

როგორ ხდება

ყრმობის ზმანებაზე,
რა გზნება გაქვს,
ან კიდევ ფრთები,
რომ საცა წაველ,
წამისუმაღ
იქავე მხედები! ...
სადაც შენ ხარ და
მე კი — არა,
როგორღა ხდება?!

ნაცარქაქიავ, მირჩი რამე

ეს რამდენიმე დღე იქნება და ზედაც — ღამე,
გამიცხოველდა უშენობა თავის ვნებებით;
ვერას ვუხერხებ ჩვეულებრივ საშუალებებით...
ნაცარქაქიავ, ძმა არა ხარ? — მირჩი რამე.

ამალამ ქალაქს გასწვდება კი ნახევარმთვარე,
როცა მეორე ნახევარი მისი — მტკვარს მიაქვს?!

საგაზაფხულო შეხსენება

კვლავ იხუვლა გაზაფხულმა —
ცა კეკლუცობს უფლის კვართით,
მზე ცხრავე თვალს აფახულებს,
მდელიმ გაიყორჩივარდა...



მაინც ვლამობ ფუჭ ლოდინს
ფეხი რითმე ავუნყო —
თუნდაც მოგონებებით
ჩუქურთმამი ყვავილის...
შენ იყავი (ნუ გიკვირს,
ღრიალით რომ გაუნყებ):
ჩემი დღის ვარსკვლავი და
ღამის დღესასწაული!

კაცად ცნობილი

„კაცია-ადამიანი?!“
ილია ჭავჭავაძე

რელიგიაში განვრთნას ჩემსას არავინ ცდილა
და შეცვლა ზნისა ახლა არის უკვე გვიანი...
არადა, ვიცი ღვთისგანაა ყოველი დილა,
ყოველი ღამე შენითაა ჩემთვის მზიანი...
ხდება, იორიც აზვირთდება, მორბის, ხმიანობს
და რასაც ირგვლივ ასაზრდოებს, წაღეკოს უნდა...
კაცად ცნობილი მაშინა ხარ ადამიანი,
ერთი მცნებაც-კი იმ ათიდან თუ გააცუდე!

სიყვარული ხარკია

სიყვარული ხარკია —
იმიტომაც გავიღე!
არც ისეთი კარგია! —
ჩემზე გითქვამს, გავიგე...
არც ისეთი ცუდია! —
გეთქვა ბევრად მერჩია;
ფიქრებს ვერ აუდივარ,
ლიმილს გადავჩვიე!
დამიგმანე ზეკარი,
მთვარეც გვერდზე მიწიე;
ანი რას გამიკარებ
ზედმინევენი მიწიერს!...
სულისათვის ამგვარი
ყოფნა მძიმე ბარგია —
მაინც უნდა გიყვარო,
სიყვარული — ხარკია!

თავისნათქვამა

არც სიყვარული მინდა შენი, არც ლექსებიო! —
თქვა და სიტყვას აღარ გადადის,
კაზაკები ჩაიყენა გულში დარაჯად!

მარტის ქარინა ღამეს

მარტი — ცეცია, ქარი — მარდია,
ტყემაღს — ბილიკი დაუბარდნია!..
და მე ვარ ახლა, სადაც ალვის ხე
ზედ შენი სარკმლის წინ ატუზულა,
წვერში რო მნიფე მთვარე აბია
და ვშიშობ — ქარმა არ ჩამოაგდოს!

ლექსს რა დადებ

პოეტს მართებს, სიტყვები
სადოქე თიხასავით ზილოს —
ლექსს ქალაღდზე რო დადებს,
წყალი არ უნდა გაუვიდეს!

თბილისური ელავია

დიდხანს, ხედი თრიალეთის ქედისა,
თავის წარმტაც ბაგებით და წყნეთითა,
ჩემი სარკმლის იყო მონაპოვარი!...
ახლა, როცა ზეგაიჭრა ქალაქი,
და მომეჭრა გზები შვების პოვნისა,
ისლა დამრჩა, მწარედ რომ ვილიდინო:
„თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ“,
შე უგვანო, „აჩონჩხილო შენობაე“!

სიაგტკვილოვა

იმერეთისკენ მოვიხაროდი
მხოლოდ და მხოლოდ შენს სანახავად;
ძირულა ვჯაბნე რიკოთზე ჯიპით,
ბალღური ჟინით ვაჟივლე შარა;
გულს მილაღებდა ფერების ჯგრო და
ტყეს მიფენილი ნისლეების ფარა;
წყალგაღმა სკებით დახუნძლულ სოფელს
მზერა კარგა ხანს ვეღარ ვაშორე...
და წარმოდგენამ იქ მცხოვრებთა სიაგტკვილობის,
შენზე ფიქრიც რო მიმოიშალა,
კვიცივით მდია ზესტაფონამდე!

თავისუფლავალკვეთილი

ყოფამ სოფლიდან ადრიდანვე გამომადევა,
სადაც მეჭირა თავისუფლად მცირე ალაგი —
ეტყობა, ძან ებევრა და შური იძია!...
გავბითურდი, სხვა რამ შევება ვერ მოვიძიე,
სამუდამო პატიმრობას ვიხდი ქალაქში!

ქალბატონი ჯულია,
ჩემი უზნის გარაჟ-მარკეტის
გამყიდველ-მენეჯერი,
დახლთან ყოველთვის ისეა ხოლმე
გამოპრანჭულ-გამოჯგიმული,
გეგონებთ მილანის ან
მეტროპოლიტენ-ოპერის
ბენუარის ლოჟაში იჯდეს!

გჰოვა კაჭრითან

მეგრელ მეგობარს (კახეთიდან მოვდივართ ჯიპით)
შემთვრალმა ბჭობა გავუმართე კაჭრეთის ბოლოს:
გაჭარბებ განა ჭკუით, ჯანით ან კიდევ ჯიბით —
ჭაჭისას შენზე 100 გრამით მეტსა ვსვამ მხოლოდ.
გაიხარა და მითხრა: იმ ვირს ხომ ხედავ, იქით,
მას ჩემზე 100 მილიმეტრით გრძელი აქვს, ბორო!

გამაკვირვებია აგვაპი

პოეტებს რო კლავს,
რა ტყვიანა — ეს მაცოდინა?!
გამკვირვებია პირდაპირ
ჩვენი პაოლოს და ტიციანის,
მიხას და მირზას ამბავი!..
ილიასას აღარას ვამბობ.

ვილასთან ვიღვინაო

ჩემი მეგობრები,
ერთ დროს ერთმანეთს გადაყოლილნი,
ახლა თავ-თავის გობს უსხედან,
ცოლ-შვილში ყურყუმელაობენ...
კუ-კუუ! ვილასთან ვიღვინაო,
სული ვისთან ჩამოვასვენო?!

რა გაეწყობა

თუმც ვარემესთვის
ერთი ბენოა —
ჩემი ლიშოა,
ჩემი ერნოა!..
და არ ეფერო,
ეცადე აბა,
ივრის ფიორებს —
ქუსნოს და საგამს;
ან ერთხელ ღამე
არ გაათიო,
საცა ჟებოტის
ციხე ანთია!..
და რაკი მალვით
სულში ენობა —
წეროს კალამმა,
რა გაეწყობა!

როს ვიქნები აღარ

მკლავს დავატყვე დაღლა —
მარჯვედ ვეღარ მიცავს...
დიდი საქმე ახლა,
თუ დამჯაბნა მიწამ!
მზერა ინევს მალლა,
ვპოვებ კი იქ რამეს,
როს ვიქნები აღარ
ერთ მშვენიერ ღამეს?!

გრუცინი სიყვარული

მე შენთან აღარ დამენოლება —
ავდგები ახლა და გაგეცლები!
არ ვგმობ საქციელს, სიმართლე გითხრა,
წასასვლელადაც წელს როდი ვითრეე...
გზას ხსნისას თუმცა უთვალავს ვხედავ,
წყალწაღებულის ხევედს ვირჩევ მაინც —
ხავსის თუ ბენვის იმედზე მყოფი...
და წყრომით თვალს ნუ გამომაყოლებ —
მე ბრუცინი სიყვარული ვარ!

დაბადებით უკაყოფილო

მე დაბადებით, ვამბობ, არ ვარ მთლად კმაყოფილი,
დიდი სურვილი არც მქონია, მით უფრო — თხოვნა;
დრომ გამომჭამა სიკეთენი თანდაყოლილი...
და თუ რამ დღემდე მიხვეჭია — შური და ბოღმა!

და მაინც ვთვლი, რომ სიცოცხლეა ცხოველი კერპი,
რაკი არყოფნა ვერ შევიცან ჯერაც, არიფმა...
და თან გულმშვიდად და ჯიუტად იმ ალაგს ვტკეპნი,
სადაც საცაა უსიკვდილოდ უნდა დავიფლა.

ჯოჯოხეთს ნამყოფი

არც იფიქრო ჯოჯოხეთში თან რო გამოგყვე
და ჯობია, ჯვარი დროზე ავიყაროთო! —
მეჯუჯულუნება მზიან კვირადღეს
მართლმორწმუნე ჩემი მეუღლე,
მართლა გულწრფელად შეძრწუნებული,
რომ უფლის მცნებებს ვარღვევ ხშირ-ხშირად...
ნანილობრივ სწორიცაა, თუ მეტად არა —
ჯოჯოხეთს მტერსაც კი არ ვუსურვებ,
ვიცი რაცაა, სამჯერ ვარ ნამყოფი!

ოღონდაც ახლო მაინც

სხვისთვის სულ იცლი, რა ვიცი,
მე კიდევ უნდა გეძებო...
ერთხელაც აქეთ მაინც,
რო ტანზე შემოგენებო!

სხვასთან კასკასებ, მაიცდი,
მე კი უჩუმრად გამცდები...
ნუ ნახველ, ჩემსკენ მაინც —
ნისლივით შემოგაცვდები!

განა კი როსმე მაიცლი
შამხსნა ეს ჯავრის კარები?!.
რა გახდა — ახლო მაინც,
თუგინდ არც მოგეკარები!

პირველი განცდა

ქალი ამრეც გზას აუყვა ნელა,
იმ განცდით, როცა ცუდს არც რას ელი...
და მაინც, ინძრა სამყარო თითქოს,
და გულს ისეთი აუტყდა ფეთქვა,
რომ სხვა თავხსნაზე არც უფიქრია —
მან მყის მუცელზე იტაცა ხელი!

ადიღაპულა ყვირილა

მართლა მხეცია — დაცხრომისა არ უჩანს პირი,
რასა ღრიალებს შორაპანთან, განახათ ერთი!
უკვე ცხადია, ქვემოთ, რიონს რასაც უპირებს...
და მაინც, შავ ზღვას ის კი არა, რიონი ერთვის!

ოკროპოკრო

ნიგნიც მიწის ნაკვეთია —
ზედ სიცოცხლე წერია...
დრო აქედან სიკვდილამდე
უფლის კვართის ფერია.
ვინც თან გყვება და გეკმევა,
იცოდე, რომ მტერია...
წარსულს ნურც მიაკვირდები —
ცარიელა მტვერია.
ზოგის ქცევა — მსუბუქია,
ბევრის საქმე — ძნელია...
ყოფის ეში დუდუკია —
ქსოვრელები მღერია...
ყველამ უნდა ის აკეთოს,
რაც წესი და ჯერია...
კაცი სახნის-საკვეთია,
ქალი — ვნების კერია!

ასაც ასე

ამოუვედი, როგორც ვატყობ, ცხოვრებას ყელში;
ვერ კი მიემხვდარვარ რა ბრალი მაქვს,
პირწმინდად მირხეცს! —
პროთევი პირში, ჩალა თავში და ჯოხი ხელში...
ოპერაციულ ნაკერებზე კი ნურას მკითხავთ!

თქმის უფლება

რა დროს ტაოა და რა დროს რაბათია,
როცა ოცნებაც კი აღარ გვაბადია?!
ყოვლად სამინელი მიპყრობს აპათია...
ღმერთო, ქართველობა უნდა მაპატიო!

მთარგმნელი

ლელა დუმბაძე

ლელა დუმბაძესთან ინტერვიუ რამდენიმე წლის წინ დაიბეჭდა „ლიტერატურულ გახეთქში“, მაგრამ მასთან ისევ მივედი, რათა მომესმინა იმ ახალი ტექსტების შესახებ, ბოლო დროს რომ თარგმნა და კიდევ ერთხელ გავვეხსენებინა ძველი ავტორები. ქალბატონი ლელა ლიტერატურული კონკურსი „საბას“ 2015 წლის ლაურეატია და კონკურსის ფინალისტიც არაერთხელ ყოფილა. მისი გზა, შეიძლება ითქვას, ჰარპერ ლის ცნობილი რომანით დაიწყო. „ნუ მოკლავ ჯაფარას“ უმნიშვნელოვანესი წიგნი აღმოჩნდა მსოფლიოსთვის და, მათ შორის, ქართველი მკითხველისთვისაც. ლელა დუმბაძის მთარგმნელობით ბიოგრაფიაში კი ის რომანი იღბალი იყო, კარგი დასაწყისი.

ჩვენი საუბარიც ჰარპერ ლით დაიწყო.


— ფაქტობრივად, ქართულენოვან მკითხველს თქვენ გააცანით ეს ქალბატონი და მისი ორი არაჩვეულებრივი წიგნი „ნუ მოკლავ ჯაფარას“ და „მიდი, დააყენე დარაჯი“. მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება მის მიმართ, მისი შემოქმედების მიმართ. და კიდევ — როგორ ფიქრობთ, რატომ დაწერა მხოლოდ ორი რომანი?

— არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა წილად მხვდა მეთარგმნა „ნუ მოკლავ ჯაფარას“. ამას თამარ ერისთავს უნდა ვუმაღლოდ. მართალია, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა დასავლური ენების ფაკულტეტზე იმიტომ ჩავაბარე, რომ თარგმანი მაინტერესებდა, მაინც ვთვლი, რომ ამ გზაზე სწორედ ქალბატონმა თამარმა დამაყენა. ამიტომ, როცა ჩემი მთარგმნელობითი საქმიანობის დასაწყისზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია, არ გავიხსენო ის. „ნუ მოკლავ ჯაფარას“ თარგმნა რომ მომანდეს, ვეცადე, მომეძიებინა ჰარპერ ლის სხვა ნაწარმოებებიც. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ასეთი პოპულარული რომანის ავტორს სხვა არაფერი დაეწერა. ვერ მოვიძიეთ ვერც მე, ვერც ჩემმა კოლეგებმა ერთი მოთხრობაც კი. ბიოგრაფიული ცნობებიც მწირი იყო, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ცნობილ ამერიკელ მწერალთან, დრამატურგთან და მსახიობთან, ტრუმენ კაპოტისთან მეგობრობდა. „ნუ მოკლავ ჯაფარას“ პერსონაჟი, ახალგაზრდების საყვარელი გმირი, დილი, კაპოტის პროტოტიპია. მოკლედ, დავერწმუნდი, რომ ლის არაფერი გამოუქვეყნებია იმ რომანის გარდა, ასე რომ გაუთქვა სახელი. ის კი არა, ინგლისურენოვან სახელმწიფოებში, მათ შორის, კონსერვატიულ ინგლისშიც კი, საშუალო სკოლებს სავალდებულო სასწავლო პროგრამაში შეიტანეს.

— და როცა 4-5 წლის წინ, მწერლის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მისი ახალი წიგნი გამოჩნდა, ნამდვილი სენსაცია იყო. როგორ მოხდა, რომ მანამდე არავინ იცოდა მისი მეორე რომანის შესახებ?

— სინამდვილეში, „მიდი, დააყენე დარაჯი“ მისი პირველი რომანია. ნელ ჰარპერ ლი ამერიკის სამხრეთში, ალაბამას მშობლიურ ქალაქ მონროვილში კარნაკტილად ცხოვრობდა, არ უყვარდა პოპულარობა. ჰყავდა ერთი და, მასზე უფროსი, მასავით გაუთხოვარი და უშვილო, თუმცა ის ქალბატონი 100 წლის ასაკშიც კი, ერთ-ერთ იურიდიულ ფირმას ხელმძღვანელობდა. „მიდი, დააყენე დარაჯის“ ხელნაწერი სეიფში მაშინ იპოვეს, როცა მწერლის უფლებებს, მისი ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მწერლის უფროსი და, ელის ჰარპერ ლი წარმოადგენდა. ვიდრე ელისი ცოცხალი

იყო, ჰარპერ ლის არ გასჩენია ამ ახლად ნაპოვნი ძველი რომანის გამოქვეყნების სურვილი. მხოლოდ დის გარდაცვალების შემდეგ, სავარძელზე მიჯაჭვულ მწერალს, რომელსაც მხედველობამ და ყურთასმენამაც უმტყუნა, რომანი დაუდეს წინ და გამოქვეყნება შესთავაზეს. მაშინ მან თქვა — რატომაც არაო, და ხელი მოაწერა თანხმობას გამოცემაზე. ასე იხილა დღის სინათლე წიგნი, რომელიც სინამდვილეში, „ნუ მოკლავ ჯაფარამდე“ დაიწერა. დამწყებ მწერალს რომანი „მიდი, დააყენე დარაჯი“ „ნუ მოკლავ ჯაფარას“ გამოცემამდე, 1960



წლამდე დაუწერია. როდესაც გამოსაცემად რედაქტორს მიუტანა, რედაქტორმა შეაქო, მაგრამ უთხრა — გირჩევთ, ამ წიგნში მოგონებების სახით აღწერილი პერსონაჟების, ანუ მოზარდი ჯინ ლუიზ ფინჩის, ჯემისა და დილის ბავშვობის ამბავზე დაწეროთ რომანი, რომელსაც უკვე გაზრდილი ჯინ ლუიზის პირით ფრაგმენტულად ჰყვებითო; განავრცეთ, განავითარეთ და კარგი წიგნი გამოვაო. ჰარპერ ლიმ მიიღო ეს რჩევა და ახალ ნაწარმოებზე მუშაობა დაიწყო. ასე შეიქმნა შედეგი „ნუ მოკლავ ჯაფარას“.

— ათასგვარი მითქმა-მოთქმა მოჰყვა მეორე (ანუ პირველი) რომანის გამოჩენას. ზოგი ამბობდა, მისი არ არისო.

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნამდვილად ჰარპერ ლის ნაწარმოებია. მითქმა-მოთქმის ერთ-ერთ მიზეზად იქცა ჩვენთვის სათაყვანებელი პერსონაჟი, ატიკუს ფინჩი, რომელიც „ნუ მოკლავ ჯაფარაში“ იდეალური მამა, მხურვალე ანტირასისტი, შავკანიანთა უფლებების დამცველი, იდეალების ერთგული და სამართლის უანგარო აღმსრულებელია. „მიდი, დააყენე დარაჯი“ კი ატიკუს ფინჩი რასისტად და თეთრკანიანთა უფლებების დამცველად გვევლინება. ეს მეორე წიგნი უკვე ზრდასრული ჯინ ლუიზ ფინჩის იდეოლოგიურ და სულიერ ჭიდილზეა, რომელიც, ჩვენი არ იყოს, გვიან შეიტყობს და გააცნობიერებს საყ-

ვარელი მამის განსხვავებულ პოზიციას. გარკვეული კრიტიკის მიუხედავად, „მიდი, დააყენე დარაჯი“ ძალიან აქტუალური აღმოჩნდა დღევანდელ ამერიკულ სინამდვილეში. ამას თვითონ ამერიკელებიც აღიარებენ, რადგან იქ რასისტული განწყობა პერიოდულად მძაფრდება, ისევე, როგორც ნაციზმი ევროპაში და არა მარტო ევროპაში, რუსეთშიც, და ლამის საქართველოშიც.

— თქვენი მთარგმნელობითი საქმიანობის დასაწყისი „მთარგმნელობითი კოლეჯის“ აყვავების პერიოდს დამთავრებდა.

— დიახ, 70-80-იანი წლებში „მთარგმნელობითი კოლეჯისა“ და არაჩვეულებრივი ლიტერატურული ჟურნალი „საუნჯის“ შექმნამ ნამდვილად ხელი შეუწყო ქართულენოვანი თარგმანის განვითარებას, რომელიც მანამდე, შესანიშნავი მთარგმნელების ღვაწლის მიუხედავად — ჩემი აზრით, ხელოვნურად შექმნილი პრობლემის გამო — სამწუხაროდ, ძალიან მწირი იყო. ის კი არა, საბჭოთა პერიოდში, მთელი 70 წლის განმავლობაში, ქართულ-რუსული სრულფასოვანი ლექსიკონი არც ერთხელ არ შემდგარა. დედაჩემი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილებაში მუშაობდა და ხშირად ვეკითხებოდი, რატომ არ არსებობს თუნდაც ერთი სრულფასოვანი ქართულ-რუსული ლექსიკონი-მეთქი. მეუბნებოდა — როგორ არა, მუშაობენ ამაზეო... მაგრამ მხოლოდ ორიოდე წლის წინ გამოიცა...



— ქართულ-რუსული ლექსიკონი რომ არ შეადგინეს, ცოტა გასაკვირია.

— ეს იმიტომ, რომ რუსულით უნდა გვესარგებლა, ამ ენით უნდა გვესაზრდოა, ამიტომაც არ არსებობდა ქართულ-რუსული ლექსიკონი, რუსულ-ქართული სამტომეული კი გამოცემული იყო. მოგეხსენებათ, მსოფლიო ლიტერატურას რუსულად ვკითხულობდით, მაშინ მშვენიერი მთარგმნელები ჰყავდათ რუსებს და ბევრს სჯეროდა მოარული ფრაზის, რომ თითქოს ქართულად ამა თუ იმ ფრაზას ვერ თარგმნიდი, რომ რუსულ თარგმანს ვერაფერი შეედრებოდა — ანუ, რომ ქართული ენა არ იყო სრულყოფილი. კარგია, რომ ეს მითი თანდათან გაცამტვერდა. ჩვენნაირი მდიდარი ენა რომ ბევრი არ არის, ამას ჯერ კიდევ მაშინ — გვულისხმობ საბჭოთა ეპოქას — ამტკიცებდნენ დიდებული მთარგმნელები — ვახტანგ ჭელიძე, თამარ ერისთავი, ბაჩანა ბრეგვაძე, დავით წერეთლიანი, მანანა გიგინეიშვილი და ბევრი სხვა. გვარების ჩამოთვლა შორს წავიყვანს, მაგრამ არ შემიძლია არ ვახსენო ალექსანდრე (საშა)

გამყრელიძე, ძალიან საინტერესო მთარგმნელი. ის გაცილებით მეტს მოახსენებდა, რომ არა ტრადიციული სიკვდილი ახალგაზრდა ასაკში. ხშირად მახსენდება მისი ტრადიციული ზედი: ჩემი მშობლების მეგობრები იყვნენ ის და მისი მეუღლე და ჩვენი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის უდიდესი განსაცდელი იყო მისი მოულოდნელი სიკვდილი. გაჩერებაზე გამოესარჩლა ქალს, რომელსაც შეურაცხყოფას აყენებდნენ. პასუხად კი, მოძალადისგან, რომელიც ცნობილი ძალოსანი სპორტსმენი აღმოჩნდა, ისეთი დარტყმა მიიღო, რომ ფაქტობრივად ადგილზე გარდაიცვალა...

— როგორც გამოცდილ მთარგმნელს მინდა გკითხოთ — რას ითხოვს ორიგინალური ტექსტი მთარგმნელისგან, როგორია კარგი თარგმანი და რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი თარგმნის პროცესში?


— ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ორივე ენა კარგად უნდა იცოდეს და მშობლიურ ენაზე ნერა შეგეძლოს. ჩემი აზრით, მხატვრულ ნაწარმოებზე მუშაობისას მთავარია, იგრძნო დედნის სტილი, მიხედვით, რა არის განსაკუთრებული მწერლის ენაში, სტილისტიკაში, რა განსახვავებს ამ ავტორს სხვებისგან და როგორ შეიძლება ამ განსხვავების ქართულ ენაზე გადმოტანა. თუ ამას ჩანვდება და შეძლებ ქართულად გადმოსცე ყველაზე მნიშვნელოვანი — რაც ძალიან რთული, შრომატევადი და სანვალეული საქმეა — მაშინ ნამდვილად გამოგივა მხატვრული თარგმანი. თორემ შეიძლება შინაარსიც გადმოსცე, წინადადებებიც კოხტად გამართო, მაგრამ ტექსტიდან არ იგრძნობოდე ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და რაც შინაარსზე მალა დგას.


— თქვენ როგორ მუშაობთ?

— მგონი, ყველას თავისი ინდივიდუალური მიდგომა და გამოცდილება აქვს. მსმენია, რომ ზოგი ტექსტის ყოველ მონაკვეთს ბოლომდე ხეწს და ასე აგრძელებს შემდეგი მონაკვეთის თარგმნას — უხტრიალებს, სანამ ბოლომდე არ სრულყოფს ცალკეულ მონაკვეთს. მე კი ცოტა სულსწრაფი ვარ — უფრო ხშირად ბოლომდე გავდივარ და მერე ვუბრუნდები ტექსტს, თავიდან ვამუშავებ. ვის როგორ ეხერხება. ერთი მხრივ, თითქოს უფრო შრომატევადი ჩანს ასეთი მიდგომა, მაგრამ თან კარგია, იმიტომ, რომ როცა ბოლომდე თარგმნი, მთლიანობაში ხედავ ნაწარმოებს და ეს გეხმარება გარკვეული ადგილების ახლებურად გააზრებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, თარგმნა დიდ შრომას ითხოვს, სანვალეულია, მაგრამ თუ გიყვარს — და, მგონი, ეს ყველა პროფესიაში ასეა — აზარტული ხდება. დღესდღეობით, შემიძლია ვთქვა, რომ მიყვარს ეს საქმე.

— თქვენ საბჭოთა ეპოქა და იმ კონტექსტში ჩაკარგული, დაჩაგრული ქართული თარგმანი გაიხსენეთ. მგონი, ახლა გაცდელი ილია თუ განკვეცილი დროის შევსების მცდელობაა ჩვენი თანამედროვე გამომცემლებისა და მთარგმნელთა მოშურნეობა, რაც შეიძლება მეტი ავტორი ითარგმნოს. ამის დასტურია, თუნდაც, ყოველწლიურ ლიტერატურულ კონკურსს „საბაზე“ საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში ფინალისტთა ვრცელი ჩამონათვალი. თქვენც არაერთხელ ფინალისტი და ლაურეატი ბრძანდებით. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი კონკურსები თარგმანის განვითარებისთვის?

— გეთანხმებით, ბრწყინვალე მთარგმნელების მოზღვაებაა. თარგმნის ნიჭი ყოველთვის გვექონდა, უბრალოდ, ასეთი აღმასვლის საშუალება არ იყო. მე გულწრფელად გეტყვით, რომ როდესაც „საბა“ დაფუძნდა, ძალიან გახარებული ვიყავი, იმიტომ, რომ მოგვეხსენებათ, 90-იან წლებში ჩაკვდა ყველაფერი, „კოლეჯიც“ დაიშალა და ადამიანები ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრობდნენ. ამ დროს გაჩნდა ეს ლიტერატურული კონკურსი, დაარსდა არაჩვეულებრივი გამომცემლობები, დღეს ეს სივრცე კიდევ უფრო გაფართოვდა, ერთმანეთს ეპაექრებოდნენ და დიდ საქმეს აკეთებენ. რაც შეეხება ჩემს კოლეგებს, უდიდესი პატივისცემა და სიყვარული მაქვს მათადმი, ვაფასებ მათ შრომას და მიხარია, რომ ერთმანეთზე უკეთესები არიან. სახელები და გვარები რომ ჩამოეთვალა, შეიძლება ვინმე გამომჩვენს და უხერხულია. ქართული





მთარგმნელობითი ტრადიცია ხომ უხსოვარი დროიდან მოდის, ბიბლიის უბრუნებელი თარგმანებით დაწყებული, უმდიდრესი და უნიკალური გამოცდილება გვაქვს. თავი რომ გავანებოთ მე-19 საუკუნეს, ივანე მანაშელს, ილიას და მის თანამებრძოლებს, რომ არაფერი ვთქვათ გასული საუკუნის 20-იანი წლების ჩვენს მწერლებსა და პოეტებზე, უცხოური პოეზიის თუ პროზის თარგმნას რომ ცდილობდნენ, — „საბაჰ“ აჩვენა, ძველებს არაჩვეულებრივი მემკვიდრეები გამოუჩნდნენ და ტრადიცია გრძელდება. გარდა ამისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ როგორც იქნა, უცხოენოვან მკითხველს ქართული ლიტერატურის ნაკითხვის საშუალება მიეცა. უცხოეთში გვიცნობენ როგორც უშურველ მასპინძლებს, გემრიელი სამზარეულოსა და მრავალმხიანი სიმღერისა თუ ცეკვის, უნიკალური ბუნების პატრონებს, მაგრამ ჩვენს უმდიდრეს ლიტერატურას დღემდე ძალიან ცოტა დამფასებელი ჰყავს. „საბაჰ“ ნომინაცია „ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოენოვანი თარგმანი“ ახალი ასპარეზია მთარგმნელებისთვის, იმავს ვიტყვი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მთარგმნელობით პროექტებზე, რომელსაც ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრი ასე წარმატებით ახორციელებს.

— ჩვენი პირველი ინტერვიუს შემდეგ დიდი დრო გავიდა. მაინტერესებს, პროფესიული თვალსაზრისით, რამდენად დატვირთული და საინტერესო იყო ეს წლები თქვენთვის?

— მას მერე, რაც 2015 წლის „საბაჰ“ ლაურეატი გავხდი, როგორც უკვე ვახსენეთ, ვთარგმნე „მიდი, დააყენე დარაჯი“, შემდეგ ვიმუშავე ჩემი უსაყვარლესი პოეტის, ედგარ პოს ერთადერთ რომანზე, „ნანტაკეტელი არტურ გორდონ პიპის ნაამბობი“, რომელიც გულწრფელად რომ გითხრათ, მთლად ჩემი სტიქია არ ყოფილა, ეს არის მე-19 საუკუნის დასაწყისის სათავგადასავლო რომანი, ჰორორის ელემენტებით. ის თავგადასავლების მოყვარული, და შეიძლება ითქვას, თავზეხელაღებული ორი ახალგაზრდის საოცარ ამბავს მოგვითხრობს, რომლებიც დედამისის მანამდე შეუსწავლელი მხარეების მონახულებისა და შესწავლის სურვილით ალტყინებულნი მოგ ზაურობენ — ზღვაობნობა ხომ იმ ეპოქაში დაახლოებით იგივე იყო, რაც დღეს კოსმოსის შესწავლაა. და, რა თქმა უნდა, ამ რომანის სტილისტიკა, ეპოქისთვის შესატყვისად, მეტად განსხვავებულია.

— ალბათ ვირჯინია ვულფსაც ვერ ავუვლით გვერდს. ორიოდ წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რომანმა „გზა შუქურისკენ“ „საბაჰ“ ლაურეატობა მოგიტანათ და თქვენ მიუბრუნდით ამ ავტორს, ახლახან დაამთავრეთ მუშაობა ახალ თარგმანზე.

— ვირჯინია ვულფს ვერ დავივინებ, რა თქმა უნდა. მართლაც, ცოტა ხნის წინ დავასრულე მუშაობა მის სრულიად ფანტასტიკურ რომანზე სახელწოდებით „ორლანდო — ბიოგრაფია“. ვულფი რომ განსკუთრებული მოვლენაა ლიტერატურაში, ყველა იცის, მაგრამ „ორლანდო“ აბსოლუტურად გამორჩეულია მისი სხვა ნაწარმოებებისგან. როგორც ცნობილია, მწერალმა იმდენი ემოცია ჩააქსოვა რომანში „გზა შუქურისკენ“ წერისას, იმდენი ღამე ათენა, იმდენი სულიერი ძალები გაიღო, რომ შემდეგ ძალიან მძიმე პერიოდი დაუდგა, სრულიად გამოიფიტა და როგორც ბიპოლარული დაავადების მქონე ადამიანს — დღეს ასე უწოდებენ ამას — დეპრესიამ დარია ხელი. მისი მიმონერდინი, დღიურებიდან, მეუღლისა და მეგობრების მოგონებებიდან ვიცით, რომ ძლიერი ემოციური სტრესიდან გასათავისუფლებლად, რაც იმ რომანზე მუშაობას ახლდა, ვირჯინიამ, ერთგვარად, განტვირთვა განიზრახა და სახალისო, არაჩვეულებრივი მიგნებებით სავსე რომანი დაწერა, რომელიც მეგობარსა და ასევე ცნობილ მწერალ ქალს, ვიტა სექვილ ვესტს მიუძღვნა. ასე შეიქმნა ეს პოეტური სულისკვეთებით, იუმორითა და ხშირად სატირით, მხატვრული სახეებით მდიდარი ნაწარმოები, რომელშიც ავტორი ინგლისის ისტორიის ფონზე მოგვითხრობს მთავარი გმირის ამბავს. ხან იუმორით, ხანაც სარკაზმით შეხვედრული მდიდარი ენით აღწერს მოვლენებს და ერთი საუკუნოდან მეორეში — შუა საუკუნოვანი ინგლისიდან შეოცვ

საუკუნემდე — გადაჰყავს ორლანდო, ჯადოსნური ხიბლითა და მრავალმხრივი ღირსებებით შემკული დიდგვაროვანი ინგლისელი მეომარი, რომელიც ამავე დროს, ბუნებით პოეტიცაა. ერთი ეპოქიდან მეორეში გადასასვლელად, ავტორი ორლანდოს „სალათას ძილს“ მოჰგვრის ხოლმე. და ეს ჩვენი გმირი ხან პატარა ბიჭი, ხანაც დედოფალ ელისაბედის რჩეული, დიდებული მხედარი და მეომარი, ნოდებებითა და უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოებით შემკული ინგლისის ელჩია თურქეთში... შემდეგ კი, ერთ-ერთი „გამოღვიძების“ მერე აღმოაჩენს, რომ მამაკაცი კი არა, ახალგაზრდა ქალია. ეს ამბავი ძალიან საინტერესოდ და დიდი ოსტატობით არის მოთხრობილი. ვულფი ფსიქოლოგიური სიღრმით განიხილავს და, ამავე დროს, საოცარი სიმსუბუქით, იუმორით ხსნის განსხვავებას ქალისა და კაცის შინაგან სამყაროებს შორის. ჩვენ თვალწინაა პერსონა, რომელიც მასსოვრობით მამაკაცია, მაგრამ ქალის განცდებით აქვს, ამიტომ უბადლო შესაძლებლობა ეძლევა დაინახოს ორივე სქესის სუსტი და ძლიერი მხარეები. მოკლედ ყველას ვურჩევ ამ საოცრად ლამაზი, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, იუმორისტული, სარკასტული ფანტასმაგორიის ნაკითხვას. ამ რომანის სახით, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ დაუფინანსარ მთაბეჭდილებას სთავაზობს მკითხველს.

— ერთხელ თქვით, გამომცემლობებში გამიმართლაო. მგონი, ავტორებშიც იღბალი გაქვთ.

— ჩვენი გამომცემლები ჭკვიანი ხალხია და გამოსცემენ იმ თარგმნილ ლიტერატურას, რაც აუცილებელია. ერთ-ერთი ასეთი წიგნი იყო სოლ ბულოუს „ჰენდერსონი, წვიმის მეფე“, რომელიც „დიოგენესთან“ ვთარგმნე. ფიქრობ, წიგნი, გარკვეული თვალსაზრისით, ჩრდილში მოექცა, არადა, არაჩვეულებრივი ნაწარმოებია და ჩემდა გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ სხვადასხვა ასაკისა და ლიტერატურული გემოვნების ადამიანები სიამოვნებით კითხულობენ.

— თქვენ ხომ ინგლისურადაც თარგმნი?

— მიმაჩნია, რომ ლიტერატურა, მით უფრო პოეზია, უნდა თარგმნოს ადამიანმა, რომლისთვისაც ის ენა, რომელზეც ქართულ ნაწარმოებს თარგმნის, მშობლიურია. მე კი ეს სარისკო საქმე პირველად მაშინ ვცადე, როცა რატი ამალოშვილის ლექსების თარგმნა მთხოვეს, ერთი-ორი ლექსი მგონი მართლა კარგი გამოვიდა, მოეწონათ უცხოელებსაც, ეს კი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია — ყოველთვის მინდა გავიგო ინგლისელის აზრი, ამის გარეშე ვერ ვიტყვი, რომ თარგმანი რამეს ჰგავს. შეიძლება კადნიერებად ჩამეთვალოს, მაგრამ შემთხვევამ მოიტანა, და დიდხანს ვმუშაობდი ვაჟა-ფშაველას ლექსზე „ღამე მთაში“. ერთხელ მეგობარმა მთხოვა ამ კონკრეტული ლექსიდან ორი სტროფი მეთარგმნა, მგონი, ვილაცხას დისერტაციისთვის სჭირდებოდა — თუნდაც ბნკარედულად. ამასობაში, რაღაცნაირად, გამერიტმა. მერე ამიტანა სურვილმა და, კარგა ხანს ვუტრიალე. ბოლომდე ვთარგმნე და ჩემთვის ავტორიტეტულ მთარგმნელებს წავაკითხე, მათ შორის არიანე ჭანტურიასაც. ბატონმა არიანემ მითხრა — სხვათა შორის, საინტერესოაო — ეს კი, ვინც ბატონ არიანეს იცნობდა, მიხვდებოდა, რომ ბევრს ნიშნავდა. მერე ლინ კოფინმაც შემიქო თარგმანი და მხოლოდ ამის შემდეგ გავხედე და მხოლოდ ჩემი „ფეისბუქის“ გვერდზე გამოვაქვეყნე. ამაზე შორს არ წავსულვარ.

— რატომ არ გამოეცით? მგონი, მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი ვაჟა-ფშაველა გვეოცხოს ინგლისურად.

— დონალდ რეიფილდს აქვს ვაჟას პოემები ნათარგმნი — ზოგი თეთრ ლექსად, ზოგიც გართმულია, მაგრამ არაჩვეულებრივი თარგმანებია. რეიფილდს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ლიტერატურის პოპულარიზაციაში საზღვარგარეთ, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მძინარე წლებში ძალიან დიდხანს იკვლია ვაჟა, ბევრს თარგმნიდა და არაჩვეულებრივად მაღალი შეფასება მისცა მის შემოქმედებას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. შესანიშნავად თარგმნა ოთარ ჭილაძე, მიხეილ ჯავახიშვილი... იმის თქმა მინდა, რომ ისტორიული მასსოვრობა ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებელია არ დავივიწყოთ, ვინ იყო ჩვენამდე — ვნერდეთ მათ შესახებ, ვლაპარაკობდეთ და ვიკვლევდეთ მათ ღვაწლს.

— არსებობს ისეთი ნაწარმოები, რომლის თარგმნასაც ისურვებდით?

— მაგალითად, „ორლანდოს“ თარგმნა ძალიან მინდოდა, მაგრამ კარგა ხანს არ გამოჩნდნენ გამომცემის მსურველები. შემდეგ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ დაინტერესდა, რასაც ძალიან ვაფასებ და მგონია, ამ ნიგნის გამოცემა მათთვისაც არ იქნება ნამგებინი. ზოგადად, ვირჯინია ვულფი, მხატვრული თვალსაზრისით, მისი პოეტიკით, ენით, ხედვით — ჩემთვის გამორჩეულად მახლობელია.

— მახლობელია როგორც მთარგმნელისთვის თუ როგორც მკითხველისთვის?

— ადამიანს, როგორც მკითხველს, ყველა ასაკში ათასი უსაყვარლესი მწერალი ჰყავს და მისი ფავორიტები იცვლებიან. როგორც მთარგმნელი კი, ვიტყვი, რომ თუკი ვირჯინია ვულფის ტექსტებზე მუშაობა კიდევ მომიწევს, ამას სიამოვნებით გავაკეთებ.

— ახლა რაზე მუშაობთ?

— ახლა ერთ მხატვრულ ნაწარმოებს ვთარგმნი, რომელზე ლაპარაკი ჯერ არ მინდა, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, რომ სათარგმნად გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა ჩემთვის, ვიდრე თითოეული ის ტექსტი, რომელზეც აქამდე მიმუშავია. და თუ გამომივა, აუცილებლად გაიგებთ ამის შესახებ.

ესაუბრა თამარ ჟურული

ისევ გალაკტიონი ერთი შედეგის კონკურსი

დასასრული

სახელმწიფო გამომცემლობაში რომ ჩამრიცხეს 1956 წელს, მხატვრული ლიტერატურის რედაქციაში დამხვდა უაღრესად სიმპათიური ქალბატონი ვარდიკო ხოშტარია. ერთხელ გამომცემლობაში ბატონი გერონტი გვესტუმრა და ქალბატონმა ვარდიკომ სტუმარს შემოქმედებითი პასიურობის გამო უსაყვედურა. სტუმარმა გულწრფელად უპასუხა: ახლა ისეთი დროა, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს — რას დანერ და რას გააკეთებო. გავიგონე და გამიკვირდა. მაგრამ აღარ გამიკვირებია, მოგვიანებით, 1998 წელს, გერონტი ქიქოძის „უბის წიგნაკის“ პირველივე აბზაცი რომ წავიკითხე: „მე დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი იმისაგან, რაც მე დამინერია, არ დარწმუნებულა ჩემს შემდეგ, მაგრამ მე მიყვარდა ჩემი სამშობლო, როგორც შენთვის თავისი ავადმყოფი დედა უყვარს და ვცდილობდი მისი ტკივილი შემემსუბუქებინა“.

სიტყვა გამექცა და აქეთ კიდევ „ციტატების ტიკტიკი“ ვერ მოვიგერიე: „განუწყვეტელი მათი კვარტეტი“:

— დასავლეთის ქარმა ცაზე მიაბნ-მოაბნია სისხლისფერი ღრუბლების აბრეშუმი... გლადიატორული ხელი მუხის ფესვებით ჩააფრინდა მინას. ხელოვნებაში ვერავინ ჯერ ვერ მოხაზა ამ გიგანტიური ხელების ეტიუდი. ამ ხელების ოფლითა და სისხლითაა მორწყული ეს მინდორ-ველი.

— ავტომობილის ფონარით ელვარებდა მზე. ავტომობილის ბორბალივით უცებ გადასერა ფიქრი-მოგონება. სიცოცხლე ფეთქავდა — ავტომობილის მოტორით. რადიატორმა გააპო ქუჩა და შინები შიშინებდნენ ქუჩაზე... მთვარიან გზაზე შოლტივით მოლუნული ველოსიპედისტის ლანდი და ფიქრები ასაფეთქებელი მასალებით გვიწყვია აი აქ, გულში.

ვარდებით შეიფუთვების მშვენიერი გზა გუთუნების, ველს კიპარისი რხეული წამწამად მიეკუთვნების.

ხილი მზესა და ზღვას მოჰყავს, ხილი მოჰყავს იის კონებს, მირზის ბავში და ფორთოხალს წინ ბურთივით მიიგორებს.

ამ მეტაფორა-შედარებათა შემდეგ გრაფიკოსი უნდა გამოჩენილიყო თითქოს: დაუთვალეს და დაუმრგვალეს კიდევ 1260 ჩანახატი, რომლის მხოლოდ მეხუთედია წარმატებული და ძნელი დასაჯერებელია, რომ დანარჩენებიც იმავე მარჯვენამ დახატა („არტიტული ყვავილები“ და „ეპოქა“!). თუმცა — ნურც იმას დავივინებთ, რომ ამავე მარჯვენამ „დახატა“:

ჯვარზე გაკრული ელვა.

გალაკტიონმა მუსიკასა და გრაფიკას შორის ამოყვინთა და მასველი რგოლივით ჩაეჭიდა ლირიკას, თანაც მუსიკა ვერლენმა ლექსის მუსიკა იგულსისმა და მამასავით უანდერდა: „მუსიკა — უპირველეს ყოვლისა!“.

თუ გახსოვთ, გალაკტიონის ორკესტრში ანუ ლექსიკონში ანუ ლექსიკაში ყველაზე მეტი — ვილინო ანუ სკრიპკა ირიცხებოდა ანუ უკრავდა: 1912 წლის 7 აპრილს ქუთაისში ოცდაათი წლის პოლონელმა ვირტუოზმა ბრონისლავ გუბერნამა პაგანინის ვიოლინოზე დაუკრა. ოცდაერთი წლის გალაკტიონმა მოუსმინა და დაავინყდა სადი იყო: თავი ვერ შეიკავა და ისეთი უკიდურესი ემოციით გამოხატა თავისი ალტაცება, რომ პოლიციელმა ვერასვზით ვერ დაამშვიდა და — როგორც თოთხმეტი წლის შემდეგ შედეგების ნაკრძალიდან — ისე გააძევა დარბაზიდან და პოლიციაში მიაბრძანა.

დაიხ, „მუსიკა — უპირველეს ყოვლისა!“ ანუ „პოეზია — უპირველეს ყოვლისა!“ ანუ „კოსმიური ორკესტრი“ — უპირველეს ყოვლისა!

ასაკმა გამათამაშა-მეთქი!

P.S. 1909 წელს სემინარიელი გალაკტიონის მასწავლებელმა სემინარიელმა უსაყვედურა აჩქარებისა გამო: — თქვენ ხომ გალაკტიონ ტაბიძე არა ხართ, სწრაფად და კარგად მოასწროთ თხზულების დაწერა?

მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა და ახლა მე მინდა კითხვის ნიშანი ძახილის ნიშნით შევცვალო და გალაკტიონ ტაბიძის დაუძინებელ ოპონენტებს — კოლაუ ნადირაძის თამადაობით — ვუთხრა და ვუსაყვედურო: — თქვენ ხომ გალაკტიონ ტაბიძე არა ხართ?

— თქვენ ხომ გალაკტიონ ტაბიძე არა ხართ?

— თქვენ ხომ გალაკტიონ ტაბიძე არა ხართ?



მთარგმნელისაბან: ამ წინათქმას ერთადერთი მიზანი აქვს — ლექსი იმაზე გაუგებარი არ გამოჩნდეს, ვიდრე სინამდვილეშია, რადგან სუტუაციაში გარკვევა პირველივე წაკითხვით თითქმის შეუძლებელია.

სიტუაცია კი ასეთია: კაცი, რომლის ახალგაზრდობაც უკვე გალეულა თუ სადაცაა გაილევა, დაბნეული და საკუთარ თავში დაურწმუნებელი ინტროვერტი, სალამოს წვეულებაზე მიდის.

თავიდანვე იგრძნობა, რომ იგი ძალზე აფორიაქებულია. სალამო, ან იქნებ მთელი ქალაქიც, ნარკოზში გადავარდნილი ეჩვენება, ნასასვლელად კი საეჭვო ქუჩებს ირჩევს, სადაც ნაკლები ხალხი მოძრაობს (ხალხმრავლობას გაურბის?). მიხვეულ-მოხვეული გზების გავლის შემდეგ (დროს ხომ არ წელავს?), მიადგება სახლს, სადაც წვეულებაზე უნდა შევიდეს, და სახლის სახით — ყოვლისმომცველ და თავზარდამცემ კითხვას, რომელიც მთელი ნანარმოების ღერძია.

მან საყვარელ ქალს ცოლობა უნდა სთხოვოს.

ნისლი კი რატომღაც კატის ნაბიჯებით დაიპარება...

ნანარმოების ძირითადი ნაწილი სასიყვარულო ფორიაქს ეთმობა, თუმცა სიყვარული (თუკი სათაურს მხედველობაში არ მივიღებთ) არათუ ნახსენები, მინიშნებულაც კი არ არის.

საბოლოოდ, მისტერ პრუფროკს გაბედულება არ ჰყოფნის, აღასრულოს განზრახული, და სალამოს წვეულება „ზარდამცემი“ კითხვის დაუსმელად მთავრდება. და იგი თავისთვის ბევრად უფრო ჩვეულ სამყაროს უბრუნდება, ზმანებებისა თუ... იქნებ სულაც პოეზიის სამყაროს, რასაც წმინდად ლირიკული ფინალი სავსებით დასაშვებს ხდის.

ვფიქრობ, ეს ფინალური სტრიქონები, ამჯერად სხვა პოეტური ენითა და სხვა მეტაფორისტიკით, იმასვე მოგვითხრობენ, რაც წინა პასაჟებმა ერთხელ უკვე მოგვითხრეს.

სათაური კი, ცხადია, პირწმინდად ირონიულია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სასიყვარულო საგალობელი, ასე არის თუ ისე, მაინც ნამღერია და, მრავალთა აზრით (ამას დედანზე მოგახსენებთ), ერთობ შთამბეჭდავადამაშ ასე:

ტომას სტერნზ ელიოტი

ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო საგალობელი

S'io credesse che mia risposta fosse
A persona che mai tornasse al mondo,
Questa fiamma staria senza piu scosse.
Ma percioche giammai di questo fondo
Non torno vivo alcun, s'i'odo il vero,
Senza tema d'infamia ti rispondo.*



(„ნახეთ, შეხედეთ, თმები როგორ გამეჩხრება!“)
ჰალსტუხი თუმცა ძვირფასია, კარგად იხდენს
ქინძისთავს სადას,
საყელოც ნიკაპს აბჯენია, სერთუკიც მადგას.
(„რა გალეული ხელ-ფეხი აქვს! ან რა მხრები აქვს!“)
უნდა გავბედო?
და სამყარო შევანიალო?
დრო კიდევ არის, ორიოდ წამი,
რომ წინ ვიარო — და უმაღლე უკან ვიარო.

ვიცი ეს ივინგ-მორნიგები, ყველა ვიცი,
ვცნობ ყველა მათგანს —
ამ მიღებებს თუ წვეულებებს, — სად რომელია,
ლამის ცხოვრება ყავის კოვზით ამომელია.
ვიცი ეს ხმებიც, ერთბაშად რომ ჩაკედებიან,
თითქოს მართლა სიკვდილი დადგა.
და ახლა, როცა შორ ოთახში მუსიკაც მიწყდა,
დროა, გავბედო? ჩემზეა სიტყვა?

ვიცი თვალებიც, მზერები და თვალთვალები,
ცნობ ყველა მათგანს —
ჩასაფრებულნი ერთ ფრაზაში თავს რომ გიყრიან,
მერე ქინძისთავს დაუნდობლად რომ გაგიყრიან,
და კედელზე ვარ მილურსმული, ფვართხალზე და
ფეხს ველარ ვადგამ.

ღირს კი დანყება, მიღირს დანყება
ჩვევათა მყრალი ნარჩენების ამოსარწყევად?
დროა, გავბედო, ჩემზეა სიტყვა?

ვიცი მკლავები და ხელები, ყველა ვიცი,
ვცნობ ყველა მათგანს —
ისეთი გლევი, თეთრი-თეთრი — იკრავენ მზერას
(მაგრამ ჭალის ქვეშ ბუსუსები აყრიათ ქერა).
კაბისგან მოდის ეგ სურნელი, თავბრუს რომ მასხამს?
ხელი კი მშვიდად დაყრდნობა მაგდის კიდეს,
ან შიშველ მხრებზე ისწორებს რიდეს.
დროა, გავბედო?
ღირს დანყება? ღირს კი დანყება?

ვთქვა, რომ ბინდებულზე მეც მივლია ვინრო ქუჩებით
და ფანჯარაში გადმომდგარი მარტოკაცების
ჩიბუხებიდან ამოსული მინახავს კვამლი?
ნეტავ კირჩხიბის წყვილ მარწუხად გადაამაქცია
და ზღვის სიღრმეში მაფხოჭინა მდუმარე ფსკერი...

შეხედე, კვლავ ის დაისია, აქ დაგხვდა ლანდად,
გრძელი თითებით მონუსხული, ნალურსალი.
უკვე დაღლილა, მითენილა... და სძინავს ანდა
თავს იმძინარებს... ძირს, ფეხებთან, წევს გალურსული.

ადექ, ავიძრათ, ჩემო თავო, სალამო გვიცდის,
ნახე, დაისიც რანაირად გაჰკვრია ცისპირს —
გინდაც ნარკოზზემ პაციენტი მაგიდას ეკრას;
ამ მიფარებულ ქუჩებს გავყვეთ, სადაც ხალხი

უცებ კლებულობს,
ყრუდ მოგუგუნე თავშესაფრებს, აქეთ-იქით
ჩარიგებულებს,

იაფფასიან სასტუმროებს, ძილსაფრთხობებს
თითო ლამიანს,

რესტორნებს, სადაც — იატაკზე ნახერხი და,
რაც უჭამიათ,

დახლართულ უბნებს, ჩახვეული კამათივით
იკლიკანტურებს,

არგუმენტებზე რომ ცბიერად თავს გიკანტურებს,
არადა, თურმე ნაბიჯ-ნაბიჯ მოგაყენა

ზარდამცემ კითხვას...
ო, ო, არ გინდა: „სად ვართ და რისთვის“?

ადექ, შევიდეთ, სალამო გვიცდის.

სასტუმრო ოთახში ქალები მსჯელობენ
მიქელანჯელოზე.

ყვითელი ნისლი ზურგით ექექება ფანჯრის პარაპეტს,
ყვითელი კვამლი ცხვირით ეხეხება ფანჯრის პარაპეტს,
ბნელ-ბნელ კუთხეებს ენის ლოკვით მიყნოს-მოყნოსავს,
მერე წყალსანრეტ გუზურასთან დაიდარაჯებს,
ტერასას გაჰყვავა, ძირს ისკუპა, წინ პარვით მიდის,
საბუხრების ჭვარტლისაგან გამხდარა შავი.
და როცა ნახა, გარს ოქტომბრის ლამეა მშვიდი,
სახლს მიეგორგლა, მიიკუნტა, ძილს მისცა თავი.

ცხადია, არის, დრო კიდევ არის,
ყვითელი კვამლი ქუჩის გასწვრივ
გასხლტეს-გამოსხლტეს

და აქეთ-იქით ზურგით ხეხოს ფანჯრების ყდები,
დრო ჯერაც არის, დრო ჯერაც არის,

სახე დაანყო იმ სახეთა შესახვედრად,
რომელთაც ხედები.

დრო ჯერაც არის — ჟამი სიკვდილ-სიცოცხლისა —
და ეს ჟამი არ გასტანს დიდხანს,

სამუშაოთა და დღეთა ჟამი, იმ ხელის ჟამი,
რომ აიღებს და შიგ შენს თევშში ჩააგდებს კითხვას.

ჟამი შენი და ჟამი ჩემი, ჯერ ისევ მოცდის,

ჟამი ყოყმანის, ჟამი აზრთა მოკრებ-მიკრების,

გადაფიქრების და ათასჯერ გადმოფიქრების,
სანამ შემოაქვთ სტუმრებისთვის ჩაი და ტოსტი.

ქალები მსჯელობენ
მიქელანჯელოზე.

ცხადია, არის, დრო კიდევ არის,
დროც გაბედვისა — და გავიტან — და გადავიტან!
დროც, გაბრუნდე და კიბეს ჩაჰყვე („ნახეთ, წავიდა!“),
მელოტი კოსროც გამოგიჩნდეს კიბის თავიდან.

და ახლა, როცა ჩაის შემდეგ, ნამცხვრის შემდეგ,
მიმჯდარხარ-ცოლად,

გარდატეხისკენ შეაბრუნო ბოლო წამი, გეყოფა ძალა?
თუმცა ვტიროდი, ვლოცულობდი, ვტიროდი და

ემარხულობდი, ყველა გზა ვსინჯე
და მოკვეთილი ჩემი თავიც (თმამეჩხერი) ვიხილე სინზე,

წინასწარმეტყველს არ ვედრები... არა მაქვს ხელი...
ვნახე, სულ წამით აპარპალდა ჩემი დიდება,

მაგრამ ზედ კართან ისიც ვნახე, მარადი მცველი,
ხელთ ჩემი პალტო დაეჭირა და ხითხითებდა.

...ანუ, ვთქვათ მოკლედ — შიმშა დამძალა.

არადა, ღირდა? ჰქონდა აზრი ყველაფერ ამას?
მაგ თახებისა — მარმელადის და ჩაის შემდეგ,

ფაიფურებში, აქა-იქა საუბრებში შენზე და ჩემზე,
თუ ჰქონდა-მეთქი რამე აზრი ყველაფერ ამას,

ყველაფერ ამის სენდვიჩივით ჩაქებჩას და
ლიმილით ჭამას?

სამყაროს უცებ მუჭში იქცევე, შეკუმშავ ბურთად,
რომ მიაგორო ზარდამცემი კითხვის კარამდე,

და თქვა: „აღვდექი, ლაზარე ვარ, თქვენთან მოველ,
მომეთხრო, მსურდა,

მართლად მომეთხრო, რაც იქ ვნახე ჩემივე თვალით“ —
იგი კი ზურგქვეშ ამოდებულს ისწორებს ბალიშს

და ამბობს: „არა, ეგ არ არის, ეგ ის არ არის,
სულაც არ არის, რისი თქმაც მსურდა“.

მერედა, ღირდა? მართლა ღირდა? თუ დროზე შევდექ?
ღირდა მაგ მზეთა ჩანურვების,

კართ-ბაღჩების, ნანვიმარი
ქუჩების შემდეგ,

მაგ დაფურცლული რომანების, ჩაის სმების,
მაგ კაბების,

და ხაზარდების
ათას რამდენის...

რისი თქმაც მსურდა, გამეფანტა... გავფანტულვარ...
თავს ვერ ვერევი...

თითქოს ეკრანზე ჯადო-ლამპრით ამომიშვლდნენ
მთელი ნერვები.

იგი კი ბალიშს გაისწორებს, მიაგდებს რიდეს,
ანდა ფანჯრისკენ შებრუნდება, თავს გვერდზე მიდებს

და ამბობს-ამბობს: „ეგ არ არის, ეგ ის არ არის,
სულაც არ არის, რისი თქმაც მსურდა“.

არა! ჰამლეტი მე არა ვარ, არცა მაქვს აზრად.
კარისკაცი ვარ, წვრილი საქმე რომ ავალია,
ერთ ან ორ სცენას ნამოიწყებს, ინტრიგას დაძრავს,
პრინცს ურჩევს რამეს, ჩუმჩუმა და ფრთხილი ძალიან,
ფრთხილი, წვრილმანი, გულმოდგინე, თავზანიანი,
სენტენციური, იქით ჩლუნგი, აქეთ ჭკვიანი.
ალაგ და ალაგ გროტესკული ხდება ამკარად,
ალაგ და ალაგ — თითქმის მასხარა.

სიბერის არი... აბა, რის არი...
შარვალი დამთრევს ვით ნასხვისარი.

ახლა კი რა ვქნა? თმა კეფაზე გადავიწყო?
შევექცე ატამს?

ტილოს თეთრ შარვალს ჩავიცვამ და კვლავ იქ გავალ
ზღვა ბორავს სადაც,

სადაც ვიდექ და ზღვის ქალწულთა სიმღერები
მესმოდა ცხადად.

ერთიერთმანეთს შემღეროდნენ...
ვიცი, ჩემთვის არ იმღერებენ.

ვუცქერდი, როგორ მიგელავდნენ ზღვის სიღრმისკენ,
ზვირთებზე მსხდარი,

და თეთრად გაშლილ ძუა-ფაფარს წენავდა და
ვარცხნიდა ქარი,

ერთმანეთს ცვლიდა თეთრი ფერი, შავი ფერი
ქარსა და ღვარში.

წყალთა პალატებს შევეფარეთ — შევედით და დავრჩით
და დავრჩით,

ზღვის ასულებთან, ხვიარებთან მორთულებთან,
დავიხანეთ

ხანი მცირედი,
სანამ უეცრად კაცთა ხმებმა გაგვავლიდა და ვიძირებთ.

თარგმანა ღაბიო ნარქიანმა

*უიგრაფის პნკარედული თარგმანი: „მე რომ მეგონოს, ჩემი პასუხი ისეთ
ვინმეს მიემართება, ვისაც მინის პირზე დაბრუნება უნერია, ეს ალი მეტად აღარ
შეირბოდა; მაგრამ თუ სიმართლეა, რაც მსმენია, რომ ამ ჯურღმულელებიდან
ცოცხალი არავინ გასულა, მაშინ დაუბრკოლებლად გავცემ პასუხს, არ შემეშ-
ინდება სახელის შეზღავნება“... დანტი, „ჯოჯოხეთი“, XXVII, 61-66.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004